პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 19 ივლისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 163 (2509)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია.
- მუდმივი ინციდენტები ბულგარეთ-სამხრეთ სლავიის საზღვრებზე.
- კელოგის პაქტი ძალაში შევა 24 ივლისიდან.
- ჩეხო-სლოვაკიაში აკრძალეს 8 კომუნისტური გაზეთი.
- პოლიტპატიმართა შიმშილობა რიგის საპატიმროში.
- საფრანგეთის პრესა „საბჭოთა ფრთები“-ს შესახებ.
- საბჭ. კავშ. ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები.

მზად უნდა ვიყოთ

ნანკინის მილიტარისტებმა, რომლებიც ორი წელიწადია აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას საკუთარ ხალხთან, უარი განაცხადეს საბჭოთა მთავრობის კანონიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ამით მოსპეს საშუალება მშვიდობიანი გზით იქნას მოგვარებული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია მათი ძალმომრეობითი და პროვოკაციული მოქმედებით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე.

რით ხელმძღვანელობდა ნანკინის მთავრობა, როცა იგი ახდენდა თავდასხმას რკინის გზის ხელში ჩაგდების მიზნით და უარჰყოფდა საბჭოთა მთავრობის წინადადებას კონფერენციის მოწვევის შესახებ? მას უნდოდა საბჭოთა მთავრობა დაეყენებია მომხდარ ფაქტის წინაშე. როგორც თავხედურად განაცხადა ჩან-კაი-შიმ, ჩინეთის მთავრობა მისდევდა შემდეგ პრინციპს: ჯერ რკინის გზის ჩაგდება ხელში, შემდეგ კი მოლაპარაკება. ჩადენილ ძალადობის ნიადაგზე.. ამ ძალადობის სანქციის შესახებ. ცხადია, საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო დასთანხმებულიყო ასეთ მოლაპარაკებაზე. თავის საპასუხო ნოტაში მან ამხილა ნანკინის მტაცებელთა თვალთმაქცობა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ არსებობდა სხვაგვარი გამოსავალი, თუ არ პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა ნანკინის მთავრობასთან.

საბჭოთა მთავრობის ამ ნაბიჯს სრულის კმაყოფილებით შეხვდებიან საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები და საერთაშორისო პროლეტარიატი.

ამ ნაბიჯის მთელი სიმძიმე და ის შედეგები, რომლებთანაც იგი არის დაკავშირებული, ეკისრება ნანკინის მთავრობას.

ნანკინის მილიტარისტებმა თავიანთი აღმაშფოთებელი მოქმედებით გამოიწვიეს დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა მთავრობასთან, რითაც უმძიმესი მახვილი ჩასცეს ჩინეთის ხალხის ინტერესებს. მათ ერთხელ კიდევ უსირცხვილოთ გასცეს ამ ხალხის ინტერესები საერთაშორისო იმპერიალიზმის სასარგებლოდ, რომელიც ახრჩობს ჩინეთს. გომინდანელ მილიტარისტებმა თავიანთი აღმაშფოთებელი და დანაშაულებრივი მოქმედებით საბჭოთა დაწესებულებებისა და მოქალაქეების მიმართ, მათ მიერვე ხელმოწერილი ხელშეკრულებების მიმართ, საუცხოვო საფუძველი მისცეს უცხოეთის ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოს იმ უთანასწორო ხელშეკრულებების და კაპიტულიაციების შესანარჩუნებლად, რომელთა უღელ ქვეშ გმინავს ჩინეთის ხალხი. ამით მათ უაღრესად გაადვილეს ჩინეთის შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიური დამონავება იმპერიალიზმის მიერ, რომლისაგან მონობის უღლის დამსხვრევა შეუძლია მხოლოდ ჩინეთის ძლევამოსილ რევოლიუციას; ეს რევოლიუცია იმპერიალისტებთან ერთად წალეკავს მათ ლაქიებს — გომინდანელებს.

ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გომინდანელმა იმპერიალისტებმა უდიდესი და უშუალო ეკონომიური ზიანი მიაყენეს ჩინეთს იმით, რომ საბჭოთა კავშირი აიძულეს დაეხურა საზღვარი და სარკინიგზო მიმოსვლა.

ჩინეთის ხალხი არ დაივიწყებს ამ ბოროტმოქმედებებს, როცა იგი, დაბოლოს, თავის პოლიტიკურ ანგარიშს წარუდგენს გომინდანელ ჯალათებს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ამ დღეებში, როცა მათ ყველანაირ პროვოკაციული მახე დაუგეს, ნათლად დაუმტკიცეს მთელ მსოფლიოს, რომ ისინი ვერ მოითმენენ თავიანთი მოპოებული უფლებების დარღვევას და შესძლებენ მკაცრად შეუტიონ ყოველგვარ მოძალადეს, რომელიც შეეცდება ჩაშალოს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის უდიდესი მუშაობა საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირის მშრომელები სავსებით მოიწონებენ თავდაცვის იმ გადამჭრელ ზომებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ მიიღო პროვოკაციის საპასუხოდ.

მაგრამ ჩვენ არა გვაქვს იმის გარანტია, რომ პროვოკაცია არ გაგრძელდება. თვითეულ მძარცველის და, ბანდიტის უკან, რომელიც საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის დარღვევას შეეცდება, საერთაშორისო იმპერიალისტური მტაცებლებისა და მათი სოციალ-დემოკრატიული დამქაშების ძალები სდგანან. ტყუილად კი არ გადააჭარბა ყველა მის მიერ წინეთ ჩადენილ საზიზღრობებს ბერლინის „ფორვერტს“-მა იმ დღეებში, როდესაც ბერლინის მუშები ქვებს უშენდნენ გომინდანის საელჩოს ფანჯრებს: იგი შეეცადა საბჭოთა მთავრობისათვის დაეკისრებია პასუხისმგებლობა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტისათვის. ბანდიტ ჩან კაი-შის უკან იგივე ხელი იმალება, რომელიც ორი წლის წინედ იმალებოდა ბანდიტ ჩან-ძო-ლინის უკან, რომელმაც პეკინში ჩვენს წარმომადგენლობაზე თავდასხმა მოახდინა, რის წინააღმდეგ მაშინ გადაჭრით პროტესტი განაცხადა თვით ჩან-კაი-შიმ. და ეს ხელი დაუცხრომლად იმუშავებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასავლეთსა და აღმოსავლეთში, მანჯურიის მხრით, პოლონეთის მხრით, სპარსეთსა და ავღანისტანის მხრით და ყველა მხრიდან, საიდანაც კი შესძლებს, რომ მახვილი ჩაგვცეს.

ჩვენ არა გვაქვს იმის გარანტია, რომ ადგილი არ ექნება ახალ პროვოკაციულ ნაბიჯებს ნანკინის მტაცებელთა და, პირველს რიგში, იმ რუს თეთრგვარდიელთა რაზმების მხრით, რომელნიც ნანკინელ მტაცებლებმა შეადგინეს და შეაიარაღეს ჩვენი აღმოსავლეთის საზღვარზე.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები, რომელნიც ეგრე სწრაფად და ერთსულოვნად აღსდგნენ თავისი ქვეყნის დასაცავად, მომავალშიაც დღითიდღე განაგრძობენ სოციალისტურ მშენებლობას. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ინდუსტრიალიზაციის ახალ სესხზე ხელის მოწერამ უკანასკნელ დღეებში ასე ფართო ხასიათი მიიღო.

ჩვენი ქვეყნის მუშებსა და მშრომელებს მშვენივრად ესმით, რომ თვითეული ნაბიჯი წინ შემდგომი ინდუსტრიალიზაციის გზაზე ამტკიცებს აგრეთვე ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას და ადიდებს იმ რესურსებს, რომელთა საშუალებით მას შეუძლია იბრძოლოს იმპერიალისტური მტაცებლების წინააღმდეგ.

ჩან კაი-შის თავხედური პროვოკაცია, რომელიც არ არის არც პირველი და არც უკანასკნელი პროვოკაცია საბჭოთა კავშირის მიმართ, ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიის გენერალური ხაზის სისწორეს, იმ ხაზის, რომელიც გულისხმობს ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალურად სწრაფ ტემპს, ერთხელ კიდევ ასაბუთებს პარტიის საბრძოლველ ლოზუნგს: ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ამ ლოზუნგით პარტია წავა წინ, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს თავის ირგვლივ მშრომელ მასებს პროლეტარიატის მეთაურობით, კიდევ უფრო ძლიერ გამსჭვალავს მათ სოციალისტური მშენებლობის ენტუზიაზმით, განამტკიცებს კავშირს მთელ მსოფლიოს მუშებსა და მშრომელებთან, ღირსეულად გადალახავს ყოველგვარ ქანაობას, მერყეობას, ყოველგვარ კაპიტულიანტობას, პანიკიორობას და ლიკვიდატორობას და ბრძოლისათვის სავსებით მომზადებული შეხვდება ყოველგვარ განსაცდელს.

„პრავდა“, 18 ივლისი.

მზადება საშემოდგომო თესვისათვის

შემოდგომის ნათესებს ჩვენს სასოფლო მეურნეობაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია. ამიტომ საშემოდგომო თესვის კამპანიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მისი საშუალებით ჩვენ უნდა გადავსდგათ წინ ახალი ნაბიჯები იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ჩვენს წინაშე წამოჭრილია სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. ჩვენი საქმიანობა მიმართული უნდა იქნას ნათესების სივრცის გაფართოვებისა, მოსავლიანობის გადიდებისა და სოციალისტური სექტორის გაძლიერებისკენ სოფლად. საშემოდგომო თესვის კამპანია წელს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ რაიონში (ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრები) გაზაფხულზე ნათესების ფართობი შემცირდა არახელსაყრელ კლიმატიურ პირობების გამო (გვალვა). მოსალოდნელია პურეულის დეფიციტი, რომელიც შემოდგომის ნათესებით უნდა იქნას შევსებული.

რა ღონისძიებები უნდა მივიღოთ კამპანიის წარმატებისათვის? პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა ვიზრუნოთ სათესლე მასალის მომარაგებაზე. საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, საჭიროა დამზადებულ იქნას 73.777 ცენტნერი თესლეული (ცენტნერი 3 ფუთზე მეტია). საქართველოს შიგნით, ცხადია, ამოდენა სათესლე მასალას ვერ ვიშოვით და საჭირო იქნება მისი მეტი წილის შემოზიდვა. ამასთან საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს თესლის შერჩევას. არ უნდა განმეორდეს ისეთი შემთხვევები, რომლებსაც გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი, როცა სათესლედ სრულიად გამოუსადეგარი მასალა შემოქონდათ.

შემდეგი მომენტია გლეხობის უზრუნველყოფა მანქანა-იარაღებით და მუშა-საქონლით. ბევრგან ამ მხრივ მდგომარეობა ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს გამქირავებელ პუნქტების და შემკეთებელ სახელოსნოების ქსელის გაფართოვებას და მათ მუშაობის კარგად დაყენებას.

წარსული გამოცდილება გვეუბნება, რომ როგორც სათესლე მასალის და იარაღ-მანქანების, ისე კრედიტების მიწოდება გლეხობისათვის დაგვიანებით ხდება, რაც, რა თქმა უნდა, ძლიერ აფერხებს კამპანიის დროზე დაწყებას და მის წარმატებით დამთავრებას. აქედან—ჩვენ უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონე, რომ საქმის გაჭიანურება და საკითხისადმი ბიუროკრატიული მიდგომა ძირ-ფესვიანად იქნას აღმოფხვრილი. აუცილებელი საგნებით სოფლის ვაჭრობის მომარაგება—აი როგორია ჩვენი ერთი მთავარი ამოცანათაგანი.

აღსანიშნავია ერთი უდიდესი ნაკლიც. განვლილ კამპანიებში აქა-იქ ადგილი ჰქონდა კლასობრივი ხაზის დამახინჯებას გლეხობისათვის სათესლე მასალების, მანქანების და კრედიტების მიწოდების საქმეში. იყო შემთხვევები, როცა ყოველივე ამით კულაკები სარგებლობდნენ, ხოლო ღარიბი და საშუალო გლეხები განზე რჩებოდნენ. ასეთ მოვლენებს ულმობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. კულაკებს არ უნდა მიეცეთ საშუალება სახელმწიფოს დახმარება და შეღავათები გამოიყენონ. პირველ რიგში დახმარება უნდა მიეცეს კოლექტიურ მეურნეობებს, შემდეგ ღარიბ და მასთან ახლო მდგომ საშუალო გლეხობას. ამ მხრივ ფხიზელი საზოგადოებრივი კონტროლი უნდა იქნას გატარებული.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას. არის მრავალი მარტივი ადგილობრივი ხასიათის საშუალებები, რომლებიც საგრძნობლად შეუწყობენ ხელს მოსავლიანობის გადიდებას. ასეთია, მაგალითად, მერგელის გამოყენება, შერჩეულ თესლის ხმარება და სხ. საჭიროა მხოლოდ ფართო ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება. ამ მხრივ კერძოდ უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება აგრო-რწმუნებულთა ინსტიტუტს. აგრორწმუნებულებით უნდა მოიფინოს ჩვენი სოფელი. აგრორწმუნებულებად უნდა იქნან გამოყოფილი მცოდნე, ენერგიული და ავტორიტეტულნი პირები. მათ თვალყური უნდა ადევნონ სავალდებულო აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას და ამ მიზნით უნდა გადასდგან სათანადო ნაბიჯები.

შემოდგომის თესვის კამპანიაში, საერთო სოფლის მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს კონტრაქტაციის სისტემამ. კონტრაქტაცია უნდა გავავრცელოთ მეურნეობათა ფართე მასაზე. ამასთან კონტრაქტაციის გატარების დროს ღარიბ გლეხობისათვის უნდა შევქმნათ რაც შეიძლება შეღავათიანი პირობები. ამასთან არ კმარა ავანსების დარიგება. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტაციის დაკავშირებას საწარმოო ღონისძიებებთან და გლეხურ მეურნეობათა გარდაქმნასთან კოლექტიურ საფუძველზე. კონტრაქტაცია ხელს უნდა უწყობდეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და იქ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას. ამასთან კონტროლი უნდა დაწესდეს, რათა კონტრაქტაციით გათვალისწინებული ვალდებულებანი მთლიანად შესრულდეს.

ბოლოს, ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ადგილობრივ საშუალებათა მობილიზაციაზე საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის. ადგილობრივ მუშაკებს ხშირად სჩვევიათ თავიანთი მუშაობის გეგმა უმთავრესად ცენტრის დახმარების იმედზე აშენება. ცენტრს უყენებენ სხვადასხვა მოთხოვნებს და არ ითვალისწინებენ, თუ რამდენად შესაძლებელია მათი განხორციელება. რა თქმა უნდა, ცენტრალურმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედონ ადგილების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ, უდავოა, დღემდე ბევრ ნაკლს აქვს ადგილი. მაგრამ მარტო ამით როდი შეიძლება ადგილობრივ ორგანოების მუშაობის სისუსტის გამართლება. მთავარია, რომ უკანასკნელებმა ადგილობრივ გამონახონ საშუალებები, რომლებიც იქ უეჭველად მოიპოვება. კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს საკრედიტო სისტემის გაძლიერებას საპაიო და სხვა თანხებით, დავალიანების ლიკვიდაციას და სხვ., რომ საკრედიტო სისტემამ შესძლოს თავისი მოვალეობათა პირნათლად შესრულება.

ასეთია საერთოდ ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან საშემოდგომო თესვასთან დაკავშირებით. მათი წარმატებით გადაჭრისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს, ვინაიდან დრო შედარებით ცოტაა დარჩენილი.

ნანკინის მთავრობა აკანონებს ჩადენილ ავანტიურას

საბჭოთა კავშირის ახალი ნოტა ჩინეთს

საბჭოთა მთავრობა ჩინეთიდან უკან იწვევს თავის წარმომადგენლებს და აძევებს საბჭოთა კავშირიდან ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებს

ნანკინის მთავრობის საპასუხო ნოტა

მოსკოვი, 18 ივლისი. ჩინეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულის ბატონ სია ვეი-სუნის ნოტა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ლ. მ. კარახანის სახელზე.

„მოსკოვი, 17 ივლისი, 1929 წელი. ბატონო სახალხო კომისარო, პატივი მაქვს გაცნობოთ ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ქვემოდმოყვანილი დეპეშა, რომელიც მივიღე დღეს, 17 ივლისს: თქვენი 14 ივლისის დეპეშის შიფრის წაკითხვა დამთავრდა მხოლოდ დღეს. გიბრძანებთ—გადასთარგმნოთ რუსულ ენაზე და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარს წერილობით გადასცეთ ქვემოდმოყვანილი პასუხი მის 13 ივლისის ნოტაზე.

„მას შემდეგ, რაც 1924 წელს ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმება დაიდო, დიპლომატიური ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის მართლაც განმტკიცდა. ჩვეულებრივი მეგობრული ურთიერთობის ნიადაგზე ჩინეთის მთავრობის და მისი ხალხის დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობისა და მისი ხალხისადმი ყოველთვის გამსჭვალული იყო თანასწორობისა და ურთიერთობისათვის გულრწფელი დახმარების სურვილით. მაგრამ უკანასკნელ დროს ჩინეთის ფარგლებში არა ერთხელ იქნა აღმოჩენილი როგორც ორგანიზაციულად მოწყობილი პროპაგანდა, ისე მუშაობა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩინეთის ხალხი აემხედრებია ჩინეთის საზოგადოებრივი წყობილების დასანგრევად და იქითკენ, რომ ხალხი გამოსულიყო ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო ჩინეთის მთავრობა იძულებული გახდა მიეღო სათანადო ზომები ჩინეთის სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილების დასაცავად. ამჟამად ჩხრეკა ხარბინში, საბჭოთა საკონსულოს სადგომში მოახდინეს და ზომები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მიიღეს აღმოსავლეთის სამი პროვინციის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმ სპეციალური მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ მყუდროებისა და წესრიგის მოულოდნელი დარღვევა, ამასთან აღნიშნული ხელისუფლების წარმომადგენლნი იძულებულნი იყვნენ საჭირო ზომები მიეღოთ სასწრაფოდ, თან მათ უდიდესი სიფრთხილე გამოიჩინეს, რათა მოქმედების სფერო არ გავრცელებულიყო დიდ სივრცეზე. ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობას არა ერთხელ მიუღია აღმოსავლეთის სამი პროვინციის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოხსენებანი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველი და ამ გზის დიდი თანამდებობის თანამშრომელნი საბჭოთა მოქალაქეთაგან თავიდანვე და დღემდე არ იცავდნენ და არ იცავენ სისწორით 1924 წლის დროებით შეთანხმებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ. უკანასკნელი წლების განმავლობაში მმართველმა და სხვებმა ჩაიდინეს იმდენი კანონის საწინააღმდეგო და ისეთი მოქმედება, რაც მათ ძალაუფლებას აღემატებოდა, რომ შეუძლებელია მათი ჩამოთვლა. ამრიგად, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ჩინელ თანამშრომლებსაც, რომელთაც სურთ დაიცვან შეთანხმება და შეასრულონ ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებანი, საშუალება არა აქვთ განახორციელონ შეთანხმება, მით უმეტეს, რომ საბჭოთა თანამშრომლები სარგებლობენ საბჭოთა დაწესებულებებით იმ ადგილებში და საიდუმლოდ ეწევიან პროპაგანდას, რომელიც არღვევს ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმებას. ამ მიზეზების გამო აღმოსავლეთის სამი პროვინციის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ შეეძლოთ არ მიეღოთ აღნიშნული ზომები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. ცხადი და გასაგებია, რომ პასუხისმგებლობა ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმების დარღვევისათვის ჩვენ არ გვედება. იმ ცნობებით, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროს მოეპოვება და რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირში, არსებული ჩვენი საელჩოსა და საკონსულოებისაგან, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრა და დაპატიმრებული ჰყავს ჩვენი ემიგრანტები და ვაჭრები, რიცხვით ათას კაცზე არიან ნაკლები. საბჭოთა კავშირში მყოფი ჩვენი მოქალაქენი შევიწროვებულნი და დევნილნი არიან საბჭოთა ქვეყნის მოქმედებით, ხოლო არსებობის საშუალებას მოკლებულია ჩვენი მოქალაქეების უფრო მეტი რიცხვი. ამავე დროს ჩინეთში მცხოვრები საბჭოთა ემიგრანტები, ვაჭრები და აქ არსებული საბჭოთა კომერციული დაწესებულებანი სარგებლობენ ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობის სტუმართმოყვარეობით, დიდსულოვნებით და ყოველი სიკეთით. საბჭოთა რომელიმე მოქალაქისათვის ჩინეთში არ შეგვიქმნია არავითარი დაბრკოლება და ცალმხრივ უსამართლობას ამ მოქალაქეთა მიმართ ადგილი არ ჰქონია. და თუ ეხლა აღმოსავლეთის სამი პროვინციის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს საბჭოთა მოქალაქენი და დაბეჭდეს საბჭოთა დაწესებულებანი, ჩაიდინეს ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ საწინააღმდეგო პროპაგანდა და დაეცვათ საჭირო წესრიგი და მყუდროება. ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობა თუმცა პირობად არა სთვლის ქვემოდ ჩამოთვლილ პუნქტებს, მაგრამ თუ საბჭოთა მთავრობა, პირველი, გაანთავისუფლებს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ დაპატიმრებულ ყველა ჩინელ მოქალაქეს და მისცემს მათ სამშობლოში დაბრუნების საშუალებას, ამასთან ამათ რიცხვში არ უნდა შედიოდნენ ის საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ საელჩოს და საკონსულოების თავდებობით და რომლებსაც საბჭოთა კავშირში ცხოვრების ნება მიეცათ, და, მეორე, თუ ყველა ჩვენი მოქალაქისა, ვაჭრისა და საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილი იქნება ჯეროვანი და საჭირო დაცვა, მაშინ მოხერხებულ მომენტში გაიცემა სათანადო განკარგულება ყველა დაბეჭდილი საბჭოთა დაწესებულების შესახებ. ერთის სიტყვით, ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობას და მის ხალხს იმედი აქვთ, რომ საბჭოთა მთავრობა შეგნებულად გამოასწორებს თავის არასწორ მოქმედებებს, რომლებიც მან ჩაიდინა წარსულში, ხოლო ამ საქმის გამო საჭიროა, რომ საბჭოთა მთავრობა პატივისცემით მოეპყრას ჩინეთის სუვერენიტეტს და მის კანონებს და არ წარმოადგინოს ისეთი წინადადებანი, რომლებიც უარყოფენ არსებულ ფაქტებს. ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობას განზრახვა აქვს თავის ელჩს ბატონ ჩუ-შაუ-იანს მისცეს ბრძანება, რათა იგი სამსახურის ადგილას დაბრუნებისას შეჩერდეს ხარბინში და გამოიკვლიოს ყველაფერი. ყველა საქმე, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ურთიერთდამოკიდებულებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხში, შეიძლება დროულად და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად გადასწყდეს სამართლიანად და კანონიერად.

ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქალ. ნანკინი, 16 ივლისი.

მიიღეთ ბატონო სახალხო კომისარო ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემა.

სია ვეი-სუნი“.

ჩან-კაი-შის განცხადება

შანხაი, 17 ივლისი. ბეჭდვითი სიტყვის ბიურო აქვეყნებს ჩან კაი-შის მიერ გომინდანის ცეკაში გაკეთებულ განცხადების სრულ ტექსტს. განცხადება შეეხება კონფლიქტს საბჭოთა კავშირთან. განცხადებაში ნათქვამია, „ნაციონალური მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიზანია—გაანთავისუფლოს ჩინეთი ბორკილებისაგან და მოუპოვოს მას გარკვეული უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც მას სამართლიანად ეკუთვნის. მესამე ინტერნაციონალის ინტერესები ეწინააღმდეგებიან გომინდანის ინტერესებს, ხოლო ჩვენი პარტიის ინტერესები ეწინააღმდეგებიან ყოველი იმპერიალისტური სახელმწიფოს ინტერესებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი პროგრამის მიზანი— უთანასწორო ხელშეკრულებათა გაბათილება —განხორციელებული იქნება. ჩვენი ინტერესები სავსებით ეწინააღმდეგებიან კომუნისტებისას, რომელნიც ძარცვისა და მკვლელობის პოლიტიკას აწარმოებენ. ამ პოლიტიკის მიღება არასოდეს არ შეიძლება არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში. ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი საკითხი, რომელიც მომავალში მოგვარებას მოელის. რაც შეეხება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას, საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ მას სურს ამ გზის გადაცემა ჩინეთისათვის, მაგრამ იგი მხოლოდ იმას სცდილობს, რომ უფრო მაგრად დაეუფლოს ამ გზას. ამიტომ წითელი იმპერიალიზმი უფრო საშიშია, ვიდრე თეთრი. ჩვენი ნაბიჯები, რომლებიც იქითკენაა მიმართული, რომ ხელში ჩავიგდოთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა, არაფერს არაჩვეულებრივს არ შეიცავს. თუ საბჭოთა მთავრობა პატივსა სცემს ჩინეთის სუვერენიტეტს და თანახმაა ხელშეკრულება დასდოს ჩვენთან სრული თანასწორობისა და ურთიერთობის საფუძვლებზე, ჩვენ მზად ვართ განვაახლოთ საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობა. გარდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხისა, მოსაგვარებელია მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები; დაუყოვნებლივ განხილულ უნდა იქნას ის საკითხები, რომლებიც შეეხება გარე-მონღოლეთსა და კომუნისტურ პროპაგანდას. მაგრამ ჯერ ჩვენ გვინდა ხელში ჩავიგდოთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა და შემდეგ სხვა საკითხების განხილვას შევუდგეთ.

უსათუოდ მარცხს განიცდის ყველა სახელმწიფო, რომელიც შეეცდება ხელი შეუშალოს გომინდანის პროგრესს. ლოზუნგები და სიტყვები შედეგებს ვერ მოგვცემენ. ჩვენ უდიდეს ძალას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის უფლებების აღდგენა იმ მიზნით, რომ სახელმწიფოთა პატივისცემა მოვიპოვოთ. ჩვენ უნდა შევქმნათ მტკიცე ცენტრალური მთავრობა“. (ადს).

საბჭოთა მთავრობის მეორე ნოტა

მოსკოვი, 18 ივლისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ლ. მ. კარახანის ნოტა ჩინეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულის ბატონ სია ვეი-სუნის სახელზე.

„მოსკოვი, 1929 წლის 17 ივლისი. ბატონო რწმუნებულო, ვადასტურებ რა თქვენი ამა წლის 17 ივლისის ნოტის მიღებას, რომელიც შეიცავს ჩინეთის მთავრობის პასუხს საკავშირო მთავრობის ამა წლის 13 ივლისის ნოტაზე, მაქვს პატივი საბჭოთა მთავრობის სახელით გაცნობოთ შემდეგი:

საკავშირო მთავრობას მიაჩნია, რომ ჩინეთის მთავრობის ნოტა არადამაკმაყოფილებელია თავისი შინაარსით და თვალთმაქცურია თავისი კილოთი. საბჭოთა კავშირის მთავრობას სურდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობაში აღედგინა ჩინეთის ხელისუფლების მიერ დარღვეული უფლებრივი ბაზისი, ამიტომ მან თავის 13 ივლისის ნოტაში წამოაყენა სამი მინიმალურად აუცილებელი და სავსებით ზომიერი წინადადება:

1. ჩინეთის ხელისუფლების იმ ცალმხრივი და ყოვლად უკანონო მოქმედების გაუქმება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის არსებულ შეთანხმებას;

2. საბჭოთა მოქალაქეებისა და საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შეწყვეტა;

3. მხარეთა კონფერენციის მოწვევა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოსაგვარებლად.

ჩინეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადების საპასუხოდ არსებითად უარჰყო ეს წინადადებანი. ნაცვლად იმისა, რომ აღედგინა ჩინეთის ხელისუფლების მიერ პეკინისა და მუკდენის ცალმხრივად დარღვეული შეთანხმებანი და ამნაირად შეენარჩუნებია კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის საჭირო ბაზისი; ჩინეთის მთავრობის ნოტა ადასტურებს ამ შეთანხმების ცალმხრივ გაუქმებას და ამით სპობს ორივე სახელმწიფოს შორის ნორმალური ურთიერთობის შესაძლებლობას. ნაცვლად იმისა, რომ გაეუქმებინა უკანონო მოქმედება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის დუბანისა, რომელმაც ძალით გადააყენა თანამდებობიდან გამგეობის მიერ საბჭოთა კავშირის წარდგენით დანიშნული ოფიციალური პირები, ჩინეთის მთავრობის ნოტა ადასტურებს ამ უკანონო მოქმედებას და მით ამართლებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ხელში ჩაგდებას ძალით. საბჭოთა მოქალაქეებისა და საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შეწყვეტის ნაცვლად, ჩინეთის მთავრობის ნოტა ადასტურებს ამ რეპრესიებს და თვალთმაქცურად სცდილობს გაამართლოს ისინი ყალბი მითითებით, ვითომდა მასიურ რეპრესიებზე საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ჩინელ მოქალაქეთა მიმართ, მაშინ, როდესაც ჩინეთის მთავრობამ კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირში რეპრესიებს მიმართავენ ჩინეთის მოქალაქე ჯაშუშების, ოპიუმების გამყიდველების, გარყვნილების ბუდეთა პატრონების, კონტრაბანდისტების და სისხლის სამართლის სხვა ელემენტების უმნიშვნელო ჯგუფის წინააღმდეგ. ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ დასთანხმდეს მხარეთა კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევას ყველა სადაო საკითხის მოსაგვარებლად, ჩინეთის მთავრობის ნოტა გვერდს უხვევს ამ საკითხს, რითაც უარჰყოფს საბჭოთა კავშირის წინადადებას კონფერენციის შესახებ და ამნაირად სპობს კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობას მხარეთა შეთანხმების გზით. ჩინეთის მთავრობის ნოტის მითითება პროპაგანდაზე, როგორც ჩინეთის ხელისუფლების უკანონო მოქმედების მიზეზზე, ცრუ და თვალთმაქცურია, ვინაიდან ჩინეთის ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე საკმაო საშუალება მოეპოვება იმისათვის, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ხელში ჩაუგდებლად და ჩინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმებით არსებული ურთიერთობის დაურღვევლად აღეკვეთა და არ დაეშვა ასეთი მოქმედება, თუ მას მართლა ექნებოდა ადგილი. ნამდვილი სარჩული ჩინეთის ხელისუფლების მოძალადური მოქმედებისა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე და ჩინეთის მთავრობის 17 ივლისის ნოტისა, რომელიც ადასტურებს ამ ძალადობას, განსაკუთრებით აშკარა ხდება ჩინეთის სახელმწიფოს მეთაურის, ბატონ ჩან კაი-შის იმ ოფიციალური დეკლარაციიდან, რომელიც გაზეთებში გამოქვეყნდა. ამ დეკლარაციაში ბატონი ჩან კაი-ში, ეხება რა ჩინეთის ხელისუფლების უკანონო მოქმედებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე და ამართლებს რა ამ მოქმედებას, პირდაპირ აცხადებს: „ჩვენი ნაბიჯები, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ ხელში ჩავიგდოთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზა, არ შეიცავს რაიმე არაჩვეულებრივს... ჩვენ ჯერ გვსურს ხელში ჩავიგდოთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზა და შემდეგ შევუდგეთ სხვა საკითხების განხილვას“. ბატონ ჩან კაი-შის ეს განცხადება არავითარ ეჭვს არ იწვევს ჩინეთის მთავრობის 17 ივლისის ნოტის ნამდვილი სარჩულის შესახებ. ამიტომ საბჭოთა მთავრობა აღიარებს, რომ უკვე ამოწურულია ყველა საშუალება იმ სადაო საკითხებისა და კონფლიქტების შეთანხმების გზით მოგვარებისათვის, რომლებიც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოიწვიეს და რომლებიც ჩინეთის მთავრობის 17 ივლისის ნოტამ უფრო გაამწვავა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო საკავშირო მთავრობა იძულებულია მიიღოს შემდეგი ზომები, რომელთა შედეგებისთვის მთელი პასუხისმგებლობას აკისრებს ჩინეთის მთავრობას:

1. გაიწვიოს ჩინეთის ტერიტორიიდან ყველა საბჭოთა დიპლომატიური, საელჩო და სავაჭრო წარმომადგენელი.

2. გაიწვიოს ჩინეთის ტერიტორიიდან ყველა ის პირი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ დანიშნულია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე;

3. შესწყვიტოს ყოველგვარი სარკინისგზო მიმოსვლა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის;

4 წინადადება მისცეს ჩინეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირში — დაუყოვნებლივ დასტოვონ საბჭოთა კავშირის ფარგლები.

მთავრობა აცხადებს, რომ იგი ინარჩუნებს ყველა იმ უფლებებს, რომელიც გამომდინარეობს პეკინისა და მუკდენის 1924 წლის შეთანხმებიდან.

მიიღეთ და სხვ. კარახანი.

1929 წ. 17 ივლისი.

ალმ.-ჩინეთის რკინის გზ. თავდასხმის შემდეგ

ვან ჩენ-ტინის ინტერვიუ

ტოკიო, 18 ივლისი. ჩინეთის ეროვნული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჩენ-ტინმა ცინდაოში ინტერვიუ მისცა გაზეთ „ნიცი ნიცი“-ს კორესპონდენტს.

ვან ჩენ-ტინმა განაცხადა: ეროვნულ მთავრობას განზრახვა არა აქვს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი გადასწყვიტოს ძალით. მას სურს შეინარჩუნოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამჟამად ჩინეთი იძულებული გახდა დროებით ჩაეგდო ხელში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მართვა-გამგეობა. მაგრამ ჩინეთის მთავრობა მზად არის მოლაპარაკების საშუალებით აღადგინოს ძველი მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.

დემპო ცუსინის სააგენტოს ცნობით, ვან ჩენ-ტინმა სთქვა: „ჩინეთს არა აქვს განზრახვა საბოლოოდ მიისაკუთროს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა, მაგრამ გზის მართველობა თვითონ იკისრა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა მოქალაქენი გადაყენებული არიან თავიანთი თანამდებობიდან. ეროვნული მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება“. (ადს).

ეროვნული მთავრობის თვალთმაქცობა

შანხაი, 17 ივლისი. რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ეროვნული მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეროვნული მთავრობა მზადაა მოლაპარაკების საშუალებით გადასჭრას საკითხი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ. იგი მოითხოვს სისწორით განხორციელდეს ხელშეკრულებანი, თუმცა საბჭოთა მთავრობა ამ ხელშეკრულებებს არასოდეს არ ახორციელებდა.

ეროვნული მთავრობა მზადაა გაანთავისუფლოს დაპატიმრებულნი, თუ საბჭოთა მთავრობა გაანთავისუფლებს დაპატიმრებულ ჩინელებს, რომელთა რიცხვიც ათასამდე აღწევს. ეროვნული მთავრობა არა მარტო მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის და სხვა საკითხების შესახებ. არამედ მისი მეგობრობა ისევ მტკიცედ რჩება.

ასეთ ცნობებთან ერთად, სადაც საბჭოთა კავშირს სიყვარულს უცხადებენ, ხარბინიდან იტყობინებიან, რომ იქ გრძელდება საბჭოთა მოქალაქეების შევიწროება და ახალი უმსგავსოებანი, რომელთაც სჩადის ჩინეთის მთავრობა. კერძოდ, ხარბინში დახურეს ბიბლიოთეკა, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საადგილ-მამულო განყოფილება, აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის ბანკი. გრძელდება დაპატიმრება და გადასახლება. (ადს).

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება მოფიქრებულია წინასწარ

შანხაი, 17 ივლისი. გომინდანის ოფიციალური ორგანო „სენტრალ დეილი ნიუს“-ი მოწინავე წერილში აცხადებს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება მოხდა მას შემდეგ, როცა ეს ნაბიჯი კარგად იქნა მოფიქრებული და ამ საკითხის გამო გამართულ თათბირის შემდეგ. „მთავრობა,— სწერს გაზეთი, — სავსებით მზადაა შეხვდეს ყოველ მოულოდნელობას“. (ადს).

„აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება საგარეო პოლიტიკური პროგრამის ნაწილს შეადგენს“

შანხაი, 16 ივლისი. ჩანკაი-შიმ სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო აკადემიაში. მან განაცხადა, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება ნაციონალური მთავრობის საგარეო პოლიტიკური პროგრამის პირველ ნაწილს შეადგენს. ჩან კაი-შიმ აღნიშნა ის მღელვარება, რომელიც მომხდარმა ამბებმა გამოიწვიეს სახელმწიფოებში. აღნიშნა აგრეთვე ის, რომ რეაქციონური ჯგუფი, რომელიც ცნობილია „რეორგანიზაციონისტთა ხროვის“ სახელწოდებით, სცდილობენ ჩაშალონ „ჩინეთის ხალხის მთლიანი ფრონტი“ (რეორგანიზაციონისტები, ვან ძინ-ვეისა და სხვების მეთაურობით, გომინდანის მემარცხენე ფრთას შეადგენენ. ისინი მოითხოვენ გომინდანისა და ეროვნული მთავრობის რეორგანიზაციას. რეორგანიზაციონისტებს, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, მხარს უჭერს აგრეთვე ფინ იუი-სიანი). (ადს).

მანჯურიის ჯარის მობილიზაცია

შანხაი, 17 ივლისი. ჩინური წყაროებიდან იუწყებიან, რომ გამოცხადდა მობილიზაცია მანჯურიის ჯარის 15.000 კაცისა საბჭოთა საზღვარზე და ამ ჯარის კონცენტრაცია სტრატეგიულ პუნქტებზე. (ადს).

ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციის ჩამოსვლა

მოსკოვი, 18 ივლისი. დილის 12 საათზე მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია.

ბელორუსია-ბალტიის სადგურზე დელეგაციას შეეგებენ დასავლეთის სავაჭრო პალატის, „ამტორგ“-ის უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების, საზ-ბა „ინტურისტ“-ის და საბჭოთა და ამერიკული გაზეთების წარმომადგენლები. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ამერიკის მსხვილი ბანკების, სამრეწველო დაწესებულებების და სავაჭრო ფირმების 87 წარმომადგენელი. დელეგაციის მრავალი წევრი ჩამოვიდა თავიანთი ოჯახებით (ადს).

მოსკოვი, 18 ივლისი. 17 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე დასავლეთის სავაჭრო პალატამ დარბაზობა გამართა მოსკოვში ჩამოსულ ამერიკის სავაჭრო სამრეწველო დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ ამერიკის დელეგაცია სრული შემადგენლობით, საბჭოთა სამეურნეო მუშაკები, უწყებების წარმომადგენლნი, ამერიკელი და საბჭოთა ჟურნალისტები, ამერიკელთა კოლონიის (მოსკოვში) წარმომადგენელნი და სხვ. დასავლეთ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ამხ. არალოვი მიესალმა სტუმრებს პალატის სახელით და აღნიშნა, რომ **ამგვარი დელეგაციების ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებს შორის.**

დღისით ამერიკის დელეგაციამ დაათვალიერა ქალაქი. საღამოთი დელეგაციის ნაწილი ავტომობილებით გაემგზავრა ლენინის გორებზე (ადს).

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია ბერლინიდან მოსკოვს გაემგზავრა.

რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ შლეიმ გაზეთების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ დელეგაცია არ წარმოადგენს ოფიციალურად შემდგარ მთლიან რამეს და რომ იგი ჩრდილოეთ ამერიკაში დაბრუნების შემდეგ არ წარადგენს საერთო მოხსენებას საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. დელეგაციის ყოველ წევრს უფლება აქვს წარადგინოს თავისი მოხსენება და აღნიშნოს საკუთარი აზრი (ადს).

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. საქმიანი წრეების ორგანო „ჯორნელ ოფ კომერს“-ი სწერს:

„ამერიკის სპეციალისტთა ახალი დელეგაცია მიემგზავრება საბჭოთა კავშირში, იმ ქვეყანაში, რომელსაც ჩვენი საქმიანი წრეები უფრო და უფრო ეცნობიან, მაგრამ რომლის აღმოჩენაც გეოგრაფიულ რუკაზე ჩვენმა მოხელეებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს.

საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას ჩვენთვის უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა. გონიერი ადამიანები კითხულობენ—ნუ თუ არ დადგა ის დრო, როდესაც ჩვენ ფხიზლად უნდა შევხედოთ საკითხს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეები იმ დრომდე ვერ მიიღებენ სრულსა და ხელსაყრელ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის უდიდეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რესურსების განვითარებაში, სანამ ჩვენი მთავრობა ასე ჯიუტობს და საბჭოთა კავშირის არსებობას არ სცნობს. საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხანია განმტკიცდა, მიუხედავად არა ერთხელ გავრცელებული ხმებისა, რომ იგი დაემხობა“.

ამ გაზეთის გარდა, საბჭოთა კავშირის ცნობას ბევრი სხვა ამერიკული გაზეთი მოითხოვს. (ადს).

თავდასხმის გამოძახილი უცხოეთში

გერმანელ მუშების მასიური დემონსტრაცია

ბერლინი, 17 ივლისი. ათ რაიონში გაიმართა მასიური დემონსტრაციები ლოზუნგით: „საბჭოთა კავშირი საფრთხეშია“, „**აქტიურ პასუხს გავცემთ იმპერიალისტების ყოველგვარ თავდასხმას ყველა ქვეყნის პროლეტარიატის სამშობლოზე**“. დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ათასმა მუშამ. დემონსტრანტები მიდიოდნენ დროშებით და პლაკატებით, მღეროდნენ ინტერნაციონალს და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს მუშათა უბნებში დემონსტრანტები დიდი აღტაცებით ეგებებოდნენ და მასიურად უერთდებოდნენ დემონსტრაციას. პოლიციამ მრავალ ადგილას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია დემონსტრაციას, განსაკუთრებით იმ ჯგუფებს, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი ეკუთვნიან წითელფრონტელთა აკრძალულ კავშირს. დააპატიმრეს დემონსტრაციის 25 მონაწილე. ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა გერმანიის ყველა დიდ ქალაქში (ადს).

„მუშათა კლასი სადარაჯოზე უნდა იდგეს“

სტოკჰოლმი, 17 ივლისი. სინდიკალისტების ორგანო „არბეტორენ“-ი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას ახასიათებს როგორც ჩინეთის რეაქციის პროვოკაციას, იმ ჩინეთის, რომლის ზურგს იქითაც დგანან იმპერიალისტური სახელმწიფოები, პირველ რიგში იაპონია. გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას ჩინეთში.

საბჭოთა კავშირს არ შეუძლია ხელი აიღოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, რადგან იგი დაჰკარგავს გასავალს წყნარ-ოკეანეში და საფრთხის ქვეშ დააყენებს ეხლანდელ მონღოლეთს. მუშათა კლასი სადარაჯოზე უნდა იდგეს (ადს).

ფრანგული პრესა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

პარიზი, 17 ივლისი. ფრანგული პრესა გამძაფრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის განვითარებას.

უკიდურესი მემარჯვენე გაზეთები „ვიქტუარ“-ი და „ფიგარო“ იწონებენ ჩინეთის ხელისუფლების მოქმედებას. ეს გაზეთები ჩინეთის ასეთ მოქმედებას ამართლებენ „ბოლშევიკურ პროპაგანდაზე“ მითითებით და იმის აღნიშვნით, რომ კომინტერნი სცდილობდა ხელში ჩაეგდო მანჯურია, როგორც ეს მონღოლეთში მოახერხაო“.

მემარცხენე-ბურჟუაზიული პრესა, მიუხედავად რამდენადმე უფრო თავდაჭერილი ტონისა, არსებითად მემარჯვენე გაზეთების თვალსაზრისს იცავს. იგი აცხადებს, რომ ჩინეთის ხელისუფლების მოქმედება მოწმობს „მტკიცე გადაწყვეტილებას—ბოლო მოეღოს მოსკოვის რევოლიუციონურ პროპაგანდას ჩინეთის ტერიტორიაზე“.

ასეთსავე აზრს გამოსთქვამს შრომის რეფორმისტული კონფედერაციის ორგანო „პეპლი“;

კომპარტიის ორგანო „ლუმანიტე“ სწერს: „**საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მოთმინებას ბოლო ელება.** მანჯურიის ხელისუფლების პროვოკაციული მოქმედებას საბჭოთა ხელისუფლება შეაფასებს, როგორც პირდაპირ (გამოწვევებულია). **მანჯურიაში ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები ააშკარავებენ იმპერიალისტების ცდას—ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი ომში. ეს ამბები ერთხელ კიდევ ამტკიცებენ კომპარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგების სისწორეს და უაღრეს აქტუალობას. ეს ლოზუნგებია—საბჭოთა კავშირის დაცვა და ბრძოლა მოახლოვებული იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ**“. (ადს).

„ტოკიო ასახი“-ს ცნობა

ტოკიო, 17 ივლისი. „ტოკიო ასახ“-ი იუწყება: „მიუხედავად მდგომარეობის გამწვავებისა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოპტიმისტურად უყურებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შედეგებს და ფიქრობს, რომ ბოლოს, ჩინეთი მიიღებს საბჭოთა წინადადებას მოლაპარაკების შესახებ“.

იგივე გაზეთი იაპონიის სამხედრო წრეების თვალსაზრისის შესახებ სწერს:

„სამხედრო წრეებს არა სჯერათ შეიარაღებული შეტაკების შესაძლებლობა, მაგრამ თუ ასეთი შეტაკება მოხდა, სამხედრო ხელისუფლება არ ფიქრობს ჩაერიოს კონფლიქტში, თუ დარღვეული არ იქნა იაპონიის უფლებები და ინტერესები“.

გაზეთის სიტყვით, კაბინეტის სხდომაზე სამხედრო მინისტრმა უგაკიმ განაცხადა, რომ თუმცა მანჯურიის საზღვარზე საბჭოთა ჯარის რაოდენობა ნაკლებია ჩინეთისაზე, მაგრამ ტეხნიკურად იგი ჩინეთის ჯარზე მაღლა სდგას. უგაკის სიტყვით, საზღვარზე საბჭოთა ჯარების რაოდენობა 80.000 კაცს უდრის, ხოლო ჩინეთის ჯარისა—150.000 კაცს. (ადს).

იაპონური გაზეთები ნანკინის მთავრობის პოზიციის შესახებ

ტოკიო, 17 ივლისი. იაპონური გაზეთების უმრავლესობა სწერს, რომ ნანკინის მთავრობის პოზიცია „ნაკლებად მტკიცეაო“. ამას ხსნიან იმით, რომ მთელი ქვეყნის პრესა, აგრეთვე ყველა სახელმწიფო, განსაკუთრებით, იაპონია უარყოფითად შეხვდნენ ჩინეთის საქციელს. (ადს).

უცხოეთის გაზეთების კომენტარიები

შანხაი, 17 ივლისი. უცხოეთის გაზეთები ათავსებენ ყველა ქვეყნის გაზეთების გამოძახილს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გარშემო. უცხოეთის ყველა გაზეთი აშკარად გმობს ნაციონალური მთავრობის პოზიციას. ამან აქ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩინური გაზეთები, საცენზურო პირობების გამო, ბეჭდავენ მხოლოდ ზევიდან ნაკარნახევ დეპეშებს ნანკინიდან და ხარბინიდან. საქმესთან დაახლოვებულ ჩინურ წრეებში ამ ცნობებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ (ადს).

იაპონიის პრესა ჰგმობს ჩინელების მოქმედებას

ტოკიო, 18 ივლისი. „ნიცი ნიცი“ ჩინელების მოქმედებას დაუშვებლად სთვლის საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით.

„ძი-ძი“-ც მკაცრად ჰგმობს ჩინეთის მოქმედებას. გაზეთი ურჩევს ეროვნულ მთავრობას —დასთანხმდეს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრაზე და გამოსთქვამს იმედს, რომ კონფლიქტი უომოდ მოგვარდება.

„ჯაპან ტაიმს“-ი ხაზს უსვამს, რომ ეროვნულმა მთავრობამ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებით ჩაიდინა „**უკანონო ძალმომრეობითი მოქმედება იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელმაც განაცხადა რომ მზად არის ყოველმხრივი ანგარიში გაუწიოს ჩინეთის სურვილებსო**“ (ადს).

იაპონია და ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

ტოკიო, 17 ივლისი. ცნობამ იმის შესახებ, რომ სერებრიაკოვი აღარ მიემგზავრება ხარბინში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხმა და ჩინეთის საქმეთა რწმუნებულის (მოსკოვში) უკანასკნელმა ცნობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ტოკიოში. ამ ფაქტებს ყველა წრე სთვლის საბჭოთა მთავრობის ნამდვილად გადამჭრელი პოზიციის გამოხატულებად. საერთო შთაბეჭდილება იაპონიაში ისეთია, რომ ჩინეთის პოზიცია ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში საგრძნობლად შერყეულია (ადს).

„ივნინგ პოსტ“-ის ცნობა

შანხაი, 17 ივლისი. როგორც ამერიკის გაზეთი „ივნინგ პოსტ“-ი იუწყება, შესაძლებელია საბჭოთა ულტიმატუმის შემდეგ ჩინეთის მთავრობამ საბჭოთა მოქალაქეებისა და კომერციული ორგანიზაციების წინააღმდეგ ისეთივე ნაბიჯები გადადგას შანხაიში, როგორც ხარბინში. არის ცნობა, რომელიც ჯერ არაა შემოწმებული, რომ სეტლმენტის ხელისუფლების დახმარებით ჩინელები ფიქრობენ დახურონ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სააგენტო და შორეულ აღმოსავლეთის ბანკის განყოფილება შანხაიში და გადაასახლონ საბჭოთა მოქალაქენი. (ადს).

ანგარიშში მოსტყუვდენ

ტოკიო, 17 ივლისი. „ძი-ძი“-ს პეიპინელი კორესპონდენტი სწერს:

„როდესაც ჩინეთის მთავრობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას შეუდგა, ის ფიქრობდა, რომ სახელმწიფოები ამას გულგრილად შეხვდებოდნენ, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ უცხოელთა წრეები უარყოფითად შეხვდნენ ძალმომრეობას, განსაკუთრებით ინგლისის მუშათა პარტიის ორგანოში „დეილი ჰერალდ“-ში დაბეჭდილმა წერილმა ჩინელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“. (ადს).

„ნიცი-ნიცი“ რუსი თეთრგვარდიელების კორპუსის შედგენის შესახებ

ტოკიო, 17 ივლისი. „ნიცი-ნიცი“ და სიმბუნ-რენგოს სააგენტო ხარბინიდან იუწყებიან, რომ ჩინელები უკვე შეუდგნენ რუსი თეთრგვარდიელების კორპუსის შედგენას სემიონოვის მეთაურობით. კორპუსის მეთაურთა შემადგენლობაში შევლენ აგრეთვე ხორვატი და მერკულოვი. ამავე ცნობის თანახმად, დაირენში სემიონოვი ინახულა ოსტროუმოვმა. (ადს).

ჩინური გაზეთები ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

შანხაი, 17 ივლისი. ჩინური გაზეთები სცდილობენ შეამცირონ ულტიმატუმის მნიშვნელობა და მიჩქმალონ მდგომარეობის სერიოზულობა. გაზეთები გამოსთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობა არ მიმართავს „სხვა ზომებს“ და რომ შეეცდება მშვიდობიანი გზით გადასწყვიტოს კონფლიქტი.

ჩინური გაზეთები ბევრ ადგილს უთმობენ სახელმწიფოების, განსაკუთრებით იაპონიის კრიტიკას, რომელიც ერევა ან მზად არის ჩაერიოს კონფლიქტში. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი განხილულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან ჩინური გაზეთები იაპონიის კონსულის მოქმედებით ხარბინში, რომელმაც სამი პროვინციის ხელისუფლებას თითქოს განუცხადა პროტესტი მათი მტაცებლური მოქმედების წინააღმდეგ. გაზეთები იაპონიის მთავრობისაგან მოითხოვენ ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, —დაავალა თუ არა მან თავის ხარბინელ კონსულს, რომ ამ უკანასკნელს განეცხადებია ამგვარი პროტესტი. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტესტების ტალღა საბჭოთა კავშირში

რუსეთის ქალაქებში

მოსკოვი, 18 ივლისი. სრულიად რუსეთის ცაკისა და რევოლუციის სახელობის სკოლის კურსანტების, წითელ არმიელებისა და მეთაურთა შემადგენლობის საერთო კრება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინეთის ხელისუფლების თავდასხმის გამო სთხოვს საბჭოთა კავშირის მთავრობას— მიიღოს გადამჭრელი ზომები იმპერიალისტ ბანდიტების წინააღმდეგ. კრება აცხადებს, რომ წითელი არმია და მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი—სრულიად რუსეთის ცაკის სახელობის სკოლა, ყოველ წუთში მზად არის გამოეხმაუროს მთავრობისა და კომპარტიის მოწოდებას და დასძრას თავისი ძალები საბჭოების ქვეყნის დასაცავად (ადს).

მოსკოვი, 18 ივლისი. სამხედრო სკოლებისათვის მოსამზადებელი კურსების მსმენელთა ჯგუფმა, 84 კაცმა, კოლექტიურად მიმართა სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს განცხადებით, რომელშიაც ისინი სთხოვენ სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს, რომ თუ მოხდა თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, ისინი ჩარიცხულ იქნან მოხალისეებად მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად (ადს).

მოსკოვი, 18 ივლისი. 17 ივლისს მოსკოვის მუშები მესამედ გამოვიდნენ ქუჩებში რათა განეცხადებიათ ენერგიული პროტესტი და გამოეთქვათ აღშფოთება ომის გამღვივებელთა უმაგალითო თავხედური გამოსვლის გამო.

„რატომ არ არის პასუხი?“, ასეთი წარწერა ჰქონდა ვეებერთელა პლაკატს, რომელიც მთელი კოლონაზე იყო გადაჭიმული.

სასტვენებით შეიარაღებული დემონსტრანტები გამაყრუებულად სტვენდნენ. სამი დღეა არ ნელდება პროტესტების ტალღა. იგი არ შენელდება იმ დრომდე, ვიდრე ყველა ერის ხუნხუზები უარს არ იტყვიან იმაზე, რომ ხელი შეუშალონ პროლეტარიატს სოციალიზმის მშენებლობაში (ადს).

მოსკოვი, 18 ივლისი. მოსკოვში მცხოვრებმა ჩინელებმა დემონსტრაციაზე გადასწყვიტეს გაუგზავნონ ნაკინის მთავრობას დეპეშა, რომელშიაც მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მშრომელ ჩინელთა სახელით პროტესტს აცხადებენ ჩინეთის ხელისუფლების თავხედური თავდასხმის გამო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე (ადს).

მოსკოვი, 18 ივლისი. 17 ივლისს გლეხთა ცენტრალურ სახლში შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) უჯრედის სხდომა, რომელსაც ბლომად დაესწრნენ გლეხთა წარმომადგენელნი. კრებაზე ირჩეოდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინელი მილიტარისტების თავდასხმის საკითხი. კამათში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეების გლეხებმა, ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მთავრობისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას.

ამხ. კაბარდინოვმა წითელი ყაზახობის სახელით განაცხადა, რომ ყაზახები წითელი არმიის რიგებისაკენ მიილტვიან.

მიღებულ იქნა სასტიკი საპროტესტო რეზოლუცია.

კრებაზედვე დაიწყო ხელის მოწერა ახალ სესხზე. რამდენსამე წუთში 2.000 მანეთი შეგროვდა (ადს).

მოსკოვი, 18 ივლისი. „ცენტროიზდატ“-ის ქაღალდის ქარხნის მუშები და მოსამსახურეები აღშფოთებით აცხადებენ პროტესტს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინელი ბანდიტების ვერაგული თავდასხმის წინააღმდეგ. ეს თავდასხმა მათ მსოფლიო იმპერიალისტების მორიგ პროვოკაციად მიაჩნიათ (ადს).

ლენინგრადი, 18 ივლისი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით, მეცნიერებათა აკადემიაში შესდგა აკადემიის მუშაკთა სასწრაფო სხდომა, რომელსაც 500-მდე კაცი დაესწრო.

რეზოლუციაში, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჩინეთის მილიტარიზმს, მეცნიერები და აკადემიის მუშაკნი აღუთქვამენ მთავრობას, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან ერთსულოვნად დაიცვან თავიანთი პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში (ადს).

სმოლენსკი, 18 ივლისი. დასავლეთ ოლქის მშრომელთა გამოაქვთ რეზოლუციები წითელი არმიის განმტკიცების შესახებ. რუევსკის ოლქის კალაპოტის ფაბრიკის მუშებმა გადასდვეს ერთი პროცენტი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდისათვის და კოლექტიურად ჩაეწერნენ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრებად.

მოგილიოვი, 18 ივლისი. სამომხმარებლო კოოპერაციის სრულიად საკავშირო კულტთათბირმა მიიღო რეზოლუცია ჩინეთის მთავრობის მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ, კოოპერაციის კულტურულ მუშაკთა მრავალ მილიონიანი არმიის მებრძოლნი ვაცხადებთ, რომ სოციალისტურ სამშობლოს პირველ დაძახებისთანავე დავიცავთ სოციალიზმის მონაპოვარს ჩინეთისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ერთად“ (ადს).

კოკანდი, 18 ივლისი. ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შესდგა მფრინავი საპროტესტო მიტინგები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინელი მილიტარისტების თავდასხმის წინააღმდეგ. რეზოლუციებში მოითხოვენ, რათა საბჭოთა მთავრობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები ჩინელი რეაქციონერების წინააღმდეგ (ადს).

ხარკოვი, 18 ივლისი. ხარკოვში მცხოვრებ ჩინელებისა და კორეელების საზოგადო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმის შესახებ, დაუშვებლად მიიჩნია გზის ქონების მოტაცება. იგი პროტესტს აცხადებს საბჭოთა ორგანიზაციების დარბევისა და საბჭოთა მოქალაქეების გადასახლების წინააღმდეგ. „ჩვენს სამშობლოში, საბჭოთა ქვეყანაში, ჩვენ ვაშენებთ სოციალისტურ საზოგადოებას, ვანვითარებთ სოფლის მეურნეობას, ვამაღლებთ ჩვენს კულტურულ დონეს. ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ, თუ საჭირო იქნება, შევსძლებთ იმ საბჭოთა კავშირის დაცვას, რომელიც არის ყველა ქვეყნის მშრომელთა სამშობლო. თუ ჩინელი ბანდიტები, გენერლები, კონტრ-რევოლუციონერები, მუშათა კლასის ჯალათები და იმპერიალისტური სახელმწიფოების ინგლისის, იაპონიის, საფრანგეთის და სხვათა ლაქიები გამოგვიწვევენ ომში, ჩვენ, ჩინელები და კორეელები, რომლებიც ხარკოვში ვცხოვრობთ, ავიღებთ ხელში თოფს და წავალთ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. ჩვენ ყველანი წავალთ ბრძოლის ველზე, როგორც წავედით 1917 წლის ოქტომბერში, და ისევე ვიბრძოლებთ ჩინეთის კონტრ-რევოლუციონერების წინააღმდეგ, როგორც ვიბრძოდით დენიკინელებს, თეთრ პოლონელებს, კოლჩაკოველებს და საბჭოთა კავშირის სხვა მტრებს, ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას, რომ აიძულოს ჩინეთის გენერლები და ბანდიტები—დააბრუნონ რკინის გზაზე ნაძარცვი ქონება და გაანთავისუფლონ დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქენი. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ უნდა დარაზმოს ჩინელი მუშები და გლეხები გენერლების ბრბოსთან საბრძოლველად. ჩვენ ყველანი წავალთ საბჭოთა კავშირის დასაცავად. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! ძირს გენერლებისა და ბანდიტების ბრბო!“.

ხაბაროვსკი, 18 ივლისი. ხაბაროვსკში შესდგა მშრომელთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბების გამო. ასეთივე დემონსტრაციები მოხდა შორეული აღმოსავლეთის ყველა ქალაქში. მშრომელნი მოითხოვენ ბოლო მოეღოს საბჭოთა მოქალაქეების აბუჩად აგდებას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უფლებათა აღდგენას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.

საპროტესტო მიტინგები მოხდა კამჩატკის პეტროპავლოვსკში, სახალინის ალექსანდროვსკში და სხვა შორეულ პუნქტებში. (ადს).

ვერხნეუდინსკი, 18 ივლისი. ირკუტსკის გარნიზონის ნაწილებმა ამხ. ვოროშილოვს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც აცხადებენ, რომ მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან საბჭოთა მთავრობის მოთხოვნები (ადს).

საქართველოში

თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია

თბილისის წარმოება-დაწესებულებებში გუშინ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ კვლავ გაიმართა საპროტესტო მიტინგები ჩინეთის მილიტარისტების ბანდიტური ანტი-საბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ. მუშა-მოსამსახურენი ერთხმად სდებენ ფიცს, რომ საჭიროების დროს დაუყოვნებლივ ჩადგებიან წითელი არმიის რიგებში, თავისი მკერდით დაიცავენ პროლეტარულ სახელმწიფოს და ნებას არავის მისცემენ გასთელონ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები.

მიტინგების დამთავრების შემდეგ მუშა-მოსამსახურენი მწყობრად გამოეფინენ ქუჩებზე დროშებით და პლაკატებით, რომლებზედაც წარწერილია სხვადასხვა საპროტესტო ლოზუნგები. რუსთაველის პროსპექტზე დემონსტრაციამ მიიღო გრანდიოზული ხასიათი. დემონსტრანტები გაემართნენ მთავრობის სასახლისკენ, სადაც გაიმართა დიდი მიტინგი. ილაპარაკეს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირი მთელი თავისი არსებობის დროიდან იბრძვის საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის. საბჭოთა კავშირის მშრომელნი ჩაბმული არიან სოციალისტურ მშენებლობაში. მაგრამ ჩვენი მიღწევები მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის ჩაშლას და პროლეტარიატის დიქტატურის დამხობას. ჩვენი მოთმინება და მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ დიდია, მაგრამ ნუ დაივიწყებენ ჩვენი მტრები, რომ ჩვენი კოჟრიანი ხელები ისევე არიან შეჩვეული იარაღს, როგორც ჩაქუჩსა და ნამგალს. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან გადამჭრელ ზომებს იმპერიალისტებისა და მათი ფინიების ასალაგმავად და ვუცხადებთ, რომ როგორც ერთი კაცი გამოვალთ იარაღით ხელში ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ჩინელი განათლების მუშაკი კიმ-სიმ-ბეი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩინეთის ბურჟუაზია და მსოფლიო იმპერიალისტები გლეხობისა და პროლეტარიატის გაუგონარ ჩაგვრას განაგრძობენ. ჩინეთის მშრომელმა მოსახლეობამ კარგად იცის, რომ მისი საიმედო მეგობარი არიან საბჭოთა კავშირი და მთელი მსოფლიო რევოლუციური პროლეტარიატი. იმპერიალისტები და მათი ლაქია ჩინელი მილიტარისტები ცდილობენ ჩინეთის მშრომელი ხალხის და საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჩაშლას და მათ ჩაბმას სისხლის მღვრელ ომში. მაგრამ დეე იცოდენ ამ არამზადებმა, რომ იმ ცეცხლს, რომლის დანთებას ისინი ლამობენ, მოჰყვება რევოლუცია, რომელიც საბოლოოთ აღგვის მათ ამ ქვეყნის პირიდან. გაუმარჯოს ჩინეთის და მთელი მსოფლიოს რევოლუციონურ პროლეტარიატს. გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს.

ამხ. კიმ სიმ-ბეი-ს სიტყვა დაფარა ზღვა ხალხის ერთსულოვანმა ტაშმა.

დემონსტრანტებს მთავრობის სახელით მიმართეს ამხ. ს. თოდრიამ, ბებზადიანმა, გუსეინოვმა, ერზიკიანმა და პირუმოვმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჩვენი მშვიდობიანობისადმი მისწრაფებას ჩვენი მტრები ხსნიან ჩვენი სისუსტით და ცდილობენ ომში ჩაგვაბან. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ თუ არ მოგვასვენებენ, შევსძლებთ იარაღით ხელში ჩვენი თავის დაცვას და ჩვენი კლასიური მტრების განადგურებას. ამ საქმეში ჩვენთან ერთად იბრძვის მსოფლიო რევოლუციონური პროლეტარიატი, მათ შორის ჩინეთის მშრომელი ხალხი. ჩვენმა მთავრობამ ჩინეთის მილიტარისტებს კატეგორიულად მოსთხოვა ჩვენი შელახული უფლებების აღდგენა. ჩინეთის ხელისუფლებამ ჩვენს მოთხოვნაზე გაგვცა არადამაკმაყოფილებელი პასუხი. ჩვენ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს თავზე ხელ აღებულ ყაჩაღების ასალაგმავად.

შემდეგ ილაპარაკეს ტრამვაის და ლითონის მრეწველობის მუშებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობენ მშვიდობიან მუშაობას დაზგასთან, მაგრამ ამავე დროს ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მიმდინარე ამბებს, რომ საჭიროების დროს ჩაქუჩის მაგივრად თოფით გაუწიონ სამსახური ჩვენს პროლეტარულ სამშობლოს.

დემონსტრაცია დაიშალა 5 საათზე.

—:—

წითელ მებრძოლთა პროტესტი

17 ივლისს ტერიტორიალური დივიზიის ბანაკში შესდგა საპროტესტო მიტინგები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ბანდიტურ თავდასხმის გამო. მიტინგები გაიმართა ყველა ტერიტორიალურ ლეგიონებში.

მიტინგებზე გაკეთებული იქნა მოხსენებები თავდასხმის შესახებ და იმ ზომებზე, რომლებსაც მიმართა საბჭოთა ხელისუფლებამ ინციდენტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად.

მოხსენების დამთავრების შემდეგ სიტყვით გამოვიდენ ცვალებადი წითელი არმიელები. ისინი აღნიშნავდნენ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას, იმპერიალისტების ცდას, ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი ახალ, სისხლისმღვრელ ომში და მოითხოვდნენ სასტიკი ზომების მიღებას გათავხედებულ ჩინელ რეაქციონერების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ ნაკისრ ვალდებულებას.

არმიელები აცხადებდნენ, რომ ისინი, როგორც ერთი კაცი, სალი კლდესავით აღიმართებიან წითელი საზღვრების დასაცავად და არავის მისცემენ ნებას ხელი შეუშალოს საბჭოთა მოქალაქეების მუშაობას სოციალისტური მშენებლობის დარგში.

მიტინგებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიაც წითელი მებრძოლები და მეთაურები მოითხოვენ გათავხედებულ იმპერიალისტების ერთხელ და სამუდამოდ ალაგმვას.

უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შევებრძოლებით საბჭოთა კავშირის მტრებს

„საქართველოს ჩაი“-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბების შესახებ ნათქვამია: „სასტიკ პროტესტს გამოვთქვამთ საერთაშორისო იმპერიალისტების აგენტების თავხედ და პროვოკაციულ გამოსვლის გამო. ჩინეთის იმპერიალისტების ყაჩაღური თავდასხმა არის ელემენტარულ საერთაშორისო უფლებების უაღრესად უხეში დარღვევა. ჩვენ გვწამს რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ შემთხვევაშიაც ჯეროვან პასუხს გასცემს თავაშვებულ ბანდიტებს. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე ჩავდგებით სოციალისტურ სამშობლოს დამცველთა რიგებში და იარაღით ხელში დავიცავთ დიდი ოქტომბრის მონაპოვართ.

ძმურ სალამს ვუგზავნით ჩინეთის ჯალათების ზურგს იქით მდგომ ჩინეთის მუშებსა და გლეხებს; გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ჩინეთის დაჩაგრული მასები კომინტერნის ხელმძღვანელობით დაამხობენ ბურჟუაზიას.

ძირს ჩინეთის ჯალათები!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თავდაცვას!

—:—

ურყევად დავიცავთ დიდი ოქტომბრის მონაპოვართ

რკინის გზის მე-6 სალიანდაგო უბნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ცნობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ჩინეთის იმპერიალისტების თავდასხმის შესახებ. კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ჩინეთის მთავრობის ხულიგნურ გამოსვლის წინააღმდეგ და მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისაგან, რათა ასეთ პროვოკაციულ გამოსვლების წინააღმდეგ მიღებული იქნეს საჭირო ზომები. ვაცხადებთ საბჭოთა კავშირის მტრების გასაგონად, რომ არავითარი მუქარის არ გვეშინია და საჭიროების დროს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ დიდი ოქტომბრის მონაპოვარს“.

—:—

ქალ. თბილისის საქ. სადგურის მუშა-მოსამსახურეთა ხმა

ქალაქ თბილისის საქალაქო სადგურის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგმა მოისმინა რა ცნობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ყაჩაღური თავდასხმის შესახებ, სასტიკ პროტესტს აცხადებს მსოფლიო იმპერიალისტების ფინიების პროვოკაციულ გამოსვლის გამო. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თუ ვინმე თვით მოგვახვევს მას თავს,—მზად ვართ იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.

ძირს ჩინეთის მილიტარიზმის ბოროტზრახველები!

ძირს მსოფლიო ომი.

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩინეთის პროლეტარიატს და რევოლუციონურ გლეხობას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

ადგილებზე

იარაღით ხელში დავიცავთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას

სამტრედია, 18 ივლისი. სამტრედიის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს ჩინეთის მთავრობის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე პროვოკაციულ თავდასხმის გამო. ჩვენ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ არ გვინდა ომი, მაგრამ თუ ბურჟუაზია და მათი ლაქია მეორე ინტერნაციონალი გაბედავენ ჩვენი წითელი საზღვრების გადმოლახვას,—მზად ვართ იარაღით ხელში გავცეთ მათ ჯეროვანი პასუხი. ზიზღი იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, ჩინეთის იმპერიალისტურ მთავრობას და ლაქია მეორე ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თავდაცვას!

—:—

ვაი იმას, ვისაც მშრომელთა რისხვა თავს დაატყდება

ჭიათურა, 18 ივლისი. ჭიათურის შავი ქვის ტრესტის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის ქარხნის მუშათა მრავალრიცხოვანი მიტინგი სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს 10 ივლისს მომხდარ ჩინეთის მთავრობის და რუს თეთრ-გვარდიელების აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმის გამო. მთელი ქვეყნის გასაგონად ვაცხადებთ, რომ არა გვსურს ომი, მაგრამ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის ხელის შეშლას და თუ ჩინეთის მთავრობა არ დააკმაყოფილებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ 13 ივლისს წარდგენილ კანონიერ მოთხოვნილებებს, როგორც ერთი გამოვალთ იარაღით ხელში და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ დიდი ოქტომბრის მონაპოვართ!

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციონურ პროლეტარიატს და მსოფლიო რევოლუციის მთავარ შტაბს—კომინტერნს!

—:—

მუქარის არ გვეშინია

ტყიბული, 18 ივლისი. ტყიბულის მაღაროების და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს ჩინეთის მთავრობის და რუსეთიდან გადახვეწილ თეთრგვარდიელების პროვოკაციულ მოქმედების გამო. ჩინეთის ნაგაზი გენერლები ვერ გამძღარან ჩინეთის გაძვალტყავებულ მშრომელი მასის სისხლით, რომლითაც მორწყულია ჩინეთის მთელი ტერიტორია. ეხლა ჩინეთის გათავხედებული სამხედრო კასტა, რუსეთიდან გაქცეული თეთრგვარდიელებთან ერთად, თავს ესხმის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას და აპატიმრებს საბჭოთა კავშირის მუშა-მოსამსახურეებს. მოვითხოვთ მთავრობისაგან გადამჭრელ ზომებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ნორმალური პირობების აღსადგენად და ჩვენი მთავრობის კანონიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. კმარა მოთმენა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არავითარ მუქარის არ გვეშინია და საჭიროების დროს როგორც ერთი გავალთ იარაღით ხელში ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

—:—

სოხუმი, 17 ივლისი. გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაცია აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე და ხარბინის საბჭოთა წარმომადგენლობაზე ჩინელი სამხედრო ხროვის და რუსი თეთრგვარდიელების თავდასხმის წინააღმდეგ. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„სოხუმის მუშები და მოსამსახურეები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ უცხოეთის კაპიტალის საზიზღარი აგენტების—თავაშვებული ჩინელი მილიტარისტების წინააღმდეგ. მუშები და მოსამსახურეები აცხადებენ, რომ ეს თავდასხმა უხეში დარღვევაა იმ შეთანხმებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხელისუფლების შორის არის დადებული. თავდასხმას მიზნად აქვს გამოიწვიოს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სოხუმის მუშები და მოსამსახურენი მზად არიან საბჭოთა ხელისუფლების პირველ დაძახებისთანავე იარაღით ხელში გამოვიდნენ საბჭოთა სახელმწიფოს დასაცავად და ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძმური ურთიერთობის განსამტკიცებლად; ამავე დროს ისინი გადაჭრით მოითხოვენ მთავრობისაგან—შესაფერი პასუხი გასცეს მან გენერლებისა და გახულიგნებული თეთრი ბანდიტების ხროვას. სოხუმის მშრომელები მოითხოვენ ჩინეთის ჯარის დაუყოვნებლივ წაყვანას საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან, საბჭოთა დაწესებულებების და ორგანიზაციების აღდგენას ხარბინში და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, საბჭოთა კავშირის დაპატიმრებულ მოქალაქეთა განთავისუფლებას და თეთრგვარდიელთა განდევნას ყველა იმ თანამდებობიდან, რომლებიც მათ მიეცათ თავდასხმის შემდეგ. საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მშრომელები არ დაუშვებენ, რომ რეაქციონერებმა ხელი შეახონ პროლეტარული დიქტატურის სიმაგრეს—საბჭოთა კავშირს. ჩვენ მუდამ მზად ვართ პასუხი გავცეთ ყველას, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს მშენებლობას იმ ქვეყანაში, რომელიც რევოლუციის კერას წარმოადგენს“ (ადს).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ურთიერთობის აღდგენის დაგვიანება საზარალოა თევზის სარეწაოებისათვის

ლონდონი, 17 ივლისი. თემთა პალატაში მაიორი მაკენზი ვუდი საგარეო საქმეთა მინისტრს ჰენდერსონს შეეკითხა: იცის თუ არა მან, რომ თევზის სარეწაოები ძალიან დაზარალდებიან, თუ მრეწველობის ამ დარგში დაინტერესებულ პირებს ოქტომბრის ან ნოემბრის დამლევამდე არ ეცოდინებათ გარკვეული გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ჰენდერსონმა უპასუხა, რომ იგი ვერ იკისრებს დანიშნოს სპეციალური დღე ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხზე განცხადებისათვის.

მუშათა პარტიის წევრი ტერტლი შეეკითხა: სწორია თუ არა ვერსია იმის შესახებ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არ განახლდეს პარლამენტის შემოდგომის სესიამდე (ადს).

მზადება 1-ლ აგვისტოსათვის

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების კომპარტია ენერგიულად ემზადება 1 აგვისტოს დღისათვის. ნიუ-იორკში პარტია გამოიყენებს მუნიციპალიტეტის საარჩევნო კამპანიას და თავის კანდიდატებს წამოაყენებს ნიუ-იორკის მერად და მუნიციპალური საბჭოს წევრებად. პარტია საარჩევნო კამპანიას ჩაატარებს შემდეგი ლოზუნგებით: საყოველთაო გაფიცვა 1 აგვისტოს, ბრძოლა ომის საფრთხის გაძლიერების წინააღმდეგ, პროტესტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინეთის ხელისუფლების ყაჩაღური თავდასხმის წინააღმდეგ და ბრძოლა საბჭოთა კავშირის დასაცავად. პარტია ამხილებს პოლიციურ ტერორს, რომელსაც ეხლანდელი დემოკრატიული მუნიციპალიტეტი მიმართავს მუშათა ორგანიზაციების, განსაკუთრებით გაფიცულ მუშების წინააღმდეგ.

კომუნისტები მოითხოვენ სოციალური დაზღვევის შემოღებას, მუნიციპალური გადასახადების გაუქმებას და ზანგების სრულ თანასწორუფლებიანობას (ადს).

მუშაობის შეწყვეტა 1 აგვისტოს

ბერლინი, 17 ივლისი. მუშა-მეტყაველთა ბერლინის კავშირის ხელმეორე კრებაზე სოციალ-დემოკრატების ხმების წინააღმდეგ საგრძნობი უმრავლესობით მიღებულ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ 1 აგვისტოს მუშაობა საწარმოებში დემონსტრატიულად შესწყდეს 1 საათით ადრე.

ბერლინის ფეხსაცმელის უდიდესი ფაბრიკის მუშათა საქარხნო კრებამაც მიიღო დადგენილება 1 აგვისტოს სამუშაოს შეწყვეტის შესახებ (ადს).

მუშათა კონფერენცია ომის საფრთხის წინააღმდეგ

ბერლინი, 17 ივლისი. მოხდა საწარმოებში არჩეული მუშათა დელეგატების კონფერენცია. სხვებთან ერთად კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ ისეთი მსხვილი ფირმების მუშები, როგორიცაა „ელექტრონის საყოველთაო კამპანია სიმენს“-ი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრმა მეკერტმა გააკეთა მოხსენება იმპერიალისტური ომის საფრთხესთან და ფაშიზმთან ბრძოლის შესახებ.

კონფერენციამ აირჩია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლ ბერლინის კომიტეტი, რომელ'შიც შევიდნენ მსხვილ საწარმოთა და პროლეტარულ რევოლუციონურ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. გარდა ამისა, კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირს, მის სამშვიდობო პოლიტიკას და იმ მტკიცე პოზიციას, რომელიც მან დაიჭირა იმპერიალისტური პროვოკატორებისა და მათი დამქაშების მიმართ.

კონფერენცია მოუწოდებს მუშებს, მიიღონ მხედველობაში იმპერიალისტური ომის საფრთხის ზრდა და ყველგან აირჩიონ მებრძოლი კომიტეტები. კონფერენციამ ბერლინის ცენტრალურ მებრძოლ კომიტეტს მიანდო—დაუყოვნებლივ ჩაატაროს ყველა საჭირო გამოსვლა, თუ ვინიცობაა გართულდება ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ამჟამად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამხედრების გამო. (ადს).

კომუნისტური გაზეთების აკრძალვა

პრაღა, 17 ივლისი. სამი ჩეხო-სლოვაკური კომუნისტური ყოველდღიური გაზეთის (მათ შორის ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს) აკრძალვის შემდეგ სამი სხვა კომუნისტური გაზეთი კიდევ დახურეს.

ამგვარად, 9 კომუნისტური გაზეთიდან ერთი თვის ვადით აკრძალულ იქნა 8 გაზეთი, მაშასადამე, დახურეს ყველა კომუნისტური გაზეთები, გარდა ერთად-ერთი პროვინციალური ორგანოსი (ადს).

ინციდენტი ბულგარეთ-სამხრეთ სლავიის საზღვარზე

პარიჟი, 17 ივლისი. გაზეთების ცნობით, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა სოფიაში მიუთითეს ბულგარეთის მთავრობას იმ მუდმივ ინციდენტებზე, რომლებიც ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე ხდება. ამის გამო ბულგარეთის გარეშეს საქმეთა მინისტრმა, რომელიც პარიზში იმყოფება, ბრიანი ინახულა (ადს).

აეროპლან „საბჭოთა ფრთები“-ს გადაფრენა

პარიჟი, 17 ივლისი. აეროპლანის „საბჭოთა ფრთების“ შეუჩერებელი გადაფრენა ბერლინ-პარიზის ხაზით მოხდა ფრანკფურტ-საარბრიუკენ-საარბურგის მარშრუტით. აეროპლანმა გვერდი აუარა საფრანგეთის აკრძალულ ზონას. აეროპლანი მიფრინავდა 400—500 მეტრის სიმაღლეზე; ფრენის საშუალო სისწრაფე 180 კილომეტრს უდრიდა.

აეროპლანი ლებურჟეს აეროდრომზე მივიდა ერთი საათით ადრე დანიშნულ დროსთან შედარებით. აეროდრომზე შეგროვდენ საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები პარიზში, ლიუფტგანზის, პრესის წარმომადგენელნი, ფოტო-რეპორტიორები, კინო-ოპერატორები, აგრეთვე პოლიციის ბევრი აგენტი.

აეროპლანით მისულნი გაემართნენ საპასპორტო-საბაჟო საკონტროლო პუნქტში, რომელიც გარსშემორტყმული იყო ავტომობილებით მოსული პოლიციის რაზმებით. საბაჟო პროცედურა გაგრძელდა საათზე მეტ ხანს და განსაკუთრებული სიმკაცრით სწარმოებდა. ბარგის გასინჯვის დროს განსაკუთრებული ყურადღებას აქცევდნენ გაზეთებს, წიგნებს და ხელთნაწერს (ადს).

საფრანგეთის გაზეთები „საბჭოთა ფრთების“ შესახებ

პარიჟი, 17 ივლისი. ყველა გაზეთში მოთავსებულია ცნობა „საბჭოთა ფრთების“ მოფრენის შესახებ. აღნიშნულია, რომ აეროპლანი ბერლინიდან გადმოფრინდა ვადაზე ბევრად ადრე. გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ აეროპლანი მთლიანად აგებულია საბჭოთა მასალისაგან და საბჭოთა ნახაზების მიხედვით. გაზეთების უმრავლესობა დუმილით შეხვდა პოლიციის მიერ მიღებულ ზომებს (პოლიციელების თავმოყრა აეროდრომზე).

მხოლოდ უკიდურესმა მემარჯვენე „ფიგარო“-მ და „ვიქტუარ“-მა ორჭოფულად აღნიშნეს, რომ „პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი გამოწვეულ იქნა იმის გამო, რომ მოელოდნენ ხალხის შეგროვებას, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდაო (ადს).

საფრანგეთის სამხედრო ვალები

ბრიანის სიტყვა რატიფიკაციის გადადების შესახებ

პარიჟი, 17 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ბრიანმა ილაპარაკა ფრანკლენ ბუიონის (ლიდერია მემარჯვენე ფრთისა, რომელიც რადიკალებს გამოეყო) იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა რატიფიკაციის გადადებას იმ დრომდე, სანამ დაინტერესებული სახელმწიფოები არ მიიღებენ იუნგის გეგმას. ბრიანმა სთქვა: თხუთმეტამდე სახელმწიფო, რომელთაც შეერთებული შტატების ვალი მართებთ. ეს სახელმწიფოები მოითხოვდნენ, რომ მათი ვალის საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიღებულიყო მათი სამხედრო ზარალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სახელმწიფოებიდან ცამეტმა უშენიშვნოდ მოახდინა ამერიკასთან დადებული შეთანხმების რატიფიკაცია (ე. ი. მათ არ გაუკეთებიათ შენიშვნა იმის შესახებ, რომ ისინი გაისტუმრებენ თავიანთ ვალს გერმანიის რეპარაციების მიღებისდაგვარად). არ არსებობს არავითარი მიზეზი, იმისთვის, რომ შეერთებული შტატების რესპუბლიკამ საფრანგეთს დაუთმოს ის, რაზედაც მან უარი უთხრა სხვა სახელმწიფოებს.

„თუ თქვენ უარს იტყვით შეთანხმების რატიფიკაციაზე,—სთქვა ბრიანმა,—მაგრამ ამერიკას გადაუხდით მორიგ გადსახადს, 10 მილიარდ ფრანკს, მაშინ ინგლისიც წარმოგვიდგენს თავის ანგარიშს“.

დასასრულ ბრიანმა სთქვა:

„თუ თქვენ კენჭს უყრით ბუიონის წინადადებას, მაშინ მთავრობაში უნდა შევიდნენ სხვა პირები, რომლებიც ამ წინადადებას გაატარებენ ცხოვრებაში“.

ბუიონმა, პალატის უარყოფითი შეხვედრის გამო, მოხსნა თავისი წინადადება.

ბლიუმი (სოციალ-დემოკრატია) მხარს უჭერს რატიფიკაციის გადადებას და წინადადებას აძლევს მთავრობას—გაატაროს ცხოვრებაში განიარაღებისა და ნამდვილი მშვიდობიანობის პოლიტიკა.

ბლიუმის საპასუხოდ ბრიანმა განაცხადა:

„არ შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის მთავრობა გვერდს უხვევს მშვიდობიანობის ინტერესებს, მაგრამ საბოლოო და სრული შეთანხმება მთავრობათა კონფერენციაზე უნდა შემუშავდეს“.

შემდეგ ბრიანმა აღნიშნა, რომ მან მრავალი დადებითი პასუხი მიიღო თავის გეგმაზე ევროპის ახალი ორგანიზაციის შესახებ. საჭირო ევროპის ხელახალი ორგანიზაცია არა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ანარქიას და მოისპოს იმ კონფლიქტების მიზეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობიანობას“ (ადს).

პოლიტპატიმართა შიმშილობა

რიგა, 17 ივლისი. რიგის ცენტრალურ საპატიმროში პოლიტპატიმრები განაგრძობენ შიმშილობას, რომელიც მათ გამოაცხადეს მას შემდეგ, რაც საპატიმროში მღელვარება ჩაქრა. საპატიმროთა მმართველობამ ნება არ მისცა სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის დეპუტატებს—შესულიყვნენ საპატიმროში მღელვარებისა და შიმშილობის მიზეზების გამოსარკვევად (ადს).

პარტიაში

ბოლშევიკური რიგების წმენდა

პარტიის წმენდა წარმატებით მიმდინარეობს ადგილებზე

წმენდა უპარტიო მასების აქტივობისა და თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ ტარდება,—ულირსი წევრები პარტიის გარედ რჩებიან

ქუთაისი

ქუთაისის ორგანიზაციის უჯრედების შემადგენლობის შემოწმება მიმდინარეობს ფართო თვითკრიტიკისა და საქმიან მსჯელობის პირობებში. უჯრედების კრებებზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც პარტიული, აგრეთვე უპარტიო მასები.

ჯერ-ჯერობით შემოწმება დამთავრდა ქალაქის 7 უჯრედში: საავადმყოფოს, მშენებელთა, სახერხი ქარხნის, რიონჰესის, თამბაქოს ქარხნის, ფ.-ტელეგრაფის, აბრეშუმის და სასოფლო უჯრედებში—მუხიანის, წყალტუბოს და ოფურჩხეთის.

1) საავადმყოფოს უჯრედში კრებას დაესწრო: კომუნისტი და კომკავშირელები 30, უპარტიო 120; 14 წევრიდან შემოწმებაში გატარდა 11, მათში გაირიცხა 1, საყვედური გამოეცხადა 2.

2) მშენებელთა უჯრედში კრებას დაესწრო: კომუნისტი და კომკავშირელები 50, უპარტიო 110, 17 წევრიდან შემოწმებაში გატარდა 15, მათში გაირიცხა 1, საყვედური გამოეცხადა 1.

3) სახერხი ქარხნის უჯრედში კრებას დაესწრო: კომუნისტები—70, უპარტიო 125; 19 წევრიდან შემოწმებაში გატარდა 18, მათში გაირიცხა 1, საყვედური გამოეცხადა—2.

4) რიონჰესის უჯრედში კრებას დაესწრო კომუნისტები—110, უპარტიო—150, 67 წევრიდან შემოწმებაში გატარდა—58, მათში გაირიცხა—7, საყვედური გამოეცხადა—4.

5) თამბაქოს ქარხნის უჯრედში კრებას დაესწრო კომუნისტები—105, უპარტიო—80; 38 წევრიდან შემოწმებაში გატარდა 28, მათში გაირიცხა 5, საყვედური გამოეცხადა—4.

6) ფ.-ტელეგრაფის უჯრედში კრებას დაესწრო: კომუნისტები—60, უპარტიო—130; 11 წევრიდან შემოწმებაში გატარდა—7, მათში საყვედური გამოეცხადა—2.

7) აბრეშუმის ქარხნის უჯრედში კრებას დაესწრო: კომუნისტები—53, უპარტიო—58; 20 წევრიდან შემოწმებაში გატარდა—14, მათში გაირიცხა—3, საყვედური გამოეცხადა 1.

8) მუხიანის თემის უჯრედში კრებას დაესწრო, კომუნისტები—15, უპარტიო გლეხები—85; შემოწმებაში გატარდა 6, მათში გაირიცხა—2 საყვედური გამოეცხადა—1.

9) ოფურჩხეთის თემის უჯრედში: კრებას დაესწრო კომუნისტები 48, უპარტიო გლეხები 90, შემოწმებაში გატარდა—9, მათში გაირიცხა—1, საყვედური გამოეცხადა—1.

10) წყალტუბოს უჯრედში კრებას დაესწრო კომუნისტები—60, უპარტიო—130; 21 წევრიდან შემოწმებაში გატარდა—16, მათში საყვედური გამოეცხადა—1. სულ 10 უჯრედში 222 წევრიდან შემოწმებაში გატარდა 182, მათში გაირიცხა—21, საყვედური გამოეცხადა—19.

გამორიცხულთა დახასიათება უმთავრესად ასეთია: რელიგიურ დღესასწაულების გადახდა, კონკლავობა დაჯგუფების მიზნით, პარტდისციპლინის უხეშად დარღვევა (საავადმყოფოს უჯრედი), საფონდო მიწის მითვისება, გაკულაკება (მუხიანის თემი), შემოპარული ყოფილი ვაჭარი (სახერხი ქარხანა), პარტიასთან კავშირის გაწყვეტა, პარტდისციპლინის უხეშად დარღვევა, გულგრილად დამოკიდებულება სამსახურისადმი (რიონჰესი) კოლმეურნეობიდან და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოფლის უჯრედებში უპარტიო ღარიბი გლეხები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შეკითხვებში და კამათში. უმთავრესად ეკითხებოდნენ: არის თუ არა გასაწმენდი პირი კოლმეურნეობის წევრი, როგორ მონაწილეობას ღებულობს ის კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობაში, როგორი არის მისი ქონებრივი მდგომარეობა, რა ორგანიზაციული დახმარება აქვს გაწეული ღარიბ გლეხობაზე, ატარებს თუ არა სწორად პარტიის დირექტივებს სოფლად, აქცევს თუ არა ყურადღებას სოფლად სას.-სამ. გადასახადის გაწერის დროს დაშვებულ შეცდომებს და სხვა.

ს. მ—ხი.

საჩიჯაოს თემი (ზუგდიდის მაზრა)

26 ივნისს დილიდანვე იწყებს ხალხი თემის ცენტრში თავმოყრას. 3 საათზე კლუბის დარბაზი გაიჭედა ხალხით. ჩამოსული პარტგამწმენდი კომისიის თავმჯდომარე მაისურაძე ხსნის საერთო კრებას და აცნობს მოგროვილ ხალხს წმენდის მნიშვნელობას, რის შემდეგ დაიწყო პარტწევრ-კანდიდატების შემოწმება. შემოწმებული იქნა 12 წევრი-კანდიდატი. შემოწმებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დამსწრე უპარტიოები. გამწმენდმა კომისიამ გარიცხა 3 წევრი და ერთი კანდიდატი, რომლებიც ჩირქს სცხებდნენ პარტიას და ხელს უშლიდენ სოფლის ყოველგვარ საქმიანობას. კომისიის წასვლის შემდეგ გამორიცხულები შეეცადნენ უჯრედის კრების მოწვევას. მათ სურდათ უჯრედის კრებაზე დადგენილების გამოტანა გამწმენდი კომისიის დადგენილების საწინააღმდეგოდ, მაგრამ მათ არავინ აჰყვა: დაიწყეს ლანძღვა-გინება, მუქარა, მაგრამ ამაოდ. მოსახლეობა დიდი კმაყოფილი დარჩა ამ საქმიანი წმენდით. ის სამართლიანად სცნობს გამწმენდი კომისიის გადაწყვეტილებას ულირსი კომუნისტების შესახებ.

კაკა.

ფოთი

ფოთში პარტიის გამწმენდი კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

წმენდა დაიწყო სატრანსპორტო უჯრედიდან. წმენდის ამოცანების შესახებ პარტიულ და უპარტიო მასის წინაშე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლომიძე. ამხანაგები რიგრიგობით გამოდიან და დამსწრეებს მოუთხრობენ თავიანთ რევოლუციონურ წარსულს.

მაყურებლების წინაშე იშლება წარსულის კოშმარული საშინელებანი: ყაზახები მათრახებით, დაპატიმრება, დევნა, ციხეები, ტანჯვა, წამება, კატორღები. მიუხედავად ამისა სასტიკი ბრძოლები, რევოლუციონური სიმტკიცე, თავდადება და თავგანწირვა მშრომელთა ინტერესებისათვის, დაუღალავი ბრძოლა ხელისუფლებისათვის და სხვ.

გულახდილათ მოუთხრობენ დამსწრეებს ზოგიერთი ამხანაგები თავიანთ შეცდომებს.

— ხელის მოწერა ვიცოდი—წაკითხვა კი არა. მომატყუეს ხელი მომაწერინეს ოპოზიციის პლატფორმაზე. მესამე დღეს გავიგე რაშიაც იყო საქმე. წამსვე კავშირი გავსწყვიტე. —ამბობს ერთი მუშა.

— მე კი პოლიტიკურ მოუმზადებლობის გამო მომივიდა. ჩემი ბრალია, არ ვესწრებოდი პოლიტსკოლებს. შემაცდინეს. მეათე დღეს განვშორდი მათ—ამბობს მეორე.

— ვიყავი ყოფილი მენშევიკი, გასაბჭოების შემდეგაც 'ვმუშაობდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ კომუნისტური პარტია ჩაგრულთა ერთად-ერთი პარტიაა, დავგმე მენშევიზმი, შევედი პარტიაში და მას შემდეგ შეურყევლად ვატარებ პარტიის ხაზს—აცხადებს ძველი მუშა თეოფილე უნგიაძე.

რაღაც მკრთალია ამხ. კასრაძის გამოსვლა. ინტელიგენტი—9 წელიწადი დაუმთავრებია — მტვირთავია, ცოდვები ჰქონია. უნდა დამალოს...

— ამხ. კასრაძე შემჩნეულია კონტრაბანდო ნივთების გაყიდვაში—ამხელს ერთი მუშა.

—ამხ. კასრაძემ გაფლანგა ამხ. აკრეფილი გაზეთის ფული კომკავშირში ყოფნის დროს, რისთვისაც გამორიცხულ იქნა კომკავშირიდან. უმატებს მეორე.

კასრაძე ვერ ახერხებს თავის მართლებას, შორდება მაგიდას.

— ამხ. ყარამან, გაიხსენე რომ მენშევიკების დროს პალტო მოიპარე.

— ამხ. ყარამან დაგავიწყდა, რომ პარტსტაჟი გაადიდე?

„ყარამანს დაავიწყდა ისიც, რომ ინტრიგის ლოზუნგით მუშაობს ორგანიზაციაში“.

მუშების ჯვარედინ ცეცხლში ეხვევა ყარამან.

წმენდა მიმდინარეობს სალი თვითკრიტიკის ლოზუნგით, მისი აქტიური მონაწილეობით და კონტროლით.

ილ.

გორი

გორის მუშათა კლუბში პარტიული და უპარტიო მასის წინაშე წმენდა გაიარა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრმა ამხ. ესტატე ბუხნიკაძემ და ალ. ცაბაძემ. წმენდის დაწყებამდის ამხ. ანდ. დოლიძემ მოკლე და შინაარსიანი სიტყვით გააცნო დამსწრეებ პარტიული წმენდის მიზანი და მნიშვნელობა.

ამის შემდეგ დაიწყო წმენდა. ამხ. ესტ. ბუხნიკაძემ დაწვრილებით მოყვა თავისი გმირული ავტობიოგრაფია. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი თავგადასავალი 1918 წლიდან 1921 წლამდე, როდესაც იგი ტყეში გაქცეული რამდენიმე ასეული მებრძოლით მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკურ მთავრობას გორის მაზრაში. ბუხნიკაძეს მისცეს შეკითხვები, რომელიც ეხებოდა მის წარსულს. ამხ. ვ. ბოლქვაძემ მისცა შეკითხვა იმის შესახებ, თითქოს მას გაეფლანგოს ფული და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს ყოფილა ჯგუფური და პირადი ინტერესებზე აგებული ბრალდება.

ამხ. ალ. ცაბაძის ისტორია უფრო საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი თავის სიყმაწვილეში სულ თავადაზნაურებთან და კულაკებთან ყოფილა მოჯამაგირეთ, შემდეგ წასულა ბაქოს ნავთის სარეწაოში, სადაც „მონათლულა“ ბოლშევიკური აზრებით. ამხ. ცაბაძე არის ამჟამად სახ. დაზღვ. სააგენტოს გამგე. მას სკოლის კარები არსად არ უნახავს, მაგრამ მან ჩვენს პროლეტარულ-რევოლუციონურ მწერლობაში შეიტანა თავისი წვლილი. მის კალამს ეკუთვნის აშკარა სინამდვილიდან აღებული რევოლუციონური პიესა „სიკვდილის აჩრდილი“, რომელიც უკვე გამოცემულია.

გაწმენდილი ამხანაგები კლუბის დარბაზში, გაჭედილმა ხალხმა ტაშის ცემით გააცილეს.

უპარტიო მასამ დიდი სიხალისე და აქტივობა გამოიჩინა.

ჯ. ჯ.

ზუგდიდი

22 ივნისს დაიწყო პარტ-წმენდა ზუგდიდის ქალაქის კომუჯრედში. გამწმენდ კომისიას თავმჯდომარეობდა ამხ. თენგიზ. ულენტი. მუშაობის პრაქტიკულად დაწყებამდე ამხ. ულენტმა პარტ-ორგანიზაციას, უპარტიო მუშა-მოსამსახურეებთან ერთად გააცნო პარტწმენდის მიზანი.

პარტიის გენერალურმა წმენდამ—ამბობს ამხ. თენგიზი—უნდა მოგვცეს რეალური შედეგები. ბოლშევიკური ლენინური პარტიის რიგებიდან გაძევებული უნდა იქნეს ყველა არა კომუნისტური ელემენტები და გახრწნილი ტროცკიზმის მიმდევრებიც, რომლებიც სახელს უტეხენ, ხელს უშლიან პარტიას სოც-მშენებლობაში. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა კომუჯრედის მუშაობის ანგარიში. კამათში გამოსული ამხ. ამხ. ეხებოდენ როგორც ნაკლს, ისე იმ თვალსაჩინო მიღწევებსაც, რომელიც ახასიათებდა უჯრედის საანგარიშო მუშაობას. უჯრედის გეგმიანი მუშაობით, პარტ დისციპლინის მტკიცედ დაცვით, წევრ-კანდიდატების, როგორც პარტიული, ისე საალმშენებლო-საზოგადოებრივი მუშაობაში 100 პროც. ჩაბმით, ყოველგვარი უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრით, ქალთა შორის მუშაობის გაჯანსაღებით, უჯრედის მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

უჯრედის წევრთა ინდივიდუალური წმენდა გაგრძელდა 4 დღე. დასწრება, როგორც პარტიული, კომკავშირის, ისე უპარტიო მუშა-მოსამსახურეების და მშრომელი გლეხობის, იყო საგრძნობი და სისტემატიური. მუშაობა საქმიანი და სერიოზული მიდგომით მიმდინარეობდა. ყოველ შესამოწმებელი ამხანაგის შესახებ იყო, როგორც შეკითხვები, ისე დახასიათებაც, რითაც ნათელი ხდებოდა მისი დადებითი და უარყოფითი მხარის გამომჟღავნება.

27 ივნისს მოსმენილ იქნა გამწმენდ კომისიის გადაწყვეტილებანი პარტ-წმენდის შედეგებზე. სულ წმენდა გაიარა—ამბობს ამხ. თენგიზი—96 კომუნისტმა, აქედან პარტიიდან გაირიცხა:

1. კონსტანტინე შენგელაია, და
2. მიშა ჯალაღანია, როგორც ტროცკისტების მიმდევარი.
3. სევასტი მესხი, როგორც უცხო და ანტი-საბჭოთა ელემენტებთან კავშირის დამჭერი, ლოთი, პარტდისციპლინის დამრღვევი.

საყვედური გამოეცხადა:

1. არონი კოდუა, გადაჭარბებული ღვინის სმისა და კერძო პირების ვალის გადაუხდელობისა გამო.
2. მიხა შელიას, საბჭოთა არჩევნების დროს არა კომუნისტური სიმტკიცის გამოჩენაში და ტროცკისტებთან ლოიალობაში.
3. ვლადიმერი ადონიას, ოჯახური ურთიერთობის მოუწესრიგებლობაში.

გაფრთხილება მიეცა:

1. სამსონ დგებუაძეს, ტროცკისტებთან ლოიალობაში და ღვინის სმაში.
2. რაჟდენ სიჭინავას, გადაჭარბებულ ღვინის სმაში.

ვარკ.

„ცოლის ბრალია“

ოგაჯანოვი ოგანესი სახკინმრეწვის თანამშრომელია. ვინც ოგანესას კარგად იცნობდა, მას კომუნისტათ არ სთვლიდა, ხოლო, თუ ოგანესა თავის თავს სთვლიდა კომუნისტად, ეს იმიტომ, რომ პარტბილეთი ჯიბეში ედო. ეხლა კი, როცა პარტბილეთიც ჩამოართვეს, აღარც თვითონ სთვლის თავის თავს კომუნისტათ.

ოგანესა არც წინად უყურებდა კაი თვალით თავის ცოლს. მაგრამ როცა პარტბილეთი ჩაიდო ჯიბეში, ცოლს სული გაუმწარა, აღარ მოსწონდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მან რამოდენიმეჯერ ცოლი მუშტებით „წაფხანის“ საგნად გამოიყენა.

— „ეჰ, რა უბედური კაცი ვარ, ჩემისთანა კაცს-განა ასეთი ცოლი უნდა მყავდეს?—ფიქრობდა ოვანესა.

წავალ სხვა ქალებში მაინც გავერთობი.—გადასწყვიტა მან ერთ მშვენიერ დღეს და ასეც მოიქცა. გამონახა ორი „ძმა-ბიჭი“, ქუჩაში აირჩია „ღამის პეპელა“ და დასხდნენ ერთ მიყრუებულ ადგილას „პურ-მარილის“ საჭმელად. დილის ოთხი საათი იყო მოქეიფენი აიშალნენ. ოვანესა საგონებელში ჩავარდა.

— „სად წავიყვანო ქალი? ტყუილად ხომ არ დავხარჯე მასზე ეს „პურ-მარილი“?—ფიქრობდა იგი თავჩაქინდრული. მისი „ძმა-ბიჭებიც“ ასეთივე ფიქრში იყვნენ გართული. ამ ფიქრში ისინი კინო-„პალასს“ მიადგნენ.

— „შესდექ!—დაიძახა ოვანესამ,—მე ხომ სახკინმრეწვის თანამშრომელი ვარ?

— მერე რაა, რომ სახკინმრეწვის თანამშრომელი ხარ? შეეკითხნენ მას „ამხანაგები“.

— როგორ თუ რა? თუ მე ვთანამშრომლობ სახკინმრეწვში, რატომ არ უნდა გადამიხადოს „სიკეთე“ კინო-მრეწველობამ? და ოვანესამ მაგრად დაუწყო რახუნი კინოს დაკეტილ კარებს. კარებში შეშინებული სახე გამოჩნდა.

— „გააღე კარი. ვერ მიცანი თუ? საქმე მაქვს“.

— „ოვანეს, შენა ხარ? ძლივს გიცანი. რა გინდა ამ დროს? და ამ სიტყვებზე კარი გაიღო. „სტუმრები“ შევიდნენ და ერთი საათი დაჰყვეს შიგ ქალთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ შემმოწმებელმა კომისიამ გამოაცხადა უჯრედში წმენდის შედეგები.

— ოგაჯანოვი ოვანესი გარიცხული იქნეს პარტიიდან, ცოლის ცემისათვის, ლოთობისათვის და კომუნისტისათვის შეუფერებელ საქციელისათვის კინო „პალასში“.

თავ-ჩაქინდრული წავიდა ოვანესა სახლში.

— „ყველაფერი იმისი ბრალია, მე რომ კარგი ცოლი მყოლოდა, ეს უბედურება არ დამატყდებოდა თავზე — ფიქრობდა იგი.

ზლარბი.

6 მილიონი უმუშევარი ამერიკაში

ვაშინგტონი, 17 ივლისი. შრომის სამინისტროს მიერ უმუშევრობის აღწერის საკითხის გარშემო მოწვეულ თათბირზე, სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაახლოებითი გამოანგარიშებით უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩრდ. ამერიკის შეერთ.-შტატებში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 1.500.000-დან 8 მილიონამდე. (ადს).

კელოგის პაქტი

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. 24 ივლისს გამოაცხადებენ, რომ კელოგის პაქტი ძალაში შედის. „დღესასწაულზე“, მოწვეულია ყველა იმ სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომელთაც პაქტს ხელი მოაწერეს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, საგარეო საქმეთა მინისტრმა სტიმსონმა განაცხადა, რომ რადგან საბჭოთა კავშირს ვაშინგტონში დიპლომატიური წარმომადგენელი არა ჰყავს, ამიტომ მის წარმომადგენლად ჩაითვლება საფრანგეთის ელჩი, რადგან მისი საშუალებით გადმოცემულ იქნა ის აქტი, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტს შეუერთდა. (ადს).

სოლიდარობის გაფიცვა

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. არგენტინის დედა-ქალაქ ბუენოს-აირესში ნავთსადგურის მუშებმა გამოაცხადეს 48 საათის გაფიცვა ნიშნად სოლიდარობისა როზარიოს ფოსტის გაფიცულ მუშებისადმი.

გაფიცვა წარმოადგენს საპროტესტო მოძრაობას არგენტინის იმ ფაშისტური პატრიოტული ლიგის პროვოკაციული გამოსვლის წინააღმდეგ, რომელიც შეეცადა გაფიცვის ჩაშლას. ცხოვრება სანტაფის, როზარიოს და ბუენოს-აირესის ნავთსადგურებში ჩამკვდარია. პროფკავშირთა ანარქისტული ფედერაცია, რომელიც გაფიცვას ხელმძღვანელობს, საყოველთაო გაფიცვით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა შეეცდება მოძრაობის განახლებას.

საპროტესტო გაფიცვის ზეგავლენით სასამართლომ გასცა ბრძანება არგენტინის პატრიოტული ლიგის თავმჯდომარის დაპატიმრების შესახებ. ამ ბრძანებამ საგრძნობლად გააძლიერა საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც თანდათან ღებულობს პოლიტიკური გამოსვლის ხასიათს ირიგოიენის მთავრობის წინააღმდეგ.

როზარიოს ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ერთი კვირაა, რაც გრძელდება. გაფიცულები მოითხოვენ მხოლოდ კავშირის წევრების მიღებას სამსახურში (ადს).

სასამართლოს საყურადღებო დადგენილება

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. ხელისუფლების წარმომადგენელნი შეეცადნენ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებიდან გადაესახლებინათ სპილენძის მაღაროების მემაღაროე ჯონ ვორჩი კომპარტიის წევრობისათვის. ჯონ ვორჩი სამხრეთ-სლავიელია და ცხრა წელიწადია ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში სცხოვრობს.

უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ ხელისუფლებას უფლება არა აქვს გადაასახლოს ვორჩი, რადგან ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების კომპარტია ლეგალურად იღებდა მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამერიკაში შესვლის მომწესრიგებელი წესები ითვალისწინებენ იმ ორგანიზაციების უცხოელ წევრთა გადასახლებას, რომლებიც „მოუწოდებენ მთავრობის დამხობისაკენ“ (ადს).

246 საათი და 43 წუთი ჰაერში

ვაშინგტონი, 17 ივლისი. ორმა ამერიკელმა ავიატორმა ჩვეულებრივი ერთმოტორიანი ლოს-ანჟელოსის რაიონში, ჰაერში დაჰყვეს 246 საათი და 48 წუთი და დაფარეს 19.750 მილის მანძილი.

ფრენის დროს მათ 87-ჯერ მიაწოდეს საწვავი მასალა სხვა ჰაეროპლანებიდან რეზინის მილების საშუალებით. ფრენა შეწყვეტილ იქნა ჰაეროპლანის საჭეს გაფუჭების გამო, ხოლო მოტორი კი ნორმალურ მდგომარეობაში იყო და კიდევ ვარგოდა ფრენის გასაგრძელებლად (ადს).

სახელ. ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 18 ივლისი. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა საბჭოთა კავშირის 1929—30 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები. ბიუჯეტი გათვალისწინებულია 9.497 მილიონი მანეთის რაოდენობით, ე. ი. 1928—29 წელთან შედარებით, გადიდებულია 1.741 მილიონი მანეთით ანუ 23—22 ნახ. პროცენტით. გასავალი განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე გადიდებულია 25 პროცენტით და აღწევს 550 მილიონ მანეთს წარსული წლის 440 მილიონი მანეთის ნაცვლად (ადს).

სხვადასხვა

● **ზარალი წყალდიდობისაგან.** წყალდიდობამ ტრაპიზონის რაიონში დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას. დაიღუპა 17 კაცი, 3.500 კაცი უსახლკაროდ დარჩა. ზარალი მარტო ერთ რაიონში—სიურმენში — უდრის 700.000 თურქულ გირვანქას (დაახლოვებით 5,5 მილიონ მანეთს) (ადს).

● **ტაგი-ზადე ინგლისში მოემგზავრება.** ლონდონში სპარსეთის ელჩად დანიშნული ტაგი-ზადე ინგლისში გამგზავრების დროს მოსკოვზე გაივლის (ადს).

● **თავდასხმა ნაციონალისტური პარტიის ლიგის კლუბზე.** კაიროს პოლიცია თავს დაესხა ნაციონალისტური პარტიის ლიგის—ვაფდის კლუბს. პოლიციამ კონფისკაცია უყო მაფესტს, რომელიც უნდა გავრცელებულიყო ეგვიპტის პარლამენტის გარეკვისა და მეფე ფუადის და ეხლანდელი პრემიერის მაჰმედ მაჰმუდ ფაშას მიერ ეგვიპტის კონსტიტუციის გაუქმების წლის თავის დღეს (ადს).

საშეფო საზ-ბის მესამე კონფერენცია

მეორე სხდომა

17 ივლისს, მეორე სხდომაზე, სასოფლო-მეურნეობის განვითარებისა და ამასთან დაკავშირებით საშეფო ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ასრიბეკოვი.

ამხ. ასრიბეკოვის მოხსენებიდან

— კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი ამოცანები,—ამბობს თავის მოხსენებაში ამხ. ასრიბეკოვი,—ამავე დროს არის საშეფო ორგანიზაციების ამოცანებიც, ვინაიდან საშეფო ორგანიზაციები წარმოადგენენ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მდგარ ამოცანათა პრაქტიკულად განმახორციელებელ ძალას ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. საშეფო ორგანიზაციების წინაშე მდგარ ამოცანების გასათვალისწინებლად ჩვენ უნდა ვისარგებლოთ და მთლიანად დავეყრდნოთ მე-16 პარტკონფერენციისა და საქართველოს კომპარტიის მეექვსე ყრილობის დადგენილებებს. ამ დადგენილებებში ამომწურავადაა დახასიათებული სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და მოცემულია გეზი, თუ რა მხრივ უნდა იქნეს წარმართული ჩვენი მუშაობა, რომ შევსძლოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

ჯერ კიდევ საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ დასახა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გენერალური ხაზი. მე-15 პარტყრილობამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ჩვენი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ.

პარტიის და ხელისუფლების დირექტივები გულისხმობენ სოფლად კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ქსელის გაფართოვებას და საერთოდ კოლექტივიზაციის ფართო მასშტაბით გატარებას. ამისათვის აუცილებელია კულაკური ელემენტების წინააღმდეგ ღარიბი გლეხობის მოჯამაგირეების დარაზმვა და მათი დაკავშირება საშუალო გლეხობასთან. საშეფო მუშაკები უნდა ერკვეოდენ ამ ამოცანებში და მათ სწორი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ჩვენი სოფლის ცხოვრებაზე.

შემდეგ ამხ. ასრიბეკოვი ახასიათებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, მოყავს ცნობები მისი ზრდის შესახებ და განმარტავს, თუ როგორ ვითარდება ამჟამად კლასიური ბრძოლა. ჩვენ სოფელში საშეფო ორგანიზაციების ერთ-ერთი უდიდესი და უახლოესი ამოცანა უნდა იყოს სოფლად პროლეტარული გავლენის განმტკიცება, გლეხობასთან საწარმოო კავშირის გაძლიერება. უახლოეს 5 წლის განმავლობაში მოსავლიანობა უნდა გადიდდეს 35 პროცენტით და სათესი მოედანი გაიზარდოს 25 პროცენტით. ამ დირექტივის შესრულება შესაძლებელი იქნება იმ პირობით, თუ შევძლებთ კოლექტივიზაციის განვითარებას, განვამტკიცებთ ქალაქსა და სოფელს შორის საწარმოო კავშირს და გავაძლიერებთ სოფლად პროლეტარიატის კლასიურ გავლენას. ამისათვის დაწყებულ მუშაობაში საშეფო დარგის მუშაკებმა თავის დასაყრდენ ძალათ უნდა იყოლიონ დარაზმული მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები და არ შესწყვიტონ კავშირი საშუალო გლეხობასთან.

ამხ. ასრიბეკოვი ეხება აგრეთვე პროფესიონალურ, პარტიულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოკიდებულებას საშეფო მუშაობის საქმესთან და აღნიშნავს, რომ საერთოდ ეს ორგანიზაციები სათანადოთ ვერ აფასებენ საშეფო მუშაობის მნიშვნელობას და მათ საშეფო ორგანიზაციებთან არა აქვთ მტკიცე კავშირი. უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ მდგომარეობა გამოაკეთა მხოლოდ საქპროფსაბჭომ, რომელმაც უკვე დაამყარა ურთიერთობა საშეფო საზოგადოებასთან და მომავალშიაც ფიქრობს მას დახმარება აღმოუჩინოს თავის საქმიანობაში.

დასასრულ, მომხსენებელი ეხება საშეფო საზოგადოების საქმიანობის ზოგიერთ დეფექტებს, აღნიშნავს სოფლად სოციალისტური შეჯიბრების გადატანის აუცილებლობას, რაც უნდა შესძლონ საშეფო ორგანიზაციებმა და ამბობს:

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ საბოლოოდ აღმოვფხვრით სოფლად და ქალაქად ჩვენი პოლიტიკური მტრების და საერთოდ ყველა იმ ელემენტების მავნე გავლენას, რომელთაც სურთ დააბრკოლონ ჩვენი საქმიანობა და შეაფერხონ დიადი სოციალისტური მშენებლობა. მე ვფიქრობ, რომ კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის ცხოვრებაში შეურყეველი გატარებით საშეფო ორგანიზაციები შესძლებენ მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებას, და როდესაც ჩვენი, საშეფო მუშაკები კვლავ მოვიყრით აქ თავს მეოთხე კონფერენციაზე, გვექნება უფლება თამამათ განვაცხადოთ, რომ თბილისის საშეფო ორგანიზაცია ჯანსაღი ორგანიზაციაა, იგი სწორი გეზით მუშაობს და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვანი დამხმარე ძალა.

ამხ. ასრიბეკოვის მოხსენებით დაიხურა კონფერენციის მეორე სხდომა.

მესამე სხდომა

18 ივლისის მესამე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა თბილისის საშეფო საზოგადოების საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი ამხ. სტეფანოვის მოხსენება საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ განვლილ საანგარიშო პერიოდში.

შემდეგ საშეფო საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. დანდუროვი.

დღეს დაიწყება კამათი საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

გავაძლიეროთ პროფმუშაობა სეზონის მუშებში

მეტი ყურადღება კვალიფიციურ მუშათა ახალ კადრების მომზადებას

სტაჟიორები რკინისგზაზე არ არიან გამოყენებული რაციონალურად

პროფმუშაობის ნაკლოვანება სეზონის მუშათა შორის

ყოველწლიურად მთელს საბჭოთა კავშირში ორ მილიონამდე სეზონის მუშაა დაბანდებული. კერძოდ საქართველოში სეზონურ სამუშაოზე წელს 500-ზე მეტი მუშა მუშაობს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მუშათა შორის კულტურული და პროფესიონალური მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. სეზ. მუშები მოკლებული არიან სწორ პროფესიონალურ ხელმძღვანელობას; მათ სხვა საწარმოებში მომუშავე მუშებთან შედარებით,ცუდ საბინაო პირობებში უხდებათ ცხოვრება, რადგან მათი მუშაობის პირობები ისეთია, რომ შეუძლებელი ხდება აწარმოო ისეთი ნაყოფიერი მუშაობა მათი ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად, როგორიც სწარმოებს ორგანიზაციულად გაერთიანებულ მუდმივად მომუშავე მუშათა შორის.

მართალია თბილისში მშენებელთა კავშირის კლუბი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს აღმშენებელთა კავშირის სხვა წევრებთან ერთად სეზონის მუშებსაც, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს კლუბი ვერ აკმაყოფილებს სეზონის მუშების კულტურულ მოთხოვნილებას, (კლუბში ძალიან ნაკლებად დაიარებიან სეზონის მუშები და ნაკლებათ არიან ჩაბმული საკლუბო მუშაობაში) და მეორეც სეზონის მუშები მარტო თბილისში ხომ არ არიან? ისინი გაფანტული არიან სხვადასხვა ადგილებში, სადაც კი სწარმოებს აღმშენებლობა. და ეს აღმშენებლობა კი თითქმის ყველა მაზრაში, ყველა თემში სწარმოებს. დღეს არ არის არც ერთი კუთხე, სადაც გაცხოველებული ტემპით არ მიმდინარეობდეს აღმშენებლობა. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით თანდათან ძლიერდება აღმშენებლობა და უფრო მეტი სეზონის მუშა იქნება დაბანდებული ამ საქმეზე. ამიტომ არის საჭირო ამ მუშათა შორის კულტურული და პროფესიონალური მუშაობის გაცხოველება.

სეზონის მუშები წარმოადგენენ არა მარტო პროფმოძრაობის მრავალ რიცხოვან რაზმს, რომელსაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, არამედ ისინი ამავე დროს წარმოადგენენ მუშათა კლასის იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე უფრო მჭიდროთ არის დაკავშირებული სოფელთან და რომლის საშუალებითაც პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს თავისი გავლენა სოფელზე. აქედან ცხადია, რომ პროფხელმძღვანელობას მუშათა ამ ნაწილზე აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

მუშაობის ამ სფეროში აღმშენებელთა კავშირს ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია და თუ გაუკეთებია რამე, ძალიან ცოტა. მარტო კლუბით და ამ კლუბში სეზონის მუშების უმნიშვნელო ნაწილის წევრად ჩაწერით, ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ. საჭიროა მათ შორის ფართოდ გაიშალოს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა. საჭიროა მათი გათვითცნობიერება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათზე დაყრდნობა სოფლად მუშაობის საქმეში. სოციალიზმს მარტო ქალაქად არ ვაშენებთ. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ერთი აუცილებელი საშუალებაა ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. ამ დარგში სეზონის მუშებს დიდი საქმის გაკეთება შეუძლიანთ თუ ჩვენ გავაძლიერებთ მათ შორის მუშაობას და განვიმსჭვალებით იმ შეგნებით, რომ მხოლოდ სოფლის ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით და საშუალო გლეხობასთან კავშირით შევსძლებთ სასოფლო-მეურნეობის განვითარებას კოლექტურის გზით და სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მთლიანად განხორციელებას და გადაჭარბებას. აღმშენებელთა კავშირმა უნდა გააცხოველოს ამ მხრივ მუშაობა.

პროფმუშაკი.

კვალიფიციურ მუშა ხელის მომზადება

სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმის განხორციელებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი მშენებლობის დაუბრკოლებელი მიმდინარეობა. მშენებლობის ჩქარი ტემპით მიმდინარეობას ხშირად აბრკოლებს კვალიფიკაციური კადრის უყოლობა. მაშინ როდესაც შრომის ბირჟას ათასობით აწყდება შავი მუშები, სანთლით ეძებენ ხელოსნებს, კალატოზებს, დურგლებს, ქვამჭრელებს, ზეინკლებს და სხვ. ამიტომ ხელოსან მუშათა კადრის მომზადებამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ამ მიზნით საკავ. შრომის ცენტრალურმა ინსტიტუტმა (შ.ც.ი.) განიზრახა მოკლე ხანში მოამზადოს წითელი ხელოსნები. ეს მუშაობა მოსკოვში კარგა ხანია დაიწყო. ჩვენთან, ამიერ-კავკ. და კერძოთ საქართველოში მხოლოდ ამ ბოლო დროს მიექცა ყურადღება ამ საქმეს.

მიმდინარე წლის აპრილიდან თბილისში გაიხსნა კალატოზთა მოსამზადებელი კურსები. კურსების ნორმალურ მეცადინეობას წინ ეღობებოდა სათანადო ინსტრუქტორთა კადრის უყოლობა, ტექნ. ხელსაწყოების ნაკლებობა და სხვ. დღეს ყველა ეს დაბრკოლება დაძლეულია, კურსებს მასწავლებლად ჰყავს 3 ინსტრუქტორი მოსკოვში შ.ც.ი. კურსები დასრულებული და რამოდენიმეც ცნობილი კალატოზი, რომლებსაც თავისი მრავალწლიანი სტაჟით დამსახურებული აქვთ კალატოზთა პედაგოგის სახელწოდება. კურსებში პრაქტიკასთან ერთად გადიან თეორიას (მხაზველობითი გეომეტრიას და სხვ.), რომელსაც ხელმძღვანელობს სასწავლო ნაწილის გამგე და უფრ. ინსტრუქტორი. ამჟამად საქკ. საზ-ბა „უსტანოვკა“-ში მეცადინეობს 250 კაცი. აქედან ნახევარი—125 კაცი,—უკვე ასრულებს კურსის პროგრამას და გადადიან საწარმოო სტაჟიორებათ მშენებლობაზე. ამასთან დაკავშირებით 1-ლ ივლისიდან დაიწყო ახალი წყების მიღება. მისაღებია 150 კაცი. მიმღები კომისია, რომელიც შრ. ბირჟასთან არსებობს, კურსანტებს სათანადო ანკეტებით უგზავნის კურსების გამგეობას.

კურსებზე მეცადინეობა სამთვიანია. ამ ხნის განმავლობაში კურსანტს ეძლევა თვიურად 20 მან. სტიპენდია და ტრამვაი უფასოთ. უმთავრესად კურსებში შემოდიან უმუშევარი არაკვალიფიციური ხალხი. სასურველი იყო კურსებში მიღებულიყო სოფლის უმუშევარ ახალგაზრდობიდანაც მოჯამაგირე, ჯარის ნაწილიდან და სხ. კურსებზე ადგილი აქვს ნაკლოვანებასაც, რაც გამოიხატება ზოგიერთ კურსანტის უდისციპლინობაში, სამუშაოს უმიზეზოთ გაცდენაში, მეცადინეობის დროს უყაირათობაში, ინვენტარისადმი გულგრილ მოპყრობაში და სხვა, რომელიც ხელს უშლის აჩქარებული ტემპით პროგრამის გავლას. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს ხალ კადრის მიღების დროს და კურსებში არ უნდა დაიშვას ისეთი პირი, რომელიც ხელობის სწავლით არაა დაინტერესებული, არამედ სტიპენდია და სხვ. შეღავათები ახალისებს.

განზრახულია კალატოზთა კურსებთან გაიხსნას სხვ. ხელობის სამქროებიც. კურსებს ხელმძღვანელობს ძველი პროფესიონალისტი ამხ. მინაძე, რომლის ენერგიული მუშაობით კურსების საერთო პირობები დღითი დღე უმჯობესდება.

ჩ. ფ.

სტაჟიორების მდგომარეობა რკინის გზაზე

სტაჟიორობის საკითხი მეტად იზიდავს ფართო საზოგადოებრივობის ყურადღებას. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენი წარმოება-წესებულება სტაჟიორებისაგან მოელის კვალიფიციურ მუშაკების მომავალ კადრს. დღეს-დღეობით სტაჟიორობის საკითხი რკინის გზაზე მეტად საჭირ-ბოროტოა. მათ შესახებ გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საკმაო თანხაა გადადებული. გ.ს. კ-ის 1927 წ. 7 ივლისის № 9593 ბრძანების თანახმად, რკინის გზაზე მომუშავე სტაჟიორმა უნდა შეასრულოს ყოველგვარი სამუშაო დაწესებულებაში, დაწყებული დაბალ თანამდებობიდან (რეგისტრატორ-კანტორშჩიკობიდან) პასუხიმგებელ ადმინისტრატორობამდე. ეს წლიანი სამუშაო დაყოფილია ნაწილებად, რომელსაც პრაქტიკულად უნდა გაეცნოს და შეასრულოს სტაჟიორმა განსაზღვრულ თვეების განმავლობაში, მთლიანად კი ერთი წლის ვადაში.

სამწუხაროდ ეს ბრძანება არ ტარდება ცხოვრებაში. სტაჟიორები რკინის გზაზე მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ რეგისტრატორებად, დანარჩენ სამუშაოზე ადმინისტრაცია მათ არ უშვებს. ასეთივე მდგომარეობაა ხაზზედაც. არც ხაზზე იყენებენ სტაჟიორებს მიზანშეწონილად.

ჩვენის აზრით ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ რკინის გზაზე მომუშავე სტაჟიორებს, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მოვალეობა აქვთ დაკისრებული, არა ჰყავთ სტაროსტა ან ხელმძღვანელი, რომელიც იზრუნებდა ამ საკითხის მოსაგვარებლად. უყურადღებოთაა მიტოვებული სტაჟიორები აგრეთვე სამმართველოს მხრითაც: არ ხდება მათი მუშაობის გამოკვლევა, შესრულებულ სამუშევრების განხილვა და სათანადო პრაქტიკული შენიშვნების მიცემა სტაჟიორებისათვის. ე. ი. არ არის სტაჟიორების გეგმიანი მუშაობა, რაც გ.ს. კ-ის ზემო ხსენებულ ბრძანების თანახმად დაუშვებელია. ამიტომ არის, რომ სტაჟიორების ამდენი ხნის მუშაობას, ნაყოფი არ მოუტანია და ვერც მომავალში მოიტანს, რადგან, ისინი დაწესებულებაში მუშაობენ ერთსა და იმავე თანამდებობაზე.

დროა ამ საკითხს მიაქციონ ყურადღება რკინის გზის სამმართველომ და განათლების სახალხო კომისარიატმა.

ილ.

დავიცვათ ბოტანიკური ბაღი

თბილისის ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს მეცნიერულ დაწესებულებას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში და მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეცნიერულ დაწესებულებათა შორის. თავისი არსებობის პერიოდში ბაღმა აკლიმატიზაცია მოახდინა ათასამდე უცხო მცენარის, მოაგროვა ცოცხალი ეკზემპლიარები კავკასიის ველურ მცენარეთა ფლორისა და შეადგინა კოლექცია როგორც კავკასიის, ისე მთელი მსოფლიოს სხვადასხვაგვარ მცენარეთა თესლებისა.

ბაღი აწარმოებს ცოცხალ მცენარეთა თესლების ჰერბარიის და გამოცემათა გაცვლა-გამოცვლას მთელ მსოფლიოში, რა მიზნითაც იგი იმყოფება კორესპონდენტულ დამოკიდებულებაში ხუთასამდე მეცნიერულ დაწესებულებებთან. ამას გარდა ბაღი ანვითარებს გამოყენებითი მუშაობას მცენარეთა მოშენების სფეროში; აშენებს კაუჩუკიან, ეთერიან და წამლეულ მცენარეებს. აწარმოებს სასელექციო მუშაობას იმ კულტურულ მცენარეებზე, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნან ჩვენს პირობებში მოსავლიანობის გაზრდისა და ჩვენი წარმოებისათვის ნედლეული მასალის ბაზის შესაქმნელად.

დასახულ ამოცანების განხორციელების მიზნით ბაღი აშენებს როგორც ადგილობრივს, ისე უცხო კულტურულ და ველურ მცენარეებს. ცდებისათვის რგავს ცოცხალ მცენარეებს და იცავს ხელშეუხებლობას ველურ მცენარეთა ფლორისას.

თავისი მდებარეობით ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს ულამაზეს კუთხეს თბილისისას, რითაც იგი იზიდავს მრავალ მნახველებს მთელი კავშირიდან და აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებიდან. ვინც არ უნდა ჩამოვიდეს თბილისში—ყველა თავის თავს მოვალედ სთვლის დაათვალიეროს ბოტანიკური ბაღი.

არც ადგილობრივ მცხოვრებთაგან არის ბაღი უყურადღებოთ. თბილისში მცხოვრებნი, განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეებში, მოდიან ბაღში სასეირნოთ და აგრეთვე ეწყობა მოწაფეთა და მოქალაქეთა ექსკურსიები.

სამწუხაროთ ყველა მომსვლელნი არ ეპყრობიან ბაღს ჯეროვანი ყურადღებით და მზრუნველობით, ხშირია შემთხვევა ბაღის დაცვის დარგში სავალდებულო დადგენილების დარღვევისა; ადგილი აქვს ყვავილების მოგლეჯას, ტოტების დამტვრევას, ნარგავების ამოთხრას, ლობეების და სკამეიკების დამტვრევას, ბაღის დანაგვიანებას და სხვა, რაც სამწუხარო ფაქტია ბაღში მომსვლელთა მხრივ.

ურიგო არ იქნება, რომ პროფკავშირებთან და ადგილკომებთან არსებულმა კულტგანყოფილებებმა და კულტკომისიებმა აიღონ თავის თავზე ინიციატივა. გააცნონ თავიანთ კავშირის წევრებს ბოტანიკური ბაღის კულტურული ამოცანები და მუშაობა. მოაწყონ ექსკურსიები ბაღში, სადაც ისინი ბაღის სპეციალისტების ხელმძღვანელობით გაეცნობიან ბაღს.

ამავე დროს საჭიროა ფართო პოპულარიზაცია კავშირის წევრებს შორის იმ ძირითადი აზრისა, რომ ბაღის ნარგავების და მისი მეცნიერულ დაწესებულებების დაცვა, თვით მშრომელი მასის საქმეა. ასეთი საშუალებით დავიცავთ მეცნიერული მნიშვნელობის ბაღს განადგურებისაგან.

გიდევანიშვილი.

უვარგისი მასალა

ამას წინად სამასალო საწყობიდან ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საქვაბო სამქრომ მიიღო წითელი სპილენძი ქვაბების ნაწილების გამოსაცვლელად. სამწუხაროთ არც ერთი მათგანი არ გამოდგა ხეირიანი. მათი გამოყენება ქვაბების ნაწილების გამოსაცვლელად შეუძლებელი იყო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სამქროს გამგემ და სპილენძი გადაუგზავნა ქიმიურ ლაბორატორიას ხელახლად გასასინჯად და ხარისხის შესამოწმებლად. ეს იყო 4 ივლისს. შემოწმებიდან აღმოჩნდა, რომ სპილენძი თითქმის 50 პროც. უვარგისი იყო. რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში როგორც ხელოსანმა, ისე მისმა უფროსმა ხელმძღვანელმა? მასალა არის და არ ვარგა; ფული კი ახლისაა გადახდილი.

განა ასეთ პირობებში შეიძლება ლაპარაკი შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე? ასეთი შემთხვევები პირველი არ არის ჩვენ სახელოსნოში.

ვ. ნ. ბ.

—:—

ძველი მოიჯარადრე სამსახურში

(კურსების ძელაკების ქარხანა)

ტყიბულის რაიონში ყველა იცნობს ძველ მოიჯარადრეს, ტერენტი ბერეკაშვილს, რომელიც თავის დროზე ტყავს აძრობდა მუშებს. ეს ვაჟბატონი რაღაც მოხერხებით მოეწყო ათისთავის თანამდებობაზე. უფროს ათისთავს ქეიშვილს ეძლევა თვეში 100 მანეთი, ბერეკაშვილს კი 130 მანეთი.

ბერეკაშვილი გათახსირებულს უძახის ყველა იმათ, ვინც რელიგიურ დღესასწაულს არ გადაიხდის. ამ ნიადაგზე გალანძღა ქარხნის პატიოსანი მუშა პლატონ ჭუმბურიძე.

ბერეკაშვილმა ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა და გლეხი, ლავრენტი ბერეკაშვილი ამუშავა თავის ოჯახში უსასყიდლოთ, მეორე დღეს კი ეს გლეხი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სამუშაოზე მოაწყო.

მაგრამ დიდხანს არ დაიფარა ბერეკაშვილის ბოროტმოქმედება. მუშებმა ეს საკითხი დასვეს საერთო კრებაზე და გაბედულად წამოუყენეს ვაჟბატონ ტერენტს, ჩადენილი ცოდვები.

გაიძევრა ტერენტი საერთო კრებამ გამორიცხა კავშირიდან. ეხლა ჯერი ადმინისტრაციაზეა. მან უნდა მოაშოროს წარმოებას ასეთი მავნე პირები.

შალ-ტრო,

საქ. ტექნიკური საზოგადოების და ცენტრალური საინჟინერო ბიუროს ურთიერთობის შესახებ *)

გაზ. „კომუნისტი“-ს ა. წ. 3 ივლისის ნომერში ამხ. ა. გოგიჩაიშვილი აყენებს საკითხს ინჟინერ-ტექნიკოსთა გაერთიანების შესახებ. ავტორის მთავარი საბუთი ის გახლავთ, რომ „ორი დამოუკიდებელი ორგანიზაციის არსებობა ერთდაიმავე სამუშაოს არეზე (კურს. ჩ.) ჰფანტავს ძალების დაქსაქსულობას და მუშაობის შეუთანხმებლობას“. მაგრამ ეს დებულება აშკარა გაუგებრობაზეა აგებული. აქ დავიწყებული ის ძირითადი მიზანი, რომელსაც ემსახურება ეს ორი ორგანიზაცია,—მათი „სამუშაო არე“ ძირითადად განსხვავებულია. ცენტრალური საინჟინერო ბიურო არის პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც მუშაობას აწარმოებს მხოლოდ პროფესიონალური და საწარმოო ხაზით, საქართველოს ტექნიკური საზოგადოება კი წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკურ, აკადემიურ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ამ მხრივ აწარმოებს მუშაობას. ამხ. გოგიჩაიშვილი მაშინ იქნებოდა მართალი, რომ ეს ორი ორგანიზაცია ერთდა იმავე მიზნებს ისახავდეს, რომ მათ ჰქონდეთ აღებული მუშაობაში ერთი და იგივე გზა; ამ შემთხვევაში კი, როდესაც მათ სრულიად განსხვავებული ფუნქციები, მოვალეობანი და მიზნები აქვთ დაკისრებული, როდესაც მათ ერთი და იგივე საქმის გაკეთება არ უხდებათ,—ავტორის დებულება ყოვლგვარ საფუძველს მოკლებულია. იგივე ითქმის დაქსაქსულობის შესახებ. დაქსაქსულობის შესახებ ლაპარაკი მაშინ შეიძლებოდა, რომ საინჟინერო-ტექნიკური ოჯახი გაყოფილიყო ორ ნაწილად, მაგრამ ისე, რომ რომელიმე წევრი მხოლოდ ერთ ნაწილში მოქცეულიყო. ნამდვილად კი ერთი და იგივე პირნი ორივე ორგანიზაციაში შედიან ისე, როგორც ბევრი მათგანი შედის აგრეთვე „ავიაქიმში“, „რომედაში“ და სხვ.

საქართველოს ტექნიკური საზოგადოება ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მიწ-ტყის კავშირთან არსებობს საინჟინერო-ეკონომიური სექცია, მაგრამ არსებობს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება; განათლების მუშაკთა კავშირთან არსებობს სამეცნიერო მუშაკთა სექცია, მაგრამ არსებობს ენათმეცნიერების, გეოგრაფიული და სხვ. სამეცნიერო საზოგადოებანი. თვითეული მათგანი აწარმოებს თავისი ხაზით მუშაობას და საერთოდ ბევრი რამ კეთდება; გაერთიანების შემდეგ კი შეიქნება ქაოსი, გამოვეკიდებით რამოდენიმე კურდღელს, მაგრამ ვერც ერთს ვერ დავიჭერთ. ჩვენ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს ყოველ დარგში, სამუშაო ყველას გვეყოფა, ოღონდ სურვილი და ხალისი იყოს, და რამდენადაც მეტი მომუშავე ერთეულები შეიქნება, იმდენად მეტი საქმე გაკეთდება..

ახლა მოკლედ შევეხოთ საქართველოს ტექნიკური საზოგადოების საქმიანობას, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად არ შეეფერება ტექნიკური საზოგადოების მუშაობის ხასიათი ცენტრალური საინჟინერო ბიუროს პროფესიონალური ხასიათის მუშაობას.

საქ. ტექნიკურ საზოგადოებამ თავიდანვე უდიდესი ყურადღება მიაქცია ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნას. მან გასწია უამრავი შრომა მის დამუშავებაზე და გამოსცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტექნიკური ლექსიკონის ორი ტომი. ამ ტერმინოლოგიამ შესაძლებელი გახადა შედარებით ადვილად ნაციონალიზაციის გატარება დაწესებულებებში და სკოლებში. ტექნიკური საზოგადოება ცდილობს ხელი შეუწყოს ტექნიკურ გამომცემლობას და ამ მიზნით მან თვით გამოსცა სახელმძღვანელო შრომები ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიური ხასიათისა. ტექნიკური საზოგადოების უახლოესი მონაწილეობით ითარგმნა და გამოიცა ამშენებლობისათვის მეტად საჭირო საგაკვეთილო დებულება. ტექნიკური საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შედგა სახელმძღვანელოები ტექნიკის დარგში, რომელნიც გამოცემულია სახელგამის მიერ. ტექნიკური საზოგადოება აწარმოებს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევას და მათი გამოყენების შესაძლებლობას.

ტექნიკური ამშენებლობისათვის (განსაკუთრებით პროვინციაში) ხელის-შეწყობის მიზნით უფასოდ ვადგენთ მცირე პროექტებს, ვაძლევთ რჩევა-დარიგებას და ხანდახან თვით აგებასაც ვხელმძღვანელობთ (მაგალითად, კახეთში წყალსადენების გაყვანას, ქართლში—აბანოს აგებას, სხვადასხვა ადგილებში—ელექტროფიკაციის გატარებას და სხვ.). ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყოველივე იმას, რაც გააკეთა ტექნიკურმა საზოგადოებამ. ნათქვამიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რა სასარგებლო მუშაობას აწარმოებს იგი.

მაგრამ ამხ. გოგიჩაიშვილის აზრით „საქ. ტექნიკური საზოგადოების მუშაობის არე მეტად განსაზღვრულია და არამასიური“. თუმცა ცოტა უფრო ადრე ის ამბობს: „მთავარი, რაც, ჩვენის აზრით, უნდა შეასრულოს სექციათაშორისო ბიურომ,—ეს არის მისი მუშაობისათვის მასიური სახის მიცემა“. როგორც აქედან სჩანს, თვით ამხ. გოგიჩაიშვილი არ სთვლის, რომ სექციათაშორისო ბიუროს მუშაობას აქვს მიღებული მასიური სახე. მე, როგორც სექციათაშორისო ბიუროს თავმჯდომარემ და საქ. ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, რომელიც ორივე ამ ორგანიზაციის მუშაობას კარგად ვიცნობ, გულახდილად უნდა განვაცხადო, რომ ამ მხრივ სავსებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ჯერ-ჯერობით არც ერთ ამ ორგანიზაციაში არ არის და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ საქ. ტექნიკური საზოგადოების სექციათაშორისო ბიუროსთან გაერთიანებისათვის მოხდება „სასწაული“ და გაჩაღდება მასიური ხასიათის მუშაობა, მხოლოდ თავის მოტყუებაა.

რაც შეეხება მეოთხე სრულიად საკავშირო საინჟინერო ყრილობის დადგენილებებს „ვაი“-ს შესახებ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ ლაპარაკი იყო არა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, არამედ მხოლოდ „ვაი“-ს შესახებ, რომელიც მიჩნეული იყო, როგორც კარჩაკეტილი, ვიწრო ამქრულ ინტერესების მატარებელი, პროფორგანიზაციების და ხშირად თვით საბჭოთა წესწყობილებისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაცია.

საქ. ტექნ. საზოგადოებას ამ მხრივ არავითარი საერთო არ აქვს „ვაის“-თან, ის გასაბჭოების პირველ დღიდანვე ჩაება ჩვენი ქვეყნის ამშენებლობის საქმეში და არ ზოგავს თავის ძალს და ენერგიას მიმდინარე დიადი ამშენებლობის წარმატებითი მსვლელობისათვის; ამასთანავე ტექნიკური საზოგადოება არავითარ კარჩაკეტილ მუშაობას არ აწარმოებს. მისი კრებების და მუშაობის შესახებ ცნობები და მოკლე ანგარიშები პრესაში ხშირად თავსდება, ხოლო პროფკავშირებთან, განსაკუთრებით სექციათაშორისო ბიუროსთან შეთანხმებულ მუშაობას აწარმოებს და არავითარ მტრულ განწყობილებას, რასაკვირველია, ადგილი არ აქვს.

საბჭოთა კავშირში „ვაი“-ს გარდა არსებობს სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოებანი, რომელთა წინააღმდეგ მეოთხე ყრილობა არ წასულა; პირიქით მან დაადგინა: „ვაი“-ს ლიკვიდაციასთან ერთად მეოთხე ყრილობა ავალებს სრულიად საკავშირო ცენტრალურ საინჟინერო ბიუროს უახლოეს ხანში დაამუშაოს სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობის შემდგომი საორგანიზაციო ფორმები არსებულ საზოგადოებათა ფარგლებში“ (კურს. ჩ.) და „ყოველმხრივ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კონტროლისა, პროფკავშირების და მათი საინჟინერო-ტექნიკურ გაერთიანებათა ზოგადი ხელმძღვანელობით მომუშავე ნებაყოფლობითი საზოგადოებებში წარმოებულ სამეცნიერო ტექნიკურ მუშაობას“ (კურს. ჩ.).

სწორედ ამ მხრივ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი ყურადღება. უნდა შევეცადოთ გავაძლიეროთ საქ. ტექნიკური საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობა; ამასთანავე უნდა შევეცადოთ გავაცხოველოთ და გავაჯანსაღოთ სექციათაშორისო ბიუროს პროფესიონალური კონტაქტი და საწარმოო მუშაობა; მათ შორის კიდევ უფრო განვამტკიცოთ კონტაქტი და შეთანხმებული მუშაობა.

საქ. ტექნიკური საზოგადოება არ გაურბის კონტროლს, პროფკავშირების და საინჟინერო გაერთიანებათა ზოგად ხელმძღვანელობას,—პირიქით,—ის ყოველივე ამას საჭიროდ სთვლის, ხოლო გაერთიანება სრულიად არაფერს შეგვძენს. ამასთან, როგორც გამოირკვა სრულიად საქართველოს მეოთხე საინჟინერო ყრილობაზე და ამას წინედ მოწვეულ საქალაქო კონფერენციაზე, ფართო საინჟინერო-ტექნიკური მასები მას მხარს არ უჭერენ.

ინჟ. შ. ქაქაბაძე.

---

*) წერილები ამ საკითხზე იბეჭდება კამათის წესით. **რედ.**

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობა

მეორე დღე

ყრილობის მეორე დღეს, 17 ივლისს, საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ლაზარი, რომელმაც პასუხი გასცა კამათში წამოყენებულ კითხვებზე.

ამხანაგ ლაზარის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შემუშავება დაევალა ყრილობაზე გამოყოფილ სპეციალურ კომისიას.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს მუშაობა

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს წარსული მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბიუროს მდივანი ამხ. გიულუმიანი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყრილობა დაგვიანებით იქნა მოწვეული იმის გამო, რომ ბიურო მოელოდა სექციის ცენტრალურ ბიუროს მესამე პლენუმზე წამოჭრილ სექციის რეორგანიზაციის საკითხის გადაჭრას.

სექციის წევრთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში 588-დან გაიზარდა—635-მდე. ამჟამად სექციას თბილისში აქვს 7 ადგილკომი, რომლებიც აერთიანებენ 18 საწარმოს. თბილისის წარმოებებში სექციას ჰყავს 4 პროფორგმუნებული, პროფორგმუნებულები ჰყავს აგრეთვე ბათომსა და სოხუმში. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთჯერ იქნა ჩატარებული სექციის მუშაობის გამოკვლევა ბათომსა და სოხუმში. სოხუმის სექციის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ეს სექცია სისტემატიურად უდგენს ანგარიშებს თავის წევრებს, ადგილებზე და კავშირის გამგეობას. სუსტია კავშირი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალურ ბიუროსთან, რაც გამოწვეულია საბიუჯეტო მოსაზრებებით.

სუსტად არის დაყენებული ადგილკომების მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში სექციამ ჩაატარა კოლხელშეკრულებათა ორი კამპანია. 1928 წელში საგრძნობლად შეფერხდა კოლხელშეკრულების დადება, რაც გამოწვეული იყო სატარიფო ცნობარის დაგვიანებით მიღებით. სატარიფო რეფორმა ჩატარებული იქნა 1928 წელში ხელშეკრულების დადების დროს. კავშირის ც. კ. ინსტრუქციის მთლიანად დაცვა რეფორმის დროს შეუძლებელი იყო ხელფასის ფონდის გასაძლიერებლად საჭირო სახსრების უქონლობის გამო.

1927 წლის ცნობარი თითქმის სრულიად უვარგისი აღმოჩნდა ჩვენი პირობებისათვის. 1928 წლის ცნობარი შედარებით უკეთესია, მაგრამ იგიც საჭიროებს ბევრ არსებით ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ სექცია დაჟინებით მოითხოვდა ჩვენი სამეურნეო ორგანოებისაგან გამომუშავების ნორმების დაწესებას, ეს საქმე სამეურნეო ორგანოების უმეტეს ნაწილს ჯერაც არ გაუკეთებია და ბიურო იძულებული შეიქნა საქმე სასამართლოსათვის გადაეცა.

სარედაქციო-საგამომცემლო წარმოებებში ჯერაც სრულიად მოუგვარებელია საწარმოო მუშაობა (გარდა სოხუმისა), რაც გამოწვეულია ნაწილობრივ კავშირის ცენტრალური გამგეობის, ნაწილობრივ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროს სუსტი ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ ებლახან მივიღეთ ინსტრუქცია.

სექციაში ირიცხება 76 უმუშევარი, მაგრამ ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან მოთხოვნილების დროს ჩვენ უმუშევრებს ვერ ვპოულობთ და ორგანიზაციები იძულებული ხდებიან მუშაკები აიყვანონ ან ბირჟიდან ან სხვა კავშირებიდან.

1928 წლის იანვრიდან გაუქმებული იქნა სპეცფონდის ანარიცხები. გასულ წელს სექციას ჰქონდა ამ ფონდის ნარჩენი თანხა 659 მანეთი, რომელიც მთლიანად მოხმარდა ხელმოკლე ამხანაგების კურორტებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნას.

მომხსენებელი საჭიროდ სთვლის ამ ფონდის ხელახლად შექმნას.

მომხსენებლის განცხადებით, კულტმუშაობა სექციაში ძალიან მოისუსტებდა. სექციას შეეძლო ბევრად მეტის გაკეთება ამ დარგში, მაგრამ აქაც ხელისშემშლელი პირობა იყო წევრების პასივობა.

სექციის ბიუროს მუშაობის გამოკვლევის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფეოდოროვამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების მიერ ჩატარებული იქნა სექციის მუშაობის გამოკვლევა, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ სექციის ბიუროს შემადგენლობა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ბიუროს წევრების ნაწილი ადრევე გავიდა ბიუროდან, ხოლო დანარჩენების დიდი უმეტესობა ვერ იჩენდა სათანადო დისციპლინას და საქმიანობას. ბიუროს მუშაობაში არ იყო დაცული სისტემა და გეგმიანობა. ბიურო თავის წევრებს არ უკეთებდა საანგარიშო მოხსენებებს. ბიურო არ ცდილობდა წარმოებებში მოეწყო წევრთა საერთო კრებები და გაეკეთებია საანგარიშო მოხსენებები. კავშირის ცენტრალური გამგეობა მართალია აძლევდა ბიუროს დავალებებს, მაგრამ არ ცდილობდა შეემოწმებია თუ რამდენად ასრულებდა ბიურო ამ დავალებებს.

სექციაში და ადგილებზედაც არ სწარმოებდა არავითარი მასიური მუშაობა. ჟურნალისტები სუსტად არიან დაკავშირებული თავის ადგილკომებთან, რომლებსაც არ აცნობენ თავის საჭიროებებს და საჭიროების დროს არ სთხოვენ დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაკების ოჯახში ადგილი ქონდა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც უნდა გამოეწვია სექციის წევრთა საზოგადოებრივი მსჯავრი,—არც სექციის მთლიანად და არც ბიუროს არ უფიქრია ამ საკითხების საერთო კრებებზე გადატანა და თავისი შეფასების მიცემა.

კ ა მ ა თ ი

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი ბიუროს მუშაობის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა. ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სექციამ უნდა მიიღოს ზომები წევრების აქტივობის ასამაღლებლად. ამ მიზნით უფრო ხშირად უნდა მოეწყოს მოხსენებები ადგილებზე (წარმოებებში), ცალცალკე ჯგუფების საერთო კრებები სხვადასხვა საკითხების შესახებ და სხვ.

ამიერ-კავკასიის მწერლების კულტურულ დაახლოვებაში ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციას არ მიუღია არავითარი მონაწილეობა, რაც არ შეიძლება მის უმოქმედობად არ ჩაითვალოს. მომავალში ბიურომ უნდა მიიღოს ზომები ამ შეცდომის გამოსასწორებლად. საჭიროა რედაქციებში მიღებული იქნეს ზომები ლიტერატურულ მუშაკების ცალკე ჯგუფების შრომის პირობების და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გაზეთების დამტარებელთა და შიკრიკების კულტურული დონის ამაღლებას. მოგვარებული უნდა იქნეს მათი დაწინაურების საქმე. უმუშევარ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისათვის უნდა მოეწყოს უმუშევართა კოლექტივი. ერთი და იმავე პროფესიის მუშაკებს სხვადასხვა რედაქციებში ეძლევათ სხვადასხვა ხელფასი, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. საჭიროა ბიურომ უფრო ცოცხალი კავშირი იქონიოს თავის მასასთან.

სექციის მუშაობის სისუსტეს ხელს უწყობს საკუთარი აპარატის უქონლობა. სექციას არა აქვს სათანადო კავშირი პარტიულ ორგანოებთან, რაც დიდ გავლენას ახდენს სექციის მუშაობაზე. უმთავრესი კი არის სექციის წევრთა პასივობა. სექციის წევრთა შორის ადგილი ქონდა ბევრ ისეთ საკითხს (მეხუთე სტამბაში აღმოჩენილი ბოროტება, ნ. სტორის საქმე და სხვ.), რომლებიც გამოტანილი უნდა ყოფილიყო პროფესიონალური წრის სამსჯავროზე, მაგრამ ამ საქმისადმი არც ბიურომ და არც წევრებმა არ გამოიჩინეს ინტერესი, რაც ნათლად ამტკიცებს ჩვენს პასივობას.

ამ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. მუშაობა დაყენებულ იქნეს სათანადო სიმაღლეზე.

კამათის შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. გიულუმიანის საბოლოო სიტყვა; რეზოლიუციის შესამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია.

მზადება საბჭოთა აპარატის გასაწმენდათ

მუშათა ბრიგადების თათბირი

17 ივლისს საქართველოს პროფსაბჭოში შესდგა მუშათა ბრიგადების თათბირი, რომელსაც დაესწრო 150-დე კაცი. თათბირი გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. მარკმანმა, რომელმაც დაახასიათა თათბირის მოწვევის მიზნები.

— ამჟამად, სთქვა ამხ. მარკმანმა, როდესაც ჩვენს წინაშე სდგას საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხი, როდესაც ჩვენ აპარატიდან უნდა გავაძევოთ ბიუროკრატები და უცხო ელემენტები, ჩვენ საშუალება გვეძლევა მასიურად ჩავაბათ მუშები საბჭოთა აპარატში. აპარატის გამუშურების ერთ-ერთი მეთოდია მუშათა ბრიგადების მოწყობა.

მუშათა ბრიგადები ცდის სახით მოეწყობა რამდენიმე დაწესებულებასთან—ფინსახკომთან, იუსტიციის კომისარიატთან, მიწსახკომთან, შრომის კომისარიატთან და აღმასკომთან. ამ დაწესებულებებზე მიმაგრებული იქნება განსაზღვრული რიცხვი მუშებისა, რომლებიც ჩვეულებრივ მუშაობისაგან თავისუფალ დროს ივლიან ამ დაწესებულებებში და უახლოეს მონაწილეობას მიიღებენ მათ მუშაობაში. მუშათა ბრიგადები მონაწილეობას მიიღებენ თათბირებზე, სხდომებზე, იკისრებენ ცალკე დავალებების შესრულებას.

მუშები მიმაგრებული იქნებიან ყველა ცალკე ნაწილებზე და ერთეულებზე. ამრიგათ მიმაგრებული მუშები შეიძენენ წინასწარ მომზადებას და პრაქტიკულად გაეცნობიან საბჭოთა აპარატის მუშაობას.

მუშათა ბრიგადები ორ მიზანს ისახავენ. ერთის მხრივ ისინი დაიჭერენ წმენდის შემდეგ განთავისუფლებულ ადგილებს და მიიღებენ საწარმოო პრაქტიკას, მეორეს მხრივ კი მუშათა ბრიგადების საშუალებით განხორციელებული იქნება მუშათა კონტროლი ზემოაღნიშნულ დაწესებულებებზე.

ვინაიდან პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად საჭიროა თეორიტიული მომზადებაც, განზრახულია მუშათა ბრიგადებისათვის მოწყობილი იქნეს სპეციალური კურსები, წრეები და საუბრები.

ამხ. მარკმანის მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მუშათა ბრიგადების მომავალი მუშაობის გარშემო.

თათბირმა აუცილებლად სცნო მუშათა ბრიგადების სახელმძღვანელოთ თვითეულ ბრიგადიდან გამოყოფილი იქნეს მასახლისთა საბჭო 5 კაცისაგან, რომლებიც გაანაწილებენ ბრიგადის წევრებს შორის სამუშაოს და მეთვალყურეობას გაუწევენ მათ საწარმოო მომზადებას.

შემოდგომის თესვისათვის

(წერილი კახეთიდან)

ნათესი არის გასაფართოებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად უკანასკნელად მიღებულმა ზომებმა უკვე გამოიღო დადებითი ნაყოფი.

იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მოსახლეობა თანდათან ეჩვევა და ატარებს მეურნეობაში აგროკულტურულ ღონისძიებებს და რაც უმთავრესია ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლების ბიუჯეტების საგასავლო ნაწილში მატულობს სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ მიმართული კაპიტალური დაბანდებანი.

მომავალში შემოდგომის თესვის კამპანია უნდა ჩატარდეს პარტიის და ხელისუფლების ამოცანების გარშემო გლეხური მასების კიდევ უფრო მეტი აქტიობით შემოკრების და მათი თესვის ამოცანების განხორციელებაში ჩაბმის ქვეშ.

უპირველესად ყოვლისა საჭიროა წლევანდელი მოსავლის აღებისათანავე ზომების მიღება ადგილობრივი სათესლე ფონდების შესაქმნელად. უნდა მოისპოს პროვინციების ლოდინი ცენტრისაგან სათესლე მასალების მოსაწოდებლად. საჭიროა სას.-სამ. კოოპერაციის ძირითად ქსელმა თავის დროზე მიიღოს ზომები თესლის დასამზადებლად ადგილებზე. სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც სათესლე მასალას ხასურსათო საჭიროებისათვის მოიხმარს.

გარდა კოოპერაციისა, ახალი მოსავლის აღებისთანავე კოლექტივებმაც უნდა გამოჰყონ თავიანთი საჭიროებისათვის საკმარისი თესლი, რაც უნდა გაცალკევდნენ საკვები მარაგიდან.

ადგილობრივი სათესლე ფონდის შექმნის გარდა საჭიროა თესლის მოწამვლის და გარკვევის დროზე ჩატარება. საქმე დაყენებული უნდა იქნეს ისე, რომ შემოდგომის თესვის დაწყების დღისათვის ყოველგვარი თესლი ადგილზე მიტანილი და გამზადებული იყოს. გასულ წელს ამ მხრივ საკმაო დეფექტები იყო. ტრიერები და საწამლი მასალა საკმაოდ არ იყო და რაც იყო ისიც ვერ იქნა გამოყენებული ხეირიანად. თესლის გარკვევის და მოწამვლის მხრივ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებმა უდიდესი დახმარება უნდა გაუწიონ კოლექტივებში შეკავშირებულ ღარიბ და საშუალო გლეხებს. საჭიროა გასაქირავებელი და აგრონომიული პუნქტების ტრიერები დატარებული იქნეს სოფელ-სოფელ, კარდა კარ, რომ გლეხობის ფართო მასებს საშუალება მიეცეთ გასწმინდონ სათესლე მასალა.

გარდა ამისა ახლავე უნდა იქნეს მიღებული ზომები სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების აღსარიცხავად და შესაკეთებლად. არსებული სარემონტო სახელოსნოები ძლიერ ნაკლებად აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. ამისათვის მემინდვრეობის დიდ რაიონებში შემოდგომის თესვის კამპანიისათვის უნდა შეიქმნას მოძრავი სარემონტო სახელოსნოები, რომ შესაძლებელი გახდეს საჭირო იარაღმანქანების თავის დროზე შეკეთება.

დროზე უნდა იქნეს აგრეთვე ზომები მიღებული საწვავი მასალის (ბენზინი, ნავთი, მაზუთი) დასამზადებლად. საწვავი მასალა, რაც შეიძლება უნდა დაუახლოვდეს მომხმარებელ რაიონებს. საამისოდ მიზანშეწონილი იქნება საწვავი მასალის განაწილება დაეკისროს სას.-სამ. კოოპერაციის ძირითად ქსელს.

შემოდგომის თესვის კამპანიისათვის მიჩნეული ფულადი და საქონლის კრედიტები განაწილებული უნდა იქნენ ისე, რომ აღნიშნული კრედიტი მოხმარდეს როგორც კოლმეურნეობებს, ისე ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნე გლეხებსაც.

შემოდგომის თესვის კამპანიის განმავლობაში კიდევ უფრო უნდა გაიშალოს კონტრაქტაციის დადების პრაქტიკა. დღემდე შემჩნეულია, რომ კონტრაქტაციაში მოქცეულია კოლექტივების ნათესები და ის სუსტად იპყრობს კოლექტივებში შეუკავშირებელ გლეხთა მეურნეობებს. ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული კონტრაქტ. შეუკავშირებელ გლეხთა ჩასაბმელად. გარდა ამისა საკონტრაქტაციო კრედიტების გაცემის დროს მტკიცედ უნდა იქნეს დაცული პარტიის პოლიტიკა მიმართული ღარიბთათვის მეტი შეღავათების მისანიჭებლად, განსაკუთრებით კი გავრცელებული უნდა იქნეს უავანსო კონტრაქტაცია.

მოსავლიანობის და ნათესი არეს გასადიდებლად უდიდეს გასაქანს იძლევა სასოფ.-სამ. გადასახადის ახალი კანონი. ამისათვის თესვის კამპანიის გატარების განმავლობაში ფართე მასიური ახსნა-განმარტება უნდა იქნას ჩატარებული იმ შეღავათების გასარკვევად, რომელიც გათვალისწინებულია წლევანდელი სასოფლო-სამ. გადასახადის კანონით.

ცხადია კულაკობა შეეცდება ხელი შეუშალოს შემოდგომის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას. კულაკი კვლავ შეეცდება მიწის უკანონო იჯარით გაცემით, სათესლე მასალის მიწოდებით და მუშა საქონლის მიქირავებით ექსპლოატაცია გაუწიოს ღარიბ გლეხობას.

ამიტომ ღარიბი გლეხკაცობა მუშა-საქონლით, სათესლე მასალით და კრედიტით ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ მას არ დასჭირდეს კულაკის „დახმარება“. მეორეს მხრივ ღარიბთა და საშუალო გლეხთა შორის უნდა გაძლიერდეს სააგიტაციო მუშაობა შემოდგომის თესვის კამპანიასთან დაკავშირებული ამოცანების გასარკვევად. ამ აგიტაციის მიზანი უნდა იქნეს კულაკური მახინაციების გამომჟღავნება და მისი გაბათილება.

ამრიგად ნათესი არეს გაფართოება და მოსავლიანობის გადიდება კვლავ რჩება შემოდგომის თესვის კამპანიის ძირითად ამოცანად და ის მეტი ნაყოფიერებით უნდა შესრულდეს.

ა. ჭოჭუა.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო ჩატარებული იქნეს დასასვენებელი სახლების გამოკვლევა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს დასასვენებელი სახლების მუშაობის დეფექტები და ის, თუ როგორ ემსახურებიან ისინი დასასვენებლად გაგზავნილ მუშა-მოსამსახურეებს.

გამოკვლევა ჩატარებული იქნება 25—30 ივლისამდე.

საფაბრიკო კომიტეტის დაშლა

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაშლილი იქნეს როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტი, რადგან მან წინააღმდეგობა გაუწია ფაბრიკაში რაციონალიზატორული ღონისძიებების განხორციელებას და არ შეასრულა ს. პ. კ. ს. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების წინადადებები მასიურ ეკონომიურ მუშაობის შესახებ; ამას გარდა საფაბრიკო კომიტეტმა უყურადღებოთ დასტოვა მუშათა წინადადებები, რომლებიც წამოყენებული იქნა საწარმოო თათბირის მუშაობის შემოწმების დროს.

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებას და გემო-კვების მუშაკთა კავშირს წინადადება მიეცათ ჩაატარონ ახალი საფაბრიკო კომიტეტის არჩევნები.

შრომის ხელფასის დავალიანების შესახებ

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა სამაზრო პროფსაბჭოებს თვალყური ადევნონ ადგილებზე ხელფასის თავის დროზე გაცემას და ხელფასის დაგვიანების ყოველგვარ შემთხვევების შესახებ აცნობონ პროფსაბჭოს.

საქ. სახკომსაბჭოს წინაშე აღძრული უნდა იქნეს საკითხი იმის შესახებ, რომ პასუხისგებაში იქნენ მიცემული ის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, რომლებიც ხელფასის ფონდს ხარჯავენ არა პირდაპირი დანიშნულებით.

ს. მ. უ. ს. წინაშე წამოყენებული უნდა იქნეს საკითხი სატყეო ტრესტის ხელმძღვანელ აპარატის გადასინჯვის შესახებ.

საქ. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალა სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ის სამეურნეო ორგანოები, რომლებიც არღვევენ ამ საკითხზე გამოცემულ დადგენილებებს.

დახმარება „სტროიკა“-ს

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ლენინგრადის მუშათა თეატრი „სტროიკა“-ს საქ. პროფსაბჭოს ფონდიდან დახმარების სახით მიეცა 1000 მანეთი.

ეკონომიურ საბჭოში

ფოთი-სენაკის წყალსადენი

სენაკისა და ფოთის აღმასკომების შუამდგომლობის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა მათ შეადგინონ დეტალური გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ფოთი-სენაკის წყალსადენის გაყვანის შესახებ.

საოლქო საგზაო ინსპექტორები

ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა დატოვებულ იქნეს 1929-30 წ. თბილისისა და ქუთაისის ყოფ. ოლქებში საოლქო აღმასკომების საგზაო განყოფილებები ადგილობრივ სახსრების ხარჯზე.

შემოდგომის თესვის ხორბლეულის კულტურის კონტრაქტაცია

1929 წ. შემოდგომის თესვის საკონტრაქტაციო არე განსაზღვრულია 10.000 ჰექტარის რაოდენობით, აქედან ხორბალი 9000 ჰექტარი და ქერი—1000. კონტრაქტაციისათვის ავანსები განისაზღვრება ხორბლისათვის 15 მან. ერთ ჰექტარზე, ხოლო ქერისათვის 13 მან.

სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაცია

გუშინ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით გაიხსნა „ზაკსოიუზი“-ს გაფართოებული პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და მისი ძირითადი ქსელის რეორგანიზაციის საკითხი.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივების თანახმად განზრახულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უნივერსალიზმიდან გადაყვანილი იქნას სპეციალიზაციის სტრუქტურაზე ცალკე დარგების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არსებული სახით, ამჟამად ხელმძღვანელობს სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებს, რის გამო მუშაობა საერთოდ მოისუსტებს და სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგები ზედმეტ-ნაკლებათ ვითარდებიან.

რეორგანიზაციის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და მისი ქსელი ჩამოყალიბებული იქნება თვითეულ დარგის მიხედვით. მაგალითად მესაქონლეობის ცალკე, მეხილეობის ცალკე და სხ., რაც ხელს შეუწყობს თვითეულ დარგის განვითარებას და გამოაცოცხლებს მუშაობას..

პლენუმმა სასოფლო-მეურნეობის რეორგანიზაცია მიზანშეწონილად სცნო და დაადგინა შედგენილი იქნას რეორგანიზაციის დაწვრილებითი და სრული გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება უმაღლეს ორგანოებს.

პლენუმმა აგრეთვე მიზანშეწონილად სცნო თვით „ზაკსელსოიუზის“ რეორგანიზაცია.

შაქრის განაწილების მოსაგვარებლად

გუშინ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა მშრომელი მოსახლეობისათვის შაქრის მიწოდების საკითხი.

ამას წინად გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციებმა შაქრის ნორმა მშრომელი მოსახლეობისათვის მოითხოვეს სინამდვილესთან შეუფერებელი რაოდენობით. მათი პირველი მოთხოვნილების თანახმად, პურის წიგნაკების მიხედვით თბილისში შაქარი ეძლევა 322.175 კაცს,მაშინ როდესაც თბილისის მოსახლეობის მთელი რაოდენობა არ აღემატება 312—315 ათას კაცს, როგორც ირკვევა ეს ციფრები კოოპერატიულ ორგანიზაციებს შედგენილი აქვთ ცოტა გადაჭარბებით, ხოლო ფაქტიურად შაქრისათვის კოოპერატიულ სავაჭროებზე მიმაგრებული ყოფილა 310.000 კაცი. რასაკვირველია ეს ციფრიც არ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ იგი აიხსნება შემდეგი გარემოებით: ზაფხულის პერიოდში მშრომელი მოსახლეობის მეტი ნაწილი საზაფხულოდ გადის თბილისიდან და სცვლის პურის წიგნაკებს. ახლად მიღებულ წიგნაკზე პურის კომისია არ აღნიშნავს, რომ წიგნაკის პატრონი შაქრისათვის მიმაგრებულია ამა და ამ წერტზე, ხოლო წიგნაკის პატრონი ხელახლა ადგენს წიგნაკს მისამაგრებლად. ამრიგად, ერთი და იგივე ოჯახი შაქრისათვის ხშირად მიმაგრებულია კოოპერატიულ სავაჭროზე ორჯერ, რითაც უნდა აიხსნას კოოპერაციის მიერ წარდგენილი მოთხოვნილების არანორმალობა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ ზემო ნაჩვენები რიცხვი შემცირებული იქნეს 15 პროცენტით და კოოპერატიულ ოგანიზაციებს მშრომელი მოსახლეობისათვის გასანაწილებლად გადაეცეს 265—270 ათასი კაცის ნორმა შაქარი. ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ აგვისტოს განმავლობაში ჩატარებული იქნას შაქრისათვის კოოპერატიულ ორგანიზაციებზე მიმაგრებული მშრომელი მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაცია.

თათბირზე დასმული იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ კოოპერაციის წევრ მშრომელ მოსახლეობას შაქარი მიეცეს გადიდებული, ხოლო არა წევრებს შემცირებული ნორმით, თათბირმა ეს საკითხი განსახილველად გადასცა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

რა ხდება ადგილებზე

განუწყვეტელი სამუშაო კვირა

ქუთაისი, 17 ივლისი. ქუთაისში განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანილ იქნა ბარიტის წისქვილი და ამ დღეებში გადაყვანილი იქნება ფლორიდინის საცდელი ქარხანა. ქარხანაში მუშაობა სამ წყებად იწყება. ამის გამო საგრძნობლად გაფართოვდა ბარიტის და ფლორიდინის დამუშავების პროგრამა. განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა დაუბრკოლებლად ხდება. საჭიროა მხოლოდ მოწყობილობისა და საბრუნავი თანხის ცოტაოდნად გადიდება. წინასწარი ვარაუდით, განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლა ნედლეულის თვითღირებულების ფასს 25 პროცენტამდე შეამცირებს. განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადადიან აგრეთვე ბარიტის მაღაროები და ფლორიდინისა და ოხრას ამოღება. ს.მ.უ. საბჭოს საწარმოთა განუწყვეტელ სამუშაოთა კვირაზე გადაყვანის შემდეგ დაიწყება ტყიბულის ნახშირის მაღაროების გადაყვანა (ადს).

500.000 მანეთის ზარალი

გურჯაანი, 17 ივლისი. როგორც გამონაგარიშებულია, ის ზარალი, რომელიც წელს სეტყვამ ვენახებსა და შემოდგომის ნათესს მიაყენა, დაახლოებით უდრის ნახევარ მილიონ მანეთს (ადს).

მოსავლის აკრეფა

გურჯაანი, 17 ივლისი. მთელს მაზრაში მოსავლის აკრეფაა. არ არის საკმაო სამკისო მანქანები და მუშა ხელი. ღირსებით და რაოდენობით მოსავალი დამაკმაყოფილებელია. პური კალოზე [illegible] მოსავალს იძლევა. პური გაიაფდა, მაგრამ პურის დამამზადებელნი ჯერ არსად სჩანან.

კოოპერაციის ახალი წევრები

თელავი, 17 ივლისი. ერთი კვირის განმავლობაში თელავის სამომხმარებლო საზოგადოებაში ჩაეწერა 1.500 ახალი წევრი.

სოფელ კურდღელაურში სამომხმარებლო კოოპერაციამ გახსნა საბავშო მოედანი.

თელავში კოოპერატივის წინ, ქუჩაში, დაიდგა მძლავრი რადიო-მიმღები (ადს).

სამკურნალო მცენარეების დამზადება

თელავი 17 ივლისი. სახელმწიფო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით შეუდგა სამკურნალო მცენარეების დამზადებას.

უკვე დამზადებულია ერთ ტონამდე მცენარე. დამზადება სუსტად მიდის. აქამდე შეიძლებოდა 5—6-ჯერ მეტის დამზადება (ადს).

აბრეშუმის პარკის სარეკორდო მოსავალი

თელავი, 17 ივლისი. კახეთის მაზრის ზოგიერთ რაიონში აბრეშუმის პარკის მოსავალი სარეკორდოა. განსაკუთრებით დიდი მოსავალია ფშაველის რაიონის მთიან ნაწილში (სოფ. ბაბანეურში, ლალისყურში და ნაფარეულში).

სოფელ ბაბანეურის და ლალისყურის მოსავალი ერთ კოლოფ თესლზე უდრის 75 კილოგრამს, ხოლო ნაფარეულში — 74-ს (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მესამე ტირაჟი

26—28 ივლისს ქ. ხარკოვში შესდგება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მესამე ტირაჟი.

პროცენტიან ობლიგაციებიდან გათამაშებული იქნება 23.200 მოგება 2.501.600 მანეთის რაოდენობით. აქედან 22.516 მოგება იქნება თითო 100 მანეთიანი; 500 მოგება—თითო 250 მანეთიანი; 80 მოგება—თითო 1.000 მანეთიანი და 4 მოგება—თითო 5.000 მანეთიანი.

უპროცენტო ობლიგაციებიდან გათამაშებული იქნება 85.400 მოგება, 9.775.600 მანეთის რაოდენობით. აქედან 83.000 მოგება იქნება თითო 100 მანეთიანი; 2100 მოგება—250 მანეთიანი, 280 მოგება—თითო 1.000 მანეთიანი და 14 მოგება იქნება თითო 5.000 მანეთიანი.

მე-3 ტირაჟის დროს სულ როგორც უპროცენტო, ისე პროცენტიან ობლიგაციებიდან გათამაშებული იქნება 108.600 მოგება 11.677.200 მანეთის რაოდენობით.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელება ისევ გრძელდება. ობლიგაციების შეძენა შეიძლება სახ. ბანკის განყოფილებაში და ყველა შემნახველ სალაროებში.

უკრაინის თანამედროვე ლიტერატურა და ხელოვნება

17 ივლისს, ხელოვნების სასახლეში შესდგა უკრაინელი მწერლების ი. პოლტორაცკის და დ. სოტნიკის მოხსენებები უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. უკრაინის თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. პოლტარაცკიმ დაახასიათა უკრაინის მწერლობის განვითარების ეტაპები და აღნიშნა, რომ უკრაინის მწერლობის აღორძინების პერიოდი დაიწყო მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

ამჟამად უკრაინაში არსებობს სამი უმთავრესი ლიტერატურული დაჯგუფება—უკრაინის პროლეტარულ მწერალთა კავშირი, კომუნისტური კულტურის მუშაკთა ასოციაცია და გლეხურ მწერალთა კავშირი „პლუგ“-ის სახელწოდებით. არის აგრეთვე მემარჯვენე მწერალთა ჯგუფი მწერალ ხვილევის მეთაურობით, მაგრამ ეს ჯგუფი, არც თავისი შემოქმედებით და არც პრაქტიკით, არ წარმოადგენს საგრძნობ ძალას.

შემდეგ მომხსენებელმა განმარტა, თუ რა კონკრეტულ ამოცანებს ისახავს თვითეული ლიტერატურული ჯგუფი, რა და რა ღირსშესანიშნავ ლიტერატურულ მოვლენებს ჰქონდა უკანასკნელად უკრაინაში ადგილი და სხ.

უკრაინის ხელოვნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დან. სოტნიკმა. მან აღნიშნა, რომ უკრაინის ხელოვნების ზოგიერთ დარგებში უკანასკნელი წლების განმავლობაში შესამჩნევი გახდა არა ჯანსაღი გადახრები. ასე, მაგალითად, რევოლიუციის შემდეგი პერიოდის არქიტექტურაში გამეფებული იყო ე. წ. „უკრაინული ბაროკო“-ს სტილი. ამ სტილს, რომელსაც სთვლიდენ უკრაინის ეროვნულ სტილით, არ ჰქონდა გასავალი და ამიტომ თანამედროვე მემარცხენე მიმართულებამ არქიტექტურაში იგი სავსებით უარყო.

უკრაინის კინო-ხელოვნებაც განიცდის გარდატეხას. ამჟამად უკრაინის კინომრეწველობაში თანდათან იკიდებს ფეხს ე. წ. ფაქტების ფილმები. ამ ახალი მიმართულების ინიციატორებათ უკრაინის კინო-მრეწველობაში გამოდიან რეჟისორები—ვერტოვი, პერეგუდა და სხ. უკრაინის თეატრალურ ცხოვრებაშიაც უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა ღირსშესანიშნავ მოვლენებს. საუკეთესო უკრაინული თეატრი „ბერეზილი“, რომელიც მუშაობს რეჟისორ კურბასის ხელმძღვანელობით, მოხვდა მემარჯვენე ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენის ქვეშ და ამით ამ თეატრმა დაჰკარგა თავისი სახე. არსებობს მემარცხენე თეატრიც რეჟ. იურას ხელმძღვანელობით. უკანასკნელ წლებში ეს თეატრი უფრო და უფრო იპყრობს მუშა-მაყურებელთა ყურადღებას.

მოხსენებების შემდეგ მწერლებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოები, რითაც დასრულდა საღამო.

სამრეწველო აღმშენებლობის გასაუმჯობესებლად

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით გადაწყვეტილია მოეწყოს ახალი საალმშენებლო ტექნიკური კანტორა, რომელიც პრაქტიკულად უხელმძღვანელებს რესპუბლიკაში დაწყებულ მთელ სამრეწველო აღმშენებლობას. აღნიშნული კანტორა ჩამოყალიბებული იქნება ს. მ. უ. საბჭოსთან, ტრესტის სახით და მუშაობას შეუდგება მომავალი საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან.

ამასთანავე ს. მ. უ. საბჭომ დაადგინა, მოხდეს ახალშენებათა სამმართველოს ლიკვიდაცია, რადგან მის ფუნქციებს მთლიანად შეასრულებს აღნიშნული ახალი საალმშენებლო ორგანიზაცია. ახალშენებათა სამმართველოს ლიკვიდაცია უნდა დამთავრდეს 1-ლი ოქტომბრისათვის.

სამრეწველო საალმშენებლო კანტორის, რომელსაც მოკლედ ეწოდება „საქ. სამრეწმშენი“,—ძირითადი კაპიტალი განსაზღვრულია 300.000 მანეთის თანხით, რომელიც შემდეგ აყვანილ უნდა იქნას 1.000.000 მანეთამდე.

მთელ რესპუბლიკაში საერთო კაპიტალური მშენებლობის სახელმძღვანელოთ, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. ი. ბევცოვი,

სამრეწველო საალმშენებლო კანტორის—საქ. სამრეწმშენის მმართველათ კი დაინიშნა ტყავის ტრესტის მმართველი ამხ. გარინი.

სამრეწველო მშენებლობისა და კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის ასეთი რეორგანიზაცია ს. მ. უ. საბჭომ მოახდინა მშენებლობის ხელმძღვანელობის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით.

საბინაო მშენებლობის საკონტროლო ციფრები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება საბინაო მშენებლობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ და საჭიროთ სცნო, რომ საკონტროლო ციფრები დამტკიცებული იქნეს — 15.122.700 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხიდან მრეწველობაში დაბანდებული უნდა იქნეს 6.985.700 მანეთი (მრეწველობის საკუთარი თანხები 2.832.700 მან., ანარიცხები მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან447.000 მან. და კრედიტი ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან—3.706.000 მანეთი), აქედან ს.მ.უ. საბჭოს მრეწველობაში — 3.707.000 მანეთი, „საქართველოს ჩაი“-ს მრეწველობაში—1.405.700 მან., აფხაზეთის სატყეო მრეწველობაში—102.000 მან., ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის ხაზით—600.000 მან., მთავარი საკრედიტო სამმართველო—300.000 მან., საბჭოთა მეურნეობების ტრესტი — 209.000 მანეთი, ნავთის სინდიკატი—300.000 მან. და ადგილობრივი მრეწველობა—362.000 მანეთი, აქედან თბილისის ადგილობრივ მრეწველობაში—188.000 მანეთი.

აღმასკომებმა საბინაო მშენებლობაზე უნდა დახარჯონ—4.600.000 მანეთი, აქედან ადგილობრივ ბიუჯეტიდან—1.350.000 მან., საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალიდან — 1.400.000 მან და ცენტრ. კომუნალურ ბანკის კრედიტიდან—1.850.000 მანეთი.

ტრანსპორტზე საბინაო მშენებლობაში დაბანდებული უნდა იქნეს 937.000 მანეთი, აქედან ამიერ-კავკასიის რკინისგზების საკუთარი თანხები—385.000 მან., ნავთსადგურებში—113.000 მან. და ცენტრ. კომუნალურ ბანკის კრედიტიდან—439.000 მანეთი.

საბინაო კოოპერაციამ საბინაო მშენებლობაში უნდა დააბანდოს 1.700.000 მანეთი, აქედან საკუთარი თანხები— 170.000 მანეთი, მიზნობრივი ფონდები—966.000 მან. და ცენტრალურ კომუნალურ ბანკის კრედიტი — 564.000 მანეთი.

სამხედრო უწყება საბინაო მშენებლობაზე დახარჯავს 900.000 მან. რომელიც მიღებული იქნება კრედიტის სახით ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან.

ინდივიდუალური მშენებლობის ხაზით დაიხარჯება 700.000 მანეთი, აქედან საკუთარი თანხები,—530.000 მან. და კრედიტი ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან—150.000 მანეთი.

ვინაიდან ახალი საბინაო მშენებლობის დროს ყურადღება არ ექცევა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი დაწესებულებების მოწყობას, პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დიდ საცხოვრებელ სახლებთან აგებული იქნეს სპეციალური შენობები კულტურულ ყოფაცხოვრებით დაწესებულებათათვის (წითელი კუთხეები, საბავშვო ბაგები, მოედნები და სხვა).

შემოდგომის თესვა და სას.-სამ. გადასახადი

ღარიბ და საშუალო გლეხობას ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონით აქვთ განსაკუთრებული შეღავათები.

ხსენებული კანონით, როგორც საგაზაფხულო, ისე შემოდგომაზე თესვის დროს, შარშანდელ ნათესებთან შედარებით, გადიდებული ნათესების არე სავსებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

აგრეთვე გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნებიან დღემდე მოუხნავი მიწები და ყამირები, რომლებსაც შემოდგომის თესვისათვის პირველად დაამუშავებენ გლეხები.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათი ენიჭებათ იმათაც, რომლებიც თავის მეურნეობაში ჩაატარებენ მარტივ აგრონომიულ ღონისძიებებს მოსავლის გასადიდებლად.

იმ გლეხს, რომელმაც გაზაფხულის თესვის დროს ვერ მოახერხა აგროღონისძიებების გატარება მოსავლიანობის გასადიდებლად, მაგრამ ასეთი ღონისძიებები მიიღო შემოდგომის ნათესების მოსავლის ასაწევათ, იმ შემთხვევაშიაც მას ეძლევა შეღავათი, მიუხედავათ იმისა, შემოდგომამდის შეიტანა თუ არა გადასახადი: ასეთ მეურნეს, შემოდგომაზე მოსავლის გასადიდებლად მიღებულ ღონისძიებებისათვის, შეღავათით მინიჭებული თანხა ან უკან დაუბრუნდება და ან ჩაეთვლება მომავალ წლის გადასახადში.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო კანონი იმავე დროს ითვალისწინებს ნათესების სივრცის გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის ხელისშეწყობას და ამ საქმეში გლეხებისათვის დახმარების გაწევას.

კანონის ამ მუხლის მოსახლეობისათვის დაწვრილებით და ასახსნელად ადგილებზე ჩატარდება შესაფერი კამპანია.

თვალსაჩინო მიღწევები სოფლად

(წერილი კახეთიდან)

ს. ქვემო-მაჩხაანის ახალი შემადგენლობის თემსაბჭოს ამ ბოლო დროს მეტად თვალსაჩინო მიღწევები აქვს სოფლად მშენებლობის დარგში.

სახალხო სახლის შენობა, რომელიც ერთი მოზრდილი შენობათაგანია მთელს ქვემო-ქიზიყში, უკვე საბოლოოდ დამთავრებულია. ამჟამად მხოლოდ გარედან ილესება და ლამაზდება კირნარევ ცემენტით. შენობის დასამთავრებლად დაიხარჯა მთავრობისაგან სესხის სახით მიღებული 17 ათასი მანეთი, ხოლო 5 ათასი მანეთი-კი ადგილობრივ წყაროებიდან.

შენობაში მოთავსებულია კოხტად მოწყობილი სათეატრო-დარბაზი, სადაც ხშირად იდგმება წარმოდგენები ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან მსახიობ გ. მატარაძის ხელმძღვანელობით.

ამ შენობაშივე ადგილობრივ 7 წლედს დათმობილი აქვს 13 ოთახი. შვიდწლედში ჯერჯერობით 13 ჯგუფია 655 მოწაფით. სასურველია ამ შვიდწლედის სპეციალურ ტექნიკუმად გადაკეთება.

სახალხო სახლის წინ ახალ გეგმაზე გაშენებულია პატარა ბაღი. ბაღში მოწყობილია წყლის აუზი და აქვე ახლოს გზის პირად გამოყვანილია წყარო, რომლითაც სარგებლობენ მცხოვრებლები.

გალამაზებულია და ქვიშა დაყრილი სოფლის შარა-გზა, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად იქნა გაფართოებული და შეკეთებული. ს. ქვემო-მაჩხაანშივე დადგმულია ელსადგური, ერთი 18 ცხენის ძალისა—„პიონერი“, მეორე 25 ცხენის ძალიანი „ოტოდეეცი“. ამ ელსადგურს ზედვე მიდგმული აქვს წისქვილი, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას. ელსადგური სინათლეს აწვედის საზოგადო დაწესებულებებს. ამ სინათლითვე განათებულია ქუჩები.

ასეთივე ელსადგურები და წისქვილები შენდება ახლო-მახლო სოფლებში; მირზაანში, არბოშიკში, ჯუგაანში და სხ..

ს. ქვემო-მაჩხაანის მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოება გადადის 5 განყოფილებიან მასთვის დათმობილ გზის პირად მდებარე შენობაში.

გამოყვანილია და ნავებიც დადგმული ჰუეთის წყალზე ყარაღაჩის კალოებზე. ამ წყალის გამოყვანას სცდილობდნენ ამ 15 წლის განმავლობაში. მაგრამ სისრულეში მხოლოდ ახლა იქნა მოყვანილი. ეს მნიშვნელოვანი საქმე. ამ მიზნით თვით-დაბეგვრის საშუალებით 8 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ქრონიკა

ახალი დანიშვნა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებით, ტყავის ტრესტის მმართველად ამხ. ძარისის სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო დაინიშნა ამხ. ლავრენტი მორჩილაძე.

საფეიქრო ტრესტის მოწყობა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქართველოს საფეიქრო ტრესტის წესდება. ტრესტის მოწყობა დამთავრებულია.

საფეიქრო ტრესტი გააერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა საფეიქრო (საქსოვ და სართავ) წარმოებებს.

ქარხნის გადაცემა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ დააკმაყოფილა ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა ახაკლიის სახერხი ქარხნის ადგილობრივი სათემო აღმასკომისათვის გადაცემის შესახებ.

ქარხნის გადაცემა მოხდება უახლოეს კვირაში.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის და სას.-სამ. კრედიტის სისტემის ინსტრუქტორების თათბირი

17 ივლისს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ინსპექტორებისა და ინსტრუქტორების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხი. პირველ ორ სხდომაზე მოსმენილი იქნა ა.-კ. სას.-სამ. ბანკის თავმჯდომარის ამხ. კ. ჩხენკელის და ა.-კ. სასოფლო-სამ. კოოპერაციის ცენტრის „ა.-კ. სოფლის კავშირი"-ს გამგეობის წევრის ამხ. პირიკიანის მოხსენებები ზემოხსენებულ საკითხებზე. მოხსენებების ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი.

კასპის ცემენტის ქარხანა

კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორად დაინიშნა ალექსანდრე ქებაძე, ამავე ქარხნის ტეხნოლოგ-ქიმიკოსის თანამდებობაზე დაინიშნა ინჟ. ირაკლი გაბუნია.

ობლიგაციების კოლექტიურად შენახვა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის და ა. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის თანამშრომელთა კოლექტივმა დაადგინა კოლექტიურად შესანახად მიაბაროს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები არა ნაკლებ 5 წლის ვადით და გამოიწვიოს შეჯიბრებაში ობლიგაციების კოლექტიურად შენახვაზე არა ნაკლებ 5 წლის ვადით აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ა.-კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური და ერევნის კომიტეტები, აგრეთვე თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტები.

ქარხანა „ლურსმანი"

თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას შეუდგეს ქარხანა „ლურსმანი"-ის გაფართოებას. ამ მიზნით ქარხნისათვის შეძენილი იქნება ახალი მანქანები და გაფართოვდება ქარხნის შენობა.

ქარხნის გაფართოება-შეკეთებისათვის თბილისის აღმასკომმა უკვე გადასდო 53.500 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ კალოუბნის ალმართის სანაპირო კედლის გასამაგრებლად აღმასკომმა გადასდო—41.000 მანეთი.

◆ გლეხთა სახლები. თბ. აღმასკომი საბურთალოზე, კახეთის მოედანზე და რიყეში აწყობს გლეხთა სახლებს.

◆ ტრამვაის ქვე-სადგურის ასაგებათ ავლაბარში, გადაიდო 74 ათასი მანეთი.

◆ საბჭოთა მეურნეობა. თბილისის მიდამოებში განზრახულია მოეწყოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. წინასწარი მუშაობისათვის გადადებულია 3.000 მანეთი.

განათლების კომისარიატში

◆ სასკოლო მშენებლობა. სოფ. სპათაგორში, ლაცორში და ხოჯში (რაჭა-ლეჩხ. მაზრა) შენდება სკოლების ახალი შენობები.

◆ მასწავლებელთა შრომის პირობების გამოკვლევა. განათლების კომისარიატი შეუდგა მასწავლებელთა შრომის პირობების და მათი ხელფასის გამოკვლევას.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ აფთიაქის გახსნა. ჯანსახკომმა ბუგეულში (რაჭა-ლეჩხ. მაზ) გახსნა აფთიაქი.

◆ მალარიასთან საბრძოლველად ჯანსახკომმა სამეგრელოში გაგზავნა სამალარიო რაზმი.

სხვადასხვა

◆ ახალი ხიდი. ჯურყვეთის თემში (ოზურგეთის მაზრა) აგებულ იქნა ახალი დიდი ხიდი.

◆ ინჟენერ-ტეხნიკოსთა საქალაქო კრება. შაბათს, 20 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიურო იწვევს ინჟენერ-ტეხნიკოსთა საქალაქო კრებას.

◆ 19 ივლისს, ჯ. ს. კ. სოციალურ-ჰიგიენის ინსტიტუტის შენობაში, ევანგულოვის ქუჩა № 12, შესდგება პროფ. კოლცოვის ლექცია „პატალოგიური და ნორმალური მემკვიდრეობის კანონები".

◆ ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო ცეკავშირის მიერ გამოცემული „მანუფაქტურა (საფეიქრო საქონელი)" კ. ი. მეგრელიძისა და „კოოპერატიულ კანონთა სისტემატიური კრებული" — ლ. ასათიანის და რუსეთის სახელგამის მიერ გამოცემული „ზნელი ხეობა" (რუსულად) ა. ბაკუნცის.

სასამართლო

სისხლის აღრევა

ნიკოლოზ ლუკას ძე ლომაია სოფელ თეკლათში (სენაკის მაზრა) კარგ და პატიოსან კაცად მიაჩნდათ. მიაჩნდათ, რადგან არ იცოდნენ ვინ იყო ის, არ იცოდნენ — რა სული ბუდობდა პარტიის მანდატით და რევოლვერით შეიარაღებულ ლომაიაში.

1927 წლიდან, გახრწნილ და ზნედაცემულ ლომაიას ფიქრი და აზრი იმის გარშემო ტრიალებს, რომ თავის 16 წლის ქალიშვილთან მოიკლას სქესობრივი ჟინი. ლომაია დესპოტია თავის ოჯახში. მას მორჩილებაში ჰყავს თავისი ცოლი. მას შეუძლია დაითანხმოს ის ყველაფერზე, რადგან „კოლტი"-ს სისტემის რევოლვერი ჰკიდია წელზე და ყოველ შედავებაზე შეუძლია უმწეო ქალი სიკვდილის პირას დააყენოს.

ლომაიას მხეცობა იქამდე მიდის, რომ თავის ცოლს უმხელს თავის გადაწყვეტილებას და წინადადებას აძლევს მას, რომ მისი პირმშო შვილი მასვე ეკუთვნის.

ლომაიას ცოლი თავისი ქმრის ასეთი შემაძრწუნებელი ზრახვის გამომჟღავნების შემდეგ ჰკარგავს სულიერ წონასწორობას და ვარდება ლოგინად. იწყება სცენები ოჯახში. ამას ამჩნევენ შვილები. მათ არ ესმით უსიამოვნების მიზეზი. უფროსი ქალი აპოლინარა, რომელიც სკოლაში საუკეთესოდ სწავლობს და დაინტერესებულია ცხოვრების ყველა საკითხებით, დაავადმყოფებულ დედას გამოჰკითხავს ცხოვრების ასეთი არევ - დარევის მიზეზს.

ავადმყოფი დედა თავის ქალიშვილს უმხელს ყველაფერს. ეუბნება, რომ მამას გადაწყვეტილი აქვს მასთან ცხოვრება.

შეშინებული აპოლინარა ემუდარება დედას: „გავშორდეთ ასეთ გარყვნილ მამას და ვიცხოვროთ ნათესავთანო".

მაგრამ აქ რამდენიმე გარემოებაა... გაშორდებიან, მაგრამ რაითი იცხოვრონ? ვინ იზრუნებს მათზე! ოჯახში სარჩენი არის ხუთი სული, სად, რომელ ნათესავს შეუძლია ამდენი სულის რჩენა. განშორების საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.

აპოლინარა ცხოვრობს დედ-მამის ოჯახში და ყოველ დღე მოელის თავდასხმას მამისაგან. დედა მას რას უშველის, ლოგინად არის ჩავარდნილი.

გარყვნილი ლომაია სარგებლობს სწორედ იმ მდგომარეობით, რომ ცოლს წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. ცოლი უკვე დასუსტებული წევს ლოგინში.

და ერთ დილას მხეცი ლომაია გაიტაცებს უფროს ქალიშვილს თავის ოთახში და მასთან ძალით იჭერს სქესობრივ კავშირს. ამაო ხდება შვილის წივილ - კივილი და დასუსტებულ დედის კვნესა.

ლომაიას რევოლვერი ტრიალებს ოჯახში. ლომაიას მხეცობას ვერავინ ამჟღავნებს. სირცხვილის და თან სიკვდილის შიში ყველაფერს ჰფარავს საიდუმლოებით.

ასე გრძელდება მთელი წლის განმავლობაში. მხეცი, გარყვნილი, გათახსირებული ლომაია სცხოვრობს თავის უფროს ქალიშვილთან.

ამით არ კმაყოფილდება ზნედაცემული ლომაია. მას იერიში მიაქვს უმცროს 13 წლის ქალიშვილზე, მაგრამ აქ უკვე ავადმყოფმა თეკლემ მოიკრიბა ძალ - ღონე და განთავისუფლა თავისი შვილი გარყვნილი მამის ხელიდან.

— ამიერიდან ყველაფერს ხელისუფლებას ვაცნობებ, — დაემუქრა ცოლი ქმარს.

ლომაიამ იგრძნო, რომ საფრთხე მოახლოებული იყო, წაიყვანა თავისი უფროსი ქალიშვილი და გაიპარა სოფლიდან.

ჯერ ბათომში ჰყავდა თავისი ქალი. შემდეგ გაიტაცა სოჭისაკენ, მაგრამ აქ ქალმა თავი დააღწია მას. გამოიქცა თავის სოფელში და ყველაფერი უამბო ხელისუფლების წარმომადგენელს.

ნიკოლოზ ლომაია დააპატიმრეს სოჭში.

ის გაასამართლა სენაკის უბნის სახალხო სასამართლომ.

ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, სამოქალაქო უფლებების აყრა ამავე ვადით და, როგორც სოციალურად საშიშ პიროვნებას, სასჯელის მოხდის შემდეგ — საქართველოს ფარგლებიდან გადასახლება ხუთი წლით.

საქმე შემოვიდა უზენაეს სასამართლოში. ვფიქრობთ, რომ უზენაესი სასამართლო ამ საქმეში კიდევ უფრო მეტ დამამძიმებელ გარემოებას აღმოაჩენს და არ დაკმაყოფილდება სისხლის სამართლის კოდექსის მარტო იმ მუხლით, რომელიც სისხლის აღრევას ითვალისწინებს.

ზერ.

ხელოვნება

ა. ბატურინის კონცერტი

17 ივლისს ბატურინის პირველმა საკონცერტო გამოსვლამ გვიჩვენა, რომ ის, როგორც ნიჭის და სალი კულტურის მატარებელი ახალგაზრდა, იშვიათ მოვლენად ჩაითვლება ჩვენი ხელოვნების სასიმღერო დარგში. ეს სრულებით არ ნიშნავს ა. ბატურინის სავსებით უნაკლობას, მაგრამ ეს ნაკლი შეეხება მხოლოდ მის ბგეროვან მასალის ბუნებრივი ელფერის განაწილებას ხმის სხვადასხვა ფენებში. შესაძლებელია, რომ ეს მოვლენა შედეგად მოსდევს სასიმღერო სკოლას, რომელიც გაიარა ა. ბატურინმა იტალიაში, მისი ხმა გრაფიულად მიემგზავსება კონუსს, რომლის ფუძე არის ფართო და რომელიც თანდათან ვიწროვდება მწვერვალთან დაახლოვების პროცესში. ამ პროცესს კი თან მისდევს ხმის ფენების ელფერთა შეცვლა: დაბალ ფენებში ხმა ნამდვილი ბანის ელფერის მატარებელია, შუა ფენებში—კარგი დრამატიული ბარიტონისა, ზემო ფენებში კი ლამაზი ლირიული ბარიტონის ან თითქმის ტენორის. მაგრამ ყველა ეს ნაკლი უხვად იფარება ა. ბატურინის ხმის ბუნებრივათ იშვიათი სილამაზით ყველა ფენაში, ხოლო მისი ტეხნიკურად დამუშავება პირდაპირ სანიმუშო და თვალწარმტაცია. აგრეთვე სანიმუშოა ის მხატვრული ზომიერება, რომელსაც ა. ბატურინი იჩენს სასიმღერო ნაკვეთების გადმოცემაში: მის სიმღერიდან მკაცრად განდევნილია ყველა იაფი ეფექტიანობა, სასტიკად დაცულია საზღვარი ნამდვილი მხატვრობას და მისი სუროგატებს შუა.

ა. ბატურინმა პირველივე სასიმღერო ნაკვეთის (რუსლანის არია გლინკას ოპერიდან) შესრულებით მთლად დაიმორჩილა აუდიტორია. ამის შემდეგ, ყოველი მისი სიმღერა იწვევდა გულწრფელ და მქუხარე ოვაციას. მან კონცერტის ორ განყოფილებაში შეასრულა სულ რვა სასიმღერო ნაკვეთი, რომელთა შორის შესრულების მხრივ საუკეთესოდ ვცნობით ზემოხსენებული არია, სპენდიაროვის „აღმოსავლეთის მელოდია", ტანეევის „არის ქარი სიმაღლიდან" და პირდაპირ შესანიშნავად—დონ-ბაზილიოს არია „ცილისწამებაზე.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

—:—

მომღერალ ბატურინის კონცერტები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შეუთანხმდა მომღერალ ბატურინს, რომ მან, 19 და 20 ივლისს გამართულ გასტროლებზე პროფკავშირების წევრებს ბილეთები დაუთმოს 33 პროცენტის ფასდაკლებით.

აღნიშნულ კონცერტებზე ბილეთების ფასი დაწესებულია პროფკავშირების წევრებისათვის—25 კაპეიკიდან—2 მანეთამდე. ბილეთები გაიყიდება თეატრის სალაროში. პირველ რიგში ბილეთები საუკეთესო ადგილებზე მიეცემათ კავშირების ცენტრალური გამგეობებიდან და ფაბქარხკომებიდან წარდგენილი სიების თანახმად. მეორე რიგში ბილეთები გაიყიდება ინდივიდუალურათ. შეღავათიან ფასებში ბილეთების შესაძენათ საჭირო იქნება პროფკავშირის საწევრო წიგნაკის წარდგენა თეატრის სალაროში.

რკინის გზაზე

შტატების შემცირება

გზათა სახ. კომისარიატმა აცნობა ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობას, რომ ამიერ-კავ. რკინის გზის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა 3.707.000 მანეთიდან შემცირებულია 3.115.000 მანეთამდე.

რკინის გზების გამგეობამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა: ვინაიდან გამგეობის შტატები ფაქტიურად ნაკლებია, ვიდრე ნამდვილად უნდა იყოს, ხოლო ხაზის შტატები მხოლოდ უზრუნველყოფენ ნორმალურ მუშაობას,—ხარჯების შემცირება ცნობილი იქნეს შეუძლებლად, რის შესახებაც ეცნობოს გზათა სახ. კომისარიატს.

რკინის ნამტვრევების შეგროვება

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ყველა ადმინისტრატიული პირები სათანადო მუყაითობით არ მოეკიდნენ რკინის ნამტვრევების შეგროვებას.

რკინის გზათა გამგეობამ რკინის ნამტვრევების შეგროვებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა ცალკე ადმინისტრატიულ პირებს და წინადადება მისცა მათ მიიღონ გადამჭრელი ზომები ნამტვრევების შეგროვების გეგმის შესასრულებლად.

აგვისტოში შემოწმებული იქნება, თუ როგორ მიმდინარეობს ნამტვრევების შეგროვება. ადმინისტრატორები, რომლებსაც ნამტვრევების შესაკრებად მიღებული არ ექნებათ საჭირო ზომები, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

გზების მუშაობა

გადაზიდვა - გადმოზიდვის მომწესრიგებელ ა-კ. კომიტეტის გეგმით, ამიერ-კავკასიის რკინისგზების მუშაობა აგვისტოს განმავლობაში უნდა გამოიხატოს შემდეგ ციფრებში: დატვირთვა — 950 ვაგონი, სითხის დატვირთვა — 640 ვაგონი, გარდა ამისა მეზობელ რკინის გზებიდან მიღებული უნდა იქნას 320 ვაგონი.

ვაგონი—მუზეუმი

დამთავრდა ვაგონ - მუზეუმის — ა - კ. რკინის გზის შრომის დაცვის მოწყობა. ახლო მომავალში ეს ვაგონი - მუზეუმი გაიგზავნება ხაზზე.

დეპოს მოწყობა

ბაქოს დეპოს ხელახლად მოსაწყობად რკინის გზათა სამმართველომ გადასდო 18.660 მანეთი.

მატარებელმა გაიტანა ურემი

თბილის-მოსკოვის სწრაფმა მატარებელმა № 17 გუშინ ძეგამ-კოღლიარის გადასარბენზე გაიტანა რკინის გზის ლიანდაგზე გადამავალი ურემი. ამ შემთხვევის დროს მოკლული იქნა ორი კამეჩი და მძიმედ დაშავდა ურმის პატრონი გლეხი, რომლის გვარიც გამოურკვეველია. შემთხვევის ადგილზე მატარებელი გაჩერდა 20 წუთით, რის გამოც იგი მიდის დაგვიანებით.

ლიანდაგიდან გადავარდნა

სადგურ მუღანში მატარებელ № 3009 შესვლის დროს ლიანდაგს ასცდა ერთი ვაგონი. ეს მაშინვე ვერ შეამჩნიეს. ვაგონმა შპალებზე გაირბინა 200 მეტრი და თან გაიყოლა კიდევ ორი ვაგონი, რომლებიც აგრეთვე ასცდენ ლიანდაგს. მოძრაობა სწარმოებს ერთ ხაზზე. შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

დაჯახება აცდენილი იქნა

სადგურ ერევანში სადგურის ადმინისტრაციის მიზეზით მატარებელი № 3103 მიღებული იქნა სხვა მატარებლით დაკავებულ ხაზზე. მემანქანემ დროზე შეამჩნია ხაზზე მდგომი მატარებელი და მიიღო ზომები დაჯახების თავიდან ასაცილებლად.

გამოძიება სწარმოებს.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

ლევან პავლეს ძე პეტროვმა (18 წლის) მამხანა თოფით მოიკლა თავი. თვითმკვლელობის მიზეზი—რომანიულია.

— გუშინ, დღისით, ილია ზაკოვსკის ბინაზე (ტეხნიკური ქ. № 10) ნაგანის სისტემის რევოლვერით თავი მოიკლა ნიკოლოზ დიმიტრის ძე კუზნეცოვმა (მცხ. პლეხანოვის პროსპ. № 82).

მოტოციკლეტის დაჯახება

ურიცკის და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში, მოტოციკლეტი № 6, რომელსაც მართავდა შოფერი ლეონიდე ტაბური, დაეჯახა თამარა გველესიანს (მცხ. იურიევის ქ. № 20), რომელიც ქუჩაზე გადადიოდა და მსუბუქად დააშავა.

მესამე სართულიდან გადმოვარდნა

რუსთაველის პროსპექტზე № 19 სახლის მესამე სართულიდან მოულოდნელად გადმოვარდა 15 წლის ალექსანდრე ლევანის ძე კარგაპოვი, რომელის რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

მოძრაობის მსხვერპლი

ფურგონი, რომელიც მიჰყავდა ივანე კაძეშკის დუშეთის და წყნეთის ქუჩების კუთხეში, დაეჯახა ქუჩაში მძინარე 12 წლის გიგო დათას ძე თვაფლიაშვილს და დააშავა.

ჯიბგირობა

ანა გუჩიაშვილს მუშკოოპის მაღაზიაში (კომინტერნის ქ.) მოპარეს რედიკული და 250 მანეთი. ნინა თოხაძეს მხეიძის სახელოსნოში (აღმასკომის ქ. № 4) მოპარეს 116 მანეთი, რედიკული, ოქროს საათი და სხვადასხვა საბუთები.

შეპყრობა

დარია ნათიძის ბინის გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს იაკობ აგულერის ძე ეგდიშვიანი (უბინაო).

ქურდობა

გაქურდეს გიორგი დგებუაძის ბინა (კურსანტების ქ. № 2); წაიღეს 300 მანეთის ნივთები.—ვანე ხუციშვილის ბინიდან (კომუნართა ბაღი) მოიპარეს სხვადასხვა ნივთები. როგორც ირკვევა, ქურდობა ჩაუდენია ხუციშვილთან მყოფ სტუმრებს: ვ. გაგაულაშვილს და ვ. კაკაშვილს.

გაქურდეს იოსებ ფარქოსაძის სამზარეულო (მუშათა შესახ. № 498); წაიღეს 60 მანეთის ნივთები. — მიხეილ ალხაზაშვილს (მცხ. არაქელას ქ. № 31) მასთან სტუმრათ მოსულმა ილიკო მამულაიშვილმა მოპარა 80 მანეთის ტანსაცმელი და მიიმალა.—ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ივანე აგაიანის სახელოსნო (ღვინის აღმართი № 8); წაიღეს 25 მანეთი.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) **ვ. ტყეშელაშვილი** (თბ.)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) **ა. ჩირაძე** (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ოთხ სვლაში

30 აპრილის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა დ. გორგაძის შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა: 1. ლa1—e5! (მუქარაა ლe7×) I. 1. . . , d6:e5 2. ეd7—d4×! II. 1 . . . , ეf4—e4 2. ლe5—h5× და სხვა...

ამოცანა რ. მკრტუმოვის შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა: 1. მb3—d4! (მუქარაა ე:d5×) I. 1 . . . , მb5:d6 2. ეa5:d5× II. 1 . . . , კe3:d4 2. ლf8—f4× III. 1 . . . , ლd5:d4 2. ეd6—e6× IV. 1 . . . , ლd5:a2 2. მd4—f3× V. 1 . . . , g7—g6 2. ლf8—f6 VI. 1 . . . , ლd5—f7 2. მh8:f7× და სხვა...

გუნდობრივი შეჯიბრება კლუბებს შორის

ფიზკულტურის ორკვირეულის დროს, რომელიც ჩატარებული იქნება ა.-წ. 27 ივლისიდან, საქ. პროფკავშირის საბჭოს საჭადრაკო განყოფილება აწყობს კლუბებს შორის საჭადრაკო გუნდობრივ შეჯიბრებას. საჭიროა ყველა კლუბების საჭადრაკო წრეებმა მონაწილეობა მიიღონ ამ შეჯიბრებაში. ვინაიდან ამით მნიშვნელოვნად გაცხოველდება საზაფხულო კულტურული მუშაობა. განზრახულია 8 თუ 10 კლუბის მონაწილეობა. თვითეული საკლუბო წრე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შეჯიბრებაში, წამოაყენებს 7 კაცისაგან შემდგარ გუნდს და 2 კანდიდატს. შეჯიბრებაში გათამაშებული იქნება ფასიანი ჯილდო. საკლუბო წრეებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში უნდა გამოყონ კაპიტანი და გაგზავნონ გუნდის სიით კაპიტანთა წინასწარ თათბირზე, რომელიც შესდგება ოთხშაბათს, 24 ივლისს მუშათა სასახლის მე-21 ოთახში, საღამოს 6 საათზე.

პასუხი მკითხველებს

დ. გორგაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ზ. შანიძემ, კ. ნებიერიძემ, კ. სანაძემ, ა. გოგიამ, ა. ჩირაძემ, კ. ახვლედიანმა (ახალი სენაკი) და ვლ. შავგულიძემ (ქუთაისი).

რ. მკრტუმოვის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ზ. შანიძემ, კ. ნებიერიძემ, კ. სანაძემ, ა. გოგიამ, ა. ჩირაძემ და ლ. მაღნარაძემ.

თენეიშვილს და სამსონიას: თქვენი ამოცანები მარტივნი არიან დასაბეჭდათ არ გამოგვადგება.

გ. რევიშვილს, ი. ჩაჩანიძეს ი. მარგალიტაძეს და ბ. კვაჭაძეს (მახინჯაური): თქვენი ამოცანები დასაბეჭდათ არ გამოდგნენ. ამოცანებში არა გაქვთ დაცული ამოცანისადმი წარდგენილი პირობები გადაიკითხეთ 17 თებერვლის №-ში მოთავსებული წერილი და გაერკვევით.

ი. კერესელიძეს: გამოგზავნეთ თქვენი ამოცანა ხელახლათ თავისივე გადაწყვეტით.

ნ. ჩუბინიძეს (ზესტაფონი) დანარჩენი თქვენი ამოცანები დასაბეჭდათ არ გამოდგნენ.

ა. გოგიას: თქვენი ამოცანები ნამეტანი იოლად წყდებიან დასაბეჭდათ არ გამოგვადგებიან.

ა. კეზელს: თქვენს ამოცანაში (შამათი 8 სვლაში) 2 პაიკები სრულიად ზედმეტია, გარდა ამისა ამოცანას აქვს უფრო იოლი და ჩქარი გადაწყვეტაც მაგ.: 1. კh3, e3 2. de, მფe4 3. მფd6, e5 4. მფe6, c5 და 5. კg2×.

ვლ. შავგულიძეს (ქუთაისი): თქვენი ამოცანები ჯერ-ჯერობით არვარგანან, მარტივნი არიან. გეტყობათ წინსვლა, გულს ნუ გაიტეხთ და განაგრძეთ მუშაობა. რაც შეეხება თქვენს უკანასკნელ ეტიუდს, იგი ყოველთვის მოგებულია იმ შემთხვევაში თუ მეფე ახლოა გამსვლელ პაიკთან.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამ. სამ. კოდ. 72 მუხ. შენიშვნისა და 90, 103, 105, 182³ და 185 მუხლების შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლის მარტის 10-ის იარლიღისა და 77 №-ის დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამ. სამ. კოდ. 72 მუხლის შენიშვნა და 90, 103, 105, 182³ და 185 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„72 მუხ. შენიშვნა. ხელშეკრულების დამოწმების შემდეგ სანოტარო ორგანო ჰგზავნის მის ასლს რეგისტრაციისათვის სათანადო სანოტარო არქივში".

„მუხ. 90. გირავნობის ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს წერილობით. ბრუნვაში მოქცეული საქონლის გირავნობის ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით. შენობისა და აღნაგობის უფლების დაგირავება, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესისამებრ, ხოლო შემდეგ გატარებულ სანოტარო არქივის რეგისტრაციაში. შენობისა და აღნაგობის უფლების გირავნობის ხელშეკრულების შინაარსს სანოტარო არქივი აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას".

„მუხ. 103. გირათი უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის გირავნობის უფლებაც. იმ მოთხოვნის გადაცემა, რაც უზრუნველყოფილია შენობის ან აღნაგობის უფლების დაგირავებით, მოხდება გირავნობის ხელშეკრულების გადაცემით; თანაც ამ გირავნობის ხელშეკრულებას გაუკეთდება სანოტარო წესით დამოწმებული გადაცემის წარწერა. ასეთ გადაცემას სანოტარო კონტორა აცნობებს რეგისტრაციაში გასატარებლად სანოტარო არქივს და სათანადო კომუნალურ განყოფილებას.

დანარჩენ შემთხვევაში მოთხოვნა გადაიცემა წარწერით გირავნობის ხელშეკრულებაზე და აგრეთვე დაგირავებულ ქონების გადაცემით იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი გადაცემა საჭიროა გირავნობის უფლების წარმოშობისათვის (92 და 93 მუხ.).

გირავნობის უფლების გადაცემა უნდა ეცნობოს მოვალეს და დამგირავებელს".

„მუხ. 105. შენობისა და აღნაგობის უფლების გირავნობის მოსპობა, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, უნდა აღინიშნოს გარიგების ძირითად ცალზე, რომელიც დაიტოვება სანოტარო კონტორაში, სანოტარო კონტორა გირავნობის მოსპობას აცნობებს რეგისტრაციისათვის სანოტარო არქივს და სათანადო კომუნალურ განყოფილებას.

უკეთუ გირავნობა მოისპობა გირათი უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოსპობის გამო, დაგირავებული ქონება, რაც მოგირავნის ხელშია, ამ უკანასკნელმა უნდა დაუბრუნოს დამგირავებელს ან გადასცეს შემდეგ მოგირავნეს უფროსების მიხედვით (მუხ. 94)".

„მუხ. 182³. წინასწარი სანასყიდო სიგელის ქმნა, აგრეთვე მისი მოქმედების მოსპობა, დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნით, გატარებულ უნდა იქნეს სანოტარო არქივის რეგისტრაციაში. გარიგების შინაარსი ან მისი მოქმედების მოსპობა სანოტარო არქივმა უნდა აცნობოს სათანადო კომუნალურ განყოფილებას".

„მუხ. 185. შენობის და აღნაგობის უფლების ნასყიდობა, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესისამებრ, ხოლო შემდეგ აუცილებლად გატარებული სანოტარო არქივის რეგისტრაციაში. აღნიშნული აქტების შინაარსს სანოტარო არქივი აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1929 წ. აპრილის 18.
თბილისი-სასახლე.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „კომუნისტი"-ს 154 (2500) №-ში (1929 წ. ივლისის 7-ს) გამოქვეყნებულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დაოლევვისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ" შემჩნეულია შემდეგი შეცდომა:

1. დადგენილების სათაურში სიტყვა „დასახადების" ნაცვლად უნდა იყოს „გადასახდელის".
2. მე-17 მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებში უნდა ამოიშალოს სიტყვები „თუ დატუსაღება".
3. ამავე მე-17 მუხლის შენიშვნაში სიტყვა „მუხლშია"-ს ნაცვლად უნდა იყოს „მუხლში"
4. „მუხლი 23"-ის ნაცვლად უნდა იყოს „მუხლი 33".
5. უკანასკნელ აბზაცს, რომელიც იწყება სიტყვით „აფხაზეთის სსრ-ისა" თავში უნდა ადგილის უნდა ჰქონდეს „V".
6. იმავე აბზაცში სიტყვა „საბოლოოდ"-ის ნაცვლად უნდა იყოს პუნ. „თ".
7. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „პრეზიდიუმებს" ნაცვლად უნდა იყოს „პრეზიდიუმების".
8. 22 მუხლში სიტყვა „გადასაწყვეტს" ნაცვლად უნდა იყოს „გადასწყვეტს".
9. მე-7 მუხლის აბზაცში მე-3 ლიტერის შემდეგ უნდა იყოს „4/" და ამავე—4 ლიტერში ფრჩხილებში მოთავსებულ „დ" პუნქტის ნაცვლად უნდა იყოს პუნ. „თ".

სარედაქციო-იურიდიული განყოფილების გამგე—**ვ. ლუნკევიჩი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, პარტიის რიგების წმენდა ჩატარდება შემდეგ უჯრედებში

1. მუშკოოპი—მუშკოოპის შენობაში კირკის ქუჩაზე, საღამოს 7 საათიდან, შემმოწმებელი კომისია: ამხ. მაჩაიძე, ფრანგულიანი და ხორხელი.
2. საბინაო კავშირში—საბინაო ამხანაგობათა კავშირის შენობაში სომხის ბაზრის ქუჩაზე, საღამოს 5 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. ბოლქვაძის, კიკნაძის და მარუსალიშვილის შემადგენლობით.
3. „ზაკსოიუზში"—„ზაკსოიუზის" შენობაში, რუსთაველის პროსპ., საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. თოდრიას, არეშიძის და ლორთქიფანიძის შემადგენლობით.
4. მკერავი—მელიქოვის ქ. № 5; შემმოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ზაკომოლდინი, გ. შახსუვაროვი და კარაკოზოვი.
5. სადგ. ნავთლუღი—სადგურზე ნაშუადღევის 3 ნახევარი საათიდან. შემმოწმებელი კომისია იმუშავებს—ამხ. იაკუბოვის, ავაქოვის და ა. ენუქიძის შემადგენლობით დღეიდან 25 ივლისამდე.
6. მე-2 სტამბაში—ლენინის ქ. № 3, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია — ამხ. მ. ფილიას, ი. რეხვიაშვილის და ანტ. სამოილოვის შემადგენლობით.
7. შრომის კომისარიატი—საპიორის ქ. შრომის მუზეუმის დარბაზში, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. აღნიაშვილის, ვოლსკის და როსტიაშვილის შემადგენლობით.
8. 26 კომუნართა სახ. უჯრედში—საბჭოთა ქუჩაზე, საღამოს 6 საათიდან 19 და 20 ივლისს; შემმოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ზაქრაძე, გაბერსკორნი და კესინოვი.
9. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა—საბჭოთა ქ. № 49, 19 და 20 ივლისს, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ენუქიძე, სოსიანი და პეტრენკო.
10. სახმედვაჭრობა—სახმედვაჭრობის შენობაში, 19 და 20 ივლისს, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. პეტცოვის, მესხის და ა. ზურაბოვის შემადგენლობით.
11. მუშათა სასახლე—მუშათა სასახლეში (პროფსაბჭოს შენობა) საღამოს 7 საათიდან; შემმოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ესაკია, ა. შახსუვაროვი და ფხაკაძე.
12. ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის სახარატო ცეხი—პლეხანოვის სახელობის კლუბში 19 და 20 ივლისს, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. მზარეულიშვილის, არუთინოვის და ცინცაძის შემადგენლობით.
13. გლეხთა სასახლის და სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის უჯრედი—გლეხთა სასახლეში, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ფურცხვანიძე, ვარძიელი და ლავრენტიევი.

—„თელასის" უჯრედში საღამოს 6 საათიდან. კომისიის წევრები ამხ. კვანტალიანი, ჩესანიკ და ნაფეტვარიძე.

—:—

შაბათს, 20 ივლისს, საღამოს 5 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება ორგთათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმულია, ცეკას ინსტრუქტორის ამხ. კორისაველის მოხსენება კახეთის მაზრაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგების შესახებ.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება, დღეს, 19 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე იწვევს თათბირს სახელმწიფო დაზღვევის მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

თათბირზე აუცილებელია ქვემოჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება: **გოლდბაუმი** (საქ. მუშგლეხინი), **ლომთათიძე** (საქ. ფინსახკომი), **ქურულორია** (საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება) და **კუპრაძე** (სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო).

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება იწვევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, ამხ. ხაჟალიასთან (ოთახი № 66):

ესტატე ვალიაშვილი, ლავრენტი კუპრიაშვილი, აკაკი საღარაძე, არტემ მელითაშვილი და მიხეილ ასათიანი.

დამწუხრებული მეუღლე მაკრინე, შვილები: ექიმი სერგო, ალექსანდრე, პეტრე, თამარა, სიმონი და მედია, რძლები ანა და მარიამი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

კირილე ლაზარეს-ძე ოდიშარიას

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან მელიქოვის ქ. № 14. დღეს 5 საათზე
2594

თბილისის სახ. სასამართლოს აღმასრულებლები: დახუნდია, ჭეიშვილი, ბაგინოვი, გაბუნია, გოგოძე, გამაზოვი, გიორგაძე, მეგრელიშვილი, ღვალაძე, თოდუა, იზორია, პოტემკოვსკი, ქილიფთარი, დალ ქიშვილი და ბააზოვი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, სასამართლოს აღმასრულებელის

კირილე ლაზარეს-ძე ოდიშარიას

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, მელიქოვის ქ. № 14, 19 ივლისს, 4 ს. 2602

ნაგორის თემის პარტიული ამხანაგები და საბჭოთა მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 16 ივლისს ქ. თბილისში გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და თავდადებული მუშაკი

ირაკლი ფარსადანის-ძე ღლონტი

გამოსვენებისა და დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2605

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინა, შვილები შურა და მარუსია, ძმა კოლა და რძალი კატო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

რომანოზ დავითის-ძე დვალი

დაკრძალვა შაბათს, 20 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე; გამოსვენება ბინიდან, აუზის ქუჩა № 33.
2904

საზაფხულო ბაღი (ყოფ. „არტო")

პარასკევს, 19 და ყოველდღე

მოსკოვის დრამატიული ბალეტი

30 GIRLS 30

ცეკვა 30 girls:
კლასიკური, სპორტული
აკრობატიული, ექსცენტრიული

ცეკვა 30 girls:
„ისპანიური", „გველი", სპორტი",
„მეზღვაურები", „რუსის დედაკაცები"

საგანგებო ტანსაცმელები მოსკოვის საუკ. მხატვრების. დადგმები: კასიან გოლეიზოვსკის, ასაფ მესერერის კონფერანსიე: კ. კარეევი. დასაწყისი 9 საათზე.

კინო-თეატრში: **„ნამდვილი ჯენტლმენი"** სეზონის შეუდარებელი ფილმი. დასაწყისი 8ნახ. ს. 2983

სახკინმრეწვის კინოები	
საზაფხულო აპოლო	მსოფლიო არტისტი ბერნარდ გეტცკე სურათში **დამნაშავეა**
საზაფხულო პალასი	უცხოეთის მხატვრული ფილმი **მთის ბალადა**
საზაფხულო ეთერი	სეზონის ახალი სურათი **სემირამიდას მარგალიტი**
მინიონი	ყოფა-ცხოვრების მხატვრული სურათი **ბედნიერი ბეჭდები**

მალე—მეთევზის შვილი, ჯალმა.

დადგენილება № 110

ქ. თბილ. საბჭოს პრეზიდიუმისა

1929 წ. ივლისის 17, ქ. თბილისი.

1. დაევალოს ქ. თბილისის ყველა ბინის დამქირავებლებს, საკუთარ ბინაში შესავალ კარებებზე გააკრას ბინის აღმრიცხველი თანახმად აღმასკომის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ ნიმუშის მიხედვით.
2. 1-ლ მუხლში აღნიშნული აღმრიცხველები გაკრულ უნდა იქნენ არა უგვიანეს 1929 წ. ენკენისთვის 1-სა.

ქ თბ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ავაქოვი.**
ნ. 2992. საქმეთა მმართველი **შ. კილურაძე.**

საქართ. ფინანსთა სახ. კომისარის მიერ

ა. წ. 12 ივლისს დამტკიცებულია

ქუთაისის ქალაქის ლომბარდის წესდება

ლომბარდის ძირითადი თანხა წესდებით გათვალისწინებულია 50.000 მანეთით.

საქ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართ.
უფროსი—**ნ. ძოიავა.**
ნ. 2990 უფ. ინსპექტორი—**დ. კიკვაძე.**

თბილისის ელექტრო ნაგებობათა სამმართველო

თელასი

აცხადებს, რომ 1929 წლის 23 ივლისს, დანიშნულია

კონკურენცია

თბილისის სხვადასხვა ნაწილებში და მის განაპირა ადგილებში 5 კილომეტრის მანძილზე მიწის ქვეშა მაღალვოლტიანი კაბელის გაყვანის სამუშაოებზე.

მუშაობა შესრულებული უნდა იქნეს მონარდის მასალით, იარაღით და მოწყობილობით, გარდა კაბელისა, აგურისა და კაბელის დამცველ მოწყობილობისა, რომლებსაც იძლევა თელასი.

მუშაობის შესრულების საერთო ვადა არის 4 თვე, რომელიც იყოფა რამდენიმე ნაწილობრივ ვადებად.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ აღნიშნული სამუშაოს მთლიანად აღება, ამის შესახებ უნდა შემოიტანონ სადერბო მარკებით დაკრული წერილობითი განცხადება დაწესებულ ბლანკზე, რომელიც ჩადებული უნდა იქნეს კონვერტში წარწერით: „თელასს კაბელის გაყვანის შეჯიბრებისათვის 23 ივლისს, 29 წ.", რომელ რიცხვშიაც დღის 12 საათზე მოხდება კონვერტების გახსნა.

დაწვრილებითი პირობების გეზნიშნების, მუშაობის რაოდენობის და ტეხნიკური პირობების გაგება შეიძლება თელასში ყოველ დღე, დილის 10-დან 12 საათამდე (თბილისი, თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა, ოთახი № 10). იქვე იძლევიან დაწესებული ფორმის ბლანკებს განცხადებისათვის.

2989 თელასის დირექტორი **ზირიუკოვი**

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლაღიძის

საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის **წვენისაგან ნადუღი შაქრით** უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე. მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც **გემო და სუნი საამური აქვს.**

მ. ლაღიძის

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყალის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.
ნ. 2988

თბ. მე-2 უბნ. სასამართლოს აღმასრულებელი

ხაიმ ბააზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 22 ივლისს 1929 წ. დღის 1 საათზე სახლში № 17 ენგელსის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თომა ჩიქვანაიას ქონებას: ორ სართულიან სახლის ნახევარ უფლებას შემდგარს 12 ოთახისაგან და ორი სამზარეულოსაგან შეფასებულს 1500 მანეთად, პოლიგრაფტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბ. 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 22 IX 1928 წ. თარიღით, № 4346 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა მოხდება ს.ს.ს.კ. 311—312 მუხლების დაცვით. ნ. 2991

საქართველოს სახდაზღვევა

(აღმასკომის ქუჩა № 8) სთხოვს თბილისის მოქალაქეთ ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ მას მწვანე ქვითარები, გაცემული ამკრეფ **ანთაძის ხელის მოწერით,** საგანაკვეთო დაზღვევის თანხების მიღებაში.
2604 **საქ. სახდაზღვევის სამმართველო.**

პროფესორი

გ. მ. მუხაძე

წასულია კისლოვოდსკში ® დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) **სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.**

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90.
25—1

ექიმი

მ. გ. შახნაზაროვი

სპეციალურად

სიფილისი, „914" შეზხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე).
25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01.
2468 13—1

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს)" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

თმის მკურნალობა

და

სამკურნალო კოსმეტიკა

ექიმ

ნ. გ. კონტოროვიჩისა

ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა

ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება

მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების ® პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

პ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე.
13—10

ქუთაისში

ექიმი **ვ. დ. კუჭაიძე**

ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.

იღებს **სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი).** პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
2533 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი („914" შეზხაპ.) **ვენერიული** (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და **კანის** სნეულება.

მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.

მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

დავკარგე კავშ. გაბმულობის კავშირის წიგნაკი № 97844 ლუკა იოსების-ძე გედევანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2595

დავკარგე: პურის წიგნაკი თამარა სიმონის ასული გომართელის სახელზე, ჩ. გ. 2596

დავკარგე პირადობის მოწმობა № 556 გიორგი შაქროს-ძე ზარდიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2597

დავკარგე მუშკოოპის საწევრო წიგნაკი და დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 200 გაცემული საქართველოს ფინსახკომიდან მიხეილ აბდრიას-ძე შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 2598

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 074343 მარო გ. გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. 2603

დავკარგე პირადობის მოწმობა № 21, კავშირის წიგნაკი და სასურსათო ბილეთი ბესარიონ მოსეს-ძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2599

დავკარგე: პურის წიგნაკი (4 სულის) № 74 იაკობ ზაქარიას-ძე ქართველიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2601

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 45060 მარიამ ელიზბარის ასული მაჩაბელის სახელზე, ჩ. გ. 2600

ტირაჟი—40.998 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.